

უკანასკნელი მრიცხველი A2



ბრიტანელი დიპლომატიის "ციებ-ცხელება" A5



პროკურატურა ადამიანის უფლებების დამრღვევ პოლიციელებს იჭერს A7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 14 ივნისი, 2005 წელი. №132 (992)

ფასი 50 თეთრი

ყურადღება!

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024;
8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება. A7

## ამინდი

| | 14/06 | 15 /06 | 16 /06 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 25 | 31 | 27 |
| გორი | 22 | 27 | 23 |
| სოხუმი | 26 | 25 | 25 |
| სამტრედია | 26 | 30 | 25 |
| დმანისი | 21 | 26 | 24 |
| ონი | 18 | 23 | 20 |
| ზუგდიდი | 26 | 28 | 26 |
| ტყიბული | 23 | 27 | 23 |
| ახმეტა | 25 | 30 | 27 |
| ბაგრა | 26 | 23 | 25 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8150 |
| ევრო | 2.1905 |
| ბირთანეთის სტერლ. | 3.2786 |
| რუბლი | 0.0638 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| ამბები | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | მედიცინა | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| საზოგადოება | A8 | სხვადასხვა | B8 |


# ცხინვალში გაჩერებული დრო

ნინო გომართელი
*ცხინვალი-თბილისი*

**"თქვენ არ ხართ მტრები, მაგრამ თქვენი ხელისუფლების პოლიტიკურ პოზიციას, გამოვლენილ აგრესიას, მეგობრულსა და მშვიდობიანს ნამდვილად ვერ დაარქმევ,"** - ასეთი იყო პრობლემებზე საუბრის, საერთო წუხილის გაზიარებისა და, თითქოსდა, დამეგობრების შემდეგ ოსური მხარის მიერ ჩვენთვის - ქართველი ჟურნალისტებისთვის გამოთქმული საკუთარი პოზიციის გასამართლებელი საბუთი.

ქართულ-ოსური კონფლიქტის აქტიური ფაზა 1989-1992 წლების პერიოდით თარიღდება. ის უდიდესი ტრაგედია იყო მთელი ერისათვის და, მიუხედავად წლების განმავლობაში თითქოსდა მიღწეული შეთანხმებებისა, მისი სრულფასოვანი მოგვარება, ისევე, როგორც ორი ერის ჰარმონიული თანაცხოვრების უზრუნველყოფა, დღემდე მიუღწეველი აღმოჩნდა.

სამხრეთ ოსეთში ოსი და ქართველი ხალხების ინტერესების თანხვედრა წლების განმავლობაში პოლიტიკურ სპეკულაციებს, სამშვიდობო პროცესის გაჭიანურებას და სახელმწიფოს მხრიდან თანამიმდევრული და გააზრებული პოლიტიკის არარსებობას ეწირებოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე



*ნაცრისფერი, სევდიანი, ცარიელი და საბჭოთა სტილის სახლებით სავსე - ასე მოჩანს დღევანდელი ცხინვალი ქართველი ჟურნალისტის თვალით.*

# დეპუტატები დიპლომატების წინააღმდეგ

გიორგი ასანიშვილი

დასავლელი დიპლომატების საჯაროდ კრიტიკას საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველთვის ერიდებიან და მათ მიმართ თავის პრეტენზიებს კერძო საუბრებში თუ გამოხატავენ ხოლმე. ამ "წესიდან" ლამის ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს სხდომებზე არაერთხელ გამოუთქვამს აღშფოთება იმის გამო, რომ თბილისში აკრედიტებულ დიპლომატიურ დაწესებულებებში საქართველოს მოქალაქეებს ხშირად აგდებულად ეპყრობიან და მათ მეორეხარისხოვან ადამიანებად მიიჩნევენ.

გუშინ კოტე გაბაშვილს არაერთი "მიმდევარი" გამოუჩნდა. უცხოელი დიპლომატების წინააღმდეგ "ამბოხება" საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ეროვნული ნაკრების მიმართ საფრანგეთის კონსულის დამოკიდებულებამ განაპირობა, რომელმაც ქართველ სპორტსმენებს შვედეთში გამგზავრებას (ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად) უთვალავი ბიუროკრატიული დაბრკოლება შეუქმნა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# მთავარია სტაბილურობა

## საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოს ხელისუფლების ნაბიჯებს დადებითად აფასებს

*საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი როდრიგო დე რატო, საქართველოში მისი ვიზიტის დასასრულს, "24 საათს" ესაუბრა.*

**- საერთაშორისო სავალუტო ფონდს საქართველოსთან თანამშრომლობის უკვე თითქმის თხუთმეტწლიანი გამოცდილება აქვს. რამდენად კარგი პარტნიორია დღევანდელი საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო სავალუტო ფონდისათვის? ასრულებს თუ არა დღეს მთავრობა იმ ვალდებულებებს, რომელიც მას ფონდის წინაშე აქვს ნაკისრი?**

- მე ვფიქრობ, თანამშრომლობა საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და საქართველოს შორის, რომელიც აგერ უკვე 15 წელია, რაც გრძელდება, საკმაოდ შთამბეჭდავია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოში უკვე ჩამოყალიბდა სტაბილური გარემო ეკონომიკური განვითარებისათვის. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში.

**- დღეს ქვეყანაში ინფლაციის მაჩვენებელი იზრდება და უკვე 9 პროცენტს აღწევს. ხომ არ არის ქვეყანა საშიშ ზღვართან და რა უნდა გაკეთდეს, რომ ეს ზღვარი საქართველომ არ გადალახოს?**

- მე არ ვფიქრობ, რომ თქვენ კრიტიკულ ზღვარს მიაღწიეთ. აქ საქმე, ალბათ, უფრო რისკის არსებობასთან გვაქვს. სწორედ ამიტომ, ზემოხსენებულ ზღვართან მიახლოება თავიდან რომ აიცილოთ, საჭიროა ამ რისკის თავიდან აცილება.

გაგრძელება A3 გვერდზე



*როდრიგო დე რატომ არაერთი შეხვედრა გამართა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა კაბინეტებში.*

# EBRD "თიბისი ბანკთან" თანამშრომლობას აგრძელებს

*ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა - EBRD, "თიბისი ბანკს" მორიგი კრედიტი გამოუყო. ამჯერად კრედიტის მოცულობა 10 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს, რაც, "თიბისი ბანკის" ხელმძღვანელობის მტკიცებით, მათ გასაცემი კრედიტების მოცულობის გაზრდის საშუალებას მისცემს.*

"თიბისი ბანკი" პირველი ბანკია საქართველოში, რომელიც EBRD-ის 60-მილიონიანი ევროს მოცულობის თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში 10 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტს მიიღებს.

10-მილიონიანი კრედიტის გამოყოფის თაობაზე "თიბისი ბანკსა" და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის ხელშეკრულებას ხელი გუშინ მოეწერა.

ეს ხელშეკრულება საშუალო ზომის სესხების თანადაფინანსების პროგრამას ითვალისწინებს.

გაგრძელება A6 გვერდზე

# მოპარული მანქანები ახალი სკანდალის საფუძველი ხდება

თამარ კაციტაძე

*დიდი ხანია, ცნობილია, რომ საქართველო უცხოეთში მოპარული მანქანების რეალიზაციის საუკეთესო არეალია. იმასაც ამბობენ, რომ ამ ბიზნესს კარგი მფარველები ჰყავს. ამიტომ, აღნიშნულ დანაშაულზე საუბარი ჩვენს ქვეყანაში წლების განმავლობაში ტაბუდადებულად ითვლებოდა. აქედან გამომდინარე, გასაკვირიც არაფერია, თუ მოპარული მანქანების ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს აჟიოტაჟი არა მარტო ადვოკატების, არამედ საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლის მხრიდანაც მოჰყვა.*

გაგრძელება A7 გვერდზე

# ოთხი ქართველის გამტაცებელთა ვინაობა ცნობილია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა იმ პირთა გვარები, რომლებმაც 6 ივნისს ცხინვალიდან ლიახვის ხეობის სოფელ ქურთას მკვიდრი ბიძაშვილები, ჰამლეტ, მამუკა, გალაქტიონ ხაჭაპურიძეები და მათთან მყოფი, ხაშურის რაიონის სოფელ ბიჯნისის მკვიდრი მამუკა ლომიძე გაიტაცეს.

სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული პირები გაიტაცეს ცხინვალის ე.წ. "ტექსტილის" დასახლების კრიმინალური დაჯგუფების წევრებმა რუდიკ ბესტაევმა, მეტსახელად "ლულუმ" და აცამაზ კოჩიევმა, რომელიც 29 მაისს ქურთასა და თამარაშენის პოლიციის შენობებზე შეიარაღებული თავდასხმების ორგანიზატორის, მოკლული ანატოლი კოჩიევის ვაჟია.

გატაცებული ქართველების ნათესავები 29 მაისის შეიარაღებული ინციდენტის გამო, ერთ-ერთ ვერსიად შურისძიებას ასახელებდნენ. ამ ინციდენტის დროს ოთხი ოსი შეიარაღებული პირი და ერთი ქართველი პოლიციელი დაიღუპა.

ქართველი და ოსი სამართალდამცავები, შერეულ სამშვიდობო ძალებთან ერთად, გატაცებულთა ადგილსამყოფელს ადგენენ.

# ეუთო რვაას მესაზღვრეს მოამზადებს

მაია კობახიძე

13 ივნისს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის 12 რეგიონული ბაზიდან შერჩეულ ოთხ ბაზაზე - "ლილო", "ყაზბეგი", "ლაგოდეხი" და "ომალო" - საქართველოს მესაზღვრეთა მომზადების ხელშემწყობი პროგრამა დაიწყო. პროგრამას ახორციელებს ეუთო-ს მისია საქართველოში. გადაწყვეტილება პროგრამის განხორციელებაზე ეუთო-ს მუდმივმოქმედმა საბჭომ წელს, 14 აპრილს მიიღო. 2,7 მილიონ ევროდ ღირებული პროგრამა რვათვიანია და ორ ეტაპად იყოფა, რომლის დროსაც 800 მესაზღვრე მომზადდება. პირველი ეტაპი ოქტომბრამდე გაგრძელდება. საერთაშორისო, მაღალკვალიფიციურ ტრენერთა 30-კაციან ჯგუფს სწავლების პროცესში დაეხმარება 16 ქართველი თანაშემწე, რომელთაც მთამსვლელობის გამოცდილება აქვთ.

13 ივნისს ლილოს რეგიონული სამმართველოს ბაზაზე საქართველოში ეუთო-ს მისიასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის თანამშრომლობის პროტოკოლს მოეწერა ხელი. ცერემონიის შემდეგ, საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბადრი ბიწაძემ, პროგრამის მენეჯერმა რორი მაკ კორლიმ და საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელის მოადგილემ ვესელინ ნიკოლაევმა გარემონტებული სასწავლო აუდიტორიები დაათვალიერეს.

ლილოს სასწავლო ცენტრში ერთი თვის განმავლობაში 25 მესაზღვრე გაივლის სწავლებას.

ლილოს ჯგუფში, ძირითადად, ახალციხისა და ადგილობრივი სასაზღვრო სამმართველოს მესაზღვრეები არიან. ჯგუფის კოორდინატორი ვიცე-პოლკოვნიკი მერაბ ლურსმანაშვილი ტრენინგისგან, რა თქმა უნდა, ცოდნის ამაღლებას ელის. განსაკუთრებით კი აინტერესებს ღამის ხედვის ხელსაწყოთა შესწავლა. როგორც დეპარტამენტში აღნიშნავენ, მოლოდინი იმისა, რომ ეუთო მათ ღამის ხედვის მოწყობილობას გადასცემდა, არ გამართლდა, მაგრამ ასეთი ხელსაწყოების შესწავლის სურვილი მაინც დიდია ქართველ მესაზღვრეებში, თან იმედოვნებენ, რომ შეძენას თავად მოახერხებენ.

რორი მაკ კორლი აღნიშნავს, რომ პროგრამის განხორციელების დროს ქართველი მესაზღვრეები ეუთო-ს მისიის მიერ საქართველოში 5 წლის განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას გაეცნობიან. მათ შეასწავლიან იმ აპარატურასაც, რომელსაც ეუთო საზღვრის მონიტორინგის დროს იყენებდა. პროგრამა მოიცავს: მთიან რაიონებში სამაშველო ოპრაციების განხორციელებასა და უსაფრთხოების წესებს (ვერტმფრენით ოპერაციების შესრულება, პილოტთა მომზადება); სასაზღვრო სამსახურის დაგეგმარებას და მართვას დღე-ღამის მანძილზე; საპატრულო ოპერაციებს, ანგარიშგებასა და დაკვირვების ტექნიკის შესწავლას; სპეციალური აღჭურვილობის გამოყენებას; რუკის კითხვას; პირველად დახმარებას; სამართლებრივ ასპექტებს.

რორი მაკ კორლის თქმით, ეუთო-ს მისიის მიერ მომზადებული პროგრამა მთლიანად ეფუძნება საქართველოს სასაზღვრო უწყების მოთხოვნებს, რომელიც შარშან ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა.

პროგრამის განხორციელების დროს გათვალისწინებულია ქართველ მსმენელთა შორის ტრენერების შერჩევაც, რათა შემდეგ მათ მოამზადონ სხვა მესაზღვრეები.

# თავდაცვის მინისტრის ვიზიტი ამერიკაში

თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი აშშ-ში ჩავიდა. ის ამერიკის თავდაცვის მდივანს დონალდ რამსფელდსა და სხვა ოფიციალურ პირებს შეხვდება.

აშშ-ში ირაკლი ოქრუაშვილი ოთხ დღეს დაჰყოფს. მხარეები საქართველო-აშშ-ს სამხედრო სფეროში თანამშრომლობის საკითხებს განიხილავენ. თავდაცვის მინისტრი ამერიკელ სენატორებსაც შეხვდება.

ირაკლი ოქრუაშვილი სტრატეგიისა და საერთაშორისო სწავლების ცენტრში მოხსენებით გამოვა. ის საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე რეფორმებს მიმოიხილავს.

*მედიანიუსი*

**შ.პ.ს."აჭარის ენერგოკომპანია" , ფილიალების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, აცხადებს აუდიტორული ფირმების შესარჩევ კონკურსს: კომპანიას ესაჭიროება ფილიალების სალიკვიდაციო ბალანსების შედგენა(კომპილაცია).**

dato.gogichaishvili@aec.ge

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დაგვიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე:**

**98-57-81**

**"საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი" აფუძნებს ფილიალს ქ. ბათუმში და აცხადებს კონკურსს ფილიალის მენეჯერისა და ადვოკატის თანამდებობებზე.**

**პირობები:**

1. უმაღლესი იურიდიული განათლება;
2. ადვოკატის სერტიფიკატი;
3. ავტობიოგრაფია (CV);
4. ასაკი 27 წლამდე;
5. დახასიათება უმაღლესი სასწავლებლიდან ან ბოლო სამუშაო ადგილიდან;
6. ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა.

**საბუთების შემოტანის ვადაა 2005 წლის 15 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წერეთლის გამზ.: N77 "საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაპი". ტ. 34 76 58**

# დეპუტატები დიპლომატების წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

ამან დიპლომატების კრიტიკაზე არაოფიციალურად დადებული ტაბუ მოხსნა და ქართველი პოლიტიკოსები საჯაროდ ხმამაღლა აალაპარაკა. პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ როდესაც საქმე რიგით მოქალაქეებს ეხება, საკონსულოს შეუძლია, ყოველგვარი განმარტების გარეშე, ვიზების მიცემაზე მათ უარი უთხრას, მაგრამ ფრენბურთელთა ეროვნული ნაკრების მიმართ ასეთი დამოკიდებულება დაუშვებელია. სპიკერის აზრით, ჯარიმა 30 ათასი ევროს ოდენობით, რომლის გადახდა მატჩზე არგამოცხადების შემთხვევაში ქართულ მხარეს დაეკისრება, მათზე უნდა გადამისამართდეს, ვინც ქართველი ფრენბურთელების შევედეთში გამგზავრებას ხელი შეუშალა.



პარლამენტის სპიკერი და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე მწვავედ გამოეხმაურნენ უცხოელი დიპლომატების მიერ საქართველოს მოქალაქეთა შეურაცხყოფას.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ახსნა-განარტებისთვის მიწვეული საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კახა სიხარულიძის განცხადებამ, რომ საკონსულოების ხელაღებით დადანაშაულება დაუშვებელია და "მედალს მეორე მხარეც აქვს", დეპუტატები კიდევ უფრო გაალიზიანა. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იმის გამო საყვედურობს, რომ საფრანგეთის ელჩი არ გამოიძახეს და ფრენბურთელებთან დაკავშირებით მომხდარ ინციდენტს თავისი სახელი არ დაარქვეს.

**"ასე მგონია, ჩემს წინაშე, კახა სიხარულიძის სახით, საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენელი დგას და თავისი უწყების ინტერესებს იცავს,"** - სალომე ზურაბიშვილის მოადგილის ლოიალობა არ მოეწონა ნადირაძეს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს მეტი გაბედულობისკენ მოუწოდებს კოტე გაბაშვილიც.

**"როდესაც საქართველოს მოქალაქეების უფლებებს არღვევენ, ამისთვის დიპლომატებს მკაცრად უნდა მოვთხოვოთ პასუხი. დიპლომატი უგუნებოდ რომ არის ან ნაბახუსევია და ამის გამო ორი ქვეყნის კეთილმეზობლური ურთიერთობები ზარალდება, ასეთ შემთხვევაში, დამნაშავეს დაუყოვნებლივ უნდა დავატოვებინოთ ქვეყანა. თუ უსულგულო დამოკიდებულებისთვის ერთ კონსულს გავაძევებთ, სხვები ასეთ შეცდომას აღარ გაიმეორებენ,"** - ურჩევს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს. პარლამენტარი იქვე იმასაც იხსენებს, რომ ახლო წარსულში გერმანიაში შესასვლელი ვიზები არ მისცეს ტელევიზიის პირველი არხის გადამღებ ჯგუფს, რომელსაც საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების შესახებ დოკუმენტური ფილმი უნდა გადაეღო.

თავის შეფასებებში საკმაოდ მკაცრია პარლამენტის თავმჯდომარეც.

**"დაუშვებელია, რომ საქართველოს ექცეოდნენ ისე, როგორც მესამეხარისხოვან ქვეყანას. რაოდენ მცირე ბიუჯეტიც არ უნდა გვქონდეს და რა საფეხურზეც არ უნდა იყოს ეკონომიკა, ვინმესთვის ხელწამოსაკრავი ქვეყანა მაინც არა ვართ,"** - შენიშნავს ნინო ბურჯანაძე.

როგორც არ უნდა დასრულდეს ფრენბურთელ ქალთა ნაკრების ოდისეა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კიდევ მოუწევს კანონმდებლებისთვის ანგარიშის ჩაბარება: მომხდარის შესახებ დეტალურ ინფორმაციას დეპუტატები ბიუროს მომავალ სხდომაზე კვლავ კახა სიხარულიძისგან მოისმენენ.

მანამდე კი, კანონმდებლებს საკმაოდ მძიმე დღეები ელით: დღეს იწყება საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების ბოლო კვირა, რომლის დღის წესრიგში ასზე მეტი საკითხია შეტანილი.

მათ შორის ყველაზე დიდი პოლიტიკური დატვირთვა აქვს ხუთშაბათისთვის დანიშნულ სამთავრობო საათს, რომელზეც შინაგან საქმეთა მინისტრმა და გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ჟვანიას დაღუპვასთან დაკავშირებით წამოჭრილ კითხვებზე უნდა უპასუხონ.

საპარლამენტო უმრავლესობას ძალიან აღიზიანებს ის გარემოება, რომ ოპოზიცია გამოძიების დასრულებას არ ელოდება და ძალოვანი უწყებების პირველ პირებს პარლამენტში იბარებს.

**"ზოგიერთი პოლიტიკური ძალა ცდილობს, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება თავად ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და დღევანდელი ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის გამოიყენოს. ეს უკვე უზნეობაში გადადის,"** - აცხადებს მაია ნადირაძე.

ტრაგედიის დეტალების გარშემო სამთავრობო საათზე მსჯელობას ზურაბ ჟვანიას თითქმის ყველა თანაგუნდელი ეწინააღმდეგება.

თუმცა, შეიძლება მოხდეს ისე, რომ ხუთშაბათს განხილვა საერთოდ არ შედგეს: ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, სადეპუტატო შეკითხვაზე გენერალური პროკურორის წერილობითი პასუხის შემთხვევაში (ეს დოკუმენტი დეპუტატებს, სავარაუდოდ, დღეს დაურიგდებათ), ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების თემატიკა სამთავრობო საათის დღის წესრიგიდან ამოვარდება.

# უკანასკნელი მრიცხველი

თეა თედლიაშვილი
გორიდან

*შიდა ქართლის რეგიონში კომუნალური გამრიცხველიანება დასრულდა. მალე აღდგება ის ელექტროგადამცემი ანძები, რომლებიც წყალდიდობის შედეგად წაიქცა. ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა მიმდინარე სამუშაოებს თვალი შორიდან შეავლო. მანამდე კი, გორის რაიონის სოფელ ვარიანში ბოლო, 908-ე კომუნალური მრიცხველი დაამონტაჟა.*



ნიკა გილაურმა და მიხეილ ქარელმა საკუთარი ხელით დაამონტაჟეს ბოლო - 908-ე მრიცხველი სოფელ ვარიანში.

თეა თედლიაშვილის ფოტო

გუშინ ვარიანში ჩასული ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური, "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალურ დირექტორთან დინ უაითთან და მხარის გუბერნატორთან, მიხეილ ქარელთან ერთად მოსახლეობას შეხვდა. მათ ერთობლივად დაამონტაჟეს შიდა ქართლში ბოლო კომუნალური მრიცხველი.

**"შიდა ქართლში აქამდე არარსებული გამრიცხველიანების დასრულება სამი თვის განმავლობაში მოხერხდა. ეს ჩვენი კომპანიის მიერ მესამე გამრიცხველიანებული რეგიონია. ორი კვირის შემდეგ მოვახერხებთ მთელი ქვეყნის გამრიცხველიანებას. ეს არის ერთადერთი გამოსავალი იმისათვის, რომ ქვეყანაში ენერგოკრიზისი დაძლეულ იქნეს,"** - განაცხადა დინ უაითმა.

**"ეს არის იმ დიდი სამუშაოების პირველი ეტაპი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ დაიწყო გამრიცხველიანების დარგში. კომუნალური მრიცხველების დამონტაჟება ამ თვის ბოლომდე დასრულდება. რა თქმა უნდა, ასეთი მრიცხველების დამონტაჟება იდეალურ მდგომარეობას არ ქმნის, მაგრამ ინდივიდუალური მრიცხველების დამონტაჟება უკვე მეორე ეტაპია, რომელიც დამატებით ინვესტიციებს მოითხოვს. შიდა ქართლში 908 კომუნალური მრიცხველი დამონტაჟდა, აქედან, გადაუხდელობის გამო გათიშულია 50. თუმცა, თუ გადახდა იქნება, ელექტროენერგიის მიწოდებას ჩვენ ყველგან უზრუნველვყოფთ,"** - ამბობს ნიკა გილაური.

მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ კომუნალური მრიცხველების მიერ დაფიქსირებულ ელექტროენერგიის საფასურს რამდენიმე ოჯახი ერთობლივად დაფარავს. ეს კი გაუგებრობას ქმნის, რადგან ყველა ოჯახი სხვადასხვა რაოდენობის ელექტროენერგიას ხარჯავს.

**"რა თქმა უნდა, ყველა ოჯახი ელექტროენერგიას ერთნაირად ნამდვილად ვერ მოიხმარს, ამის გაკონტროლება ხშირ შემთხვევაში სოფლის მოსახლეობის დახმარებით ხდება. იდეალური მდგომარეობა იქნება მაშინ, როცა ინდივიდუალური მრიცხველები დამონტაჟდება, მაგრამ ამ ეტაპამდე ჯერ არ მივსულვართ. ზოგ შემთხვევაში ამას თვითონ სოფელი აკეთებს, "კომუნისტების" დროს ყველას ჰქონდა მრიცხველი, გამოიტანეს და დაამონტაჟეს, იხდიან იმის მიხედვით. ყველა უნდა მიხვდეს, რომ "ლევი" ხაზები ქურდობას ნიშნავს,"** - განაცხადა გილაურმა.

ენერგეტიკის მინისტრი მოსახლეობას ვერ ეუბნება, როდის დაიწყება და დასრულდება სოფლებში ინდივიდუალური მრიცხველების დამონტაჟება: **"ეს სამომავლო გეგმაა. ქალაქებში უკვე დაწყებულია ინდივიდუალურ მრიცხველებზე გადასვლა, და, ვფიქრობთ, მომავალი წლის 31 მაისამდე ასეთი სამუშაოები ცხრა დიდ ქალაქში დასრულდება."**

ვარიანის მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ელექტროკომპანია მათ სათანადოდ ვერ ემსახურება. **"დენის მოპარვა ხდება, მაგრამ ამას არავინ აფიქსირებს. ადრე ინკასატორები იყვნენ და იჭერდნენ, ახლა ერთმანეთს ვპარავთ, მაგრამ ვერ ვამბობთ, რადგან შევძულდებით ერთმანეთს,"** - შესჩივლა გილაურს ვარიანის მკვიდრმა ელგუჯა ადუაშვილმა. მინისტრმა ხალხს პირობა მისცა, რომ **"ყველას, ვინც დენს მოიპარავს, ჯერ დააჯარიმებს და განმეორების შემთხვევაში ციხეშიც გაუშვებს."**

ხალხთან შეხვედრის შემდეგ გილაური ტრიალ მინდორზე გავიდა და იქიდან შეავლო თვალი წაქცეული ანძების აღდგენით სამუშაოებს. ანძების წაქცევის შედეგად, ერთი თვეა, გორის რაიონის სოფლების - ნიქოზის, ფხვენისის, საქაშეთის, ყელქცეულის, შინდისის, ზემო და ქვემო ხვითის მოსახლეობას ელექტროენერგია არ მიეწოდება. აღდგენითი სამუშაოები, სავარაუდოდ, სამ დღეში დასრულდება.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** 15 ივნისს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამდღიანი ოფიციალური ვიზიტით კიევს ეწვევა. დაგეგმილია შეხვედრები უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშენკოსთან და პრემიერ-მინისტრ იულია ტიმოშენკოსთან.

ვიზიტის ფარგლებში განიხილავენ საქართველოსა და უკრაინას შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო თანამშრომლობის საკითხებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სარეზერვო კომპონენტების განვითარების გეგმის შემუშავების პროცესს აშშ-ს ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის სარდალი, გენერალ-მაიორი დევიდ პოიტრისი უხელმძღვანელებს.

ამერიკელი გენერალი საქართველოში იმყოფება და ორშაბათს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივან გელა ბეჟუაშვილსა და საქართველოში აშშ-ს ელჩს რიჩარდ მაილსს შეხვდება.

ამერიკელი გენერლის ვიზიტის მიზანს ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს სარეზერვო კომპონენტების განვითარების გეგმის შემუშავება წარმოადგენს.

გეგმის შემუშავებაში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და ამერიკელი სამხედრო ექსპერტები. ამ მიზნით, თბილისს 12 ამერიკელი სამხედრო ექსპერტი ეწვია.

როგორც პოიტრისმა ჟურნალისტებს განუცხადა, ვიზიტის მთავარი მიზანია სარეზერვო კომპონენტების განვითარების გეგმის შემუშავება, სამხედრო ინფრასტრუქტურისა და რეზერვისტთა მომზადება.

საქართველოში ვიზიტის ფარგლებში პოიტრისი საქართველოს ეროვნულ გვარდიას მოინახულებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს რუსეთის დამოუკიდებლობის დღე წერილით მიულოცა.

ბაგაფში წერს, რომ აფხაზი ხალხი ერთხმად უჭერს მხარს რუსეთთან ახლო ურთიერთობების დამყარებას.

"ეს ურთიერთობები დიდ რუსეთთან ჩვენი რესპუბლიკის უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარების გარანტიას წარმოადგენს," - ნათქვამია წერილში.

ბაგაფშის მსგავსად, რუსეთის პრეზიდენტს დამოუკიდებლობის დღე სეპარატისტული ცხინვალის ლიდერმა ედუარდ კოკოითმაც წერილით მიულოცა.

"სამხრეთ ოსეთის ხალხი, რომლის დიდი უმრავლესობა რუსეთის მოქალაქეა, რუსეთს კავკასიაში მშვიდობისა და უსაფრთხოების მთავარ გარანტად მიიჩნევს," - წერს კოკოითი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლიახვის ხეობაში საქართველოს მოქალაქეების გატაცებასთან დაკავშირებით კონსერვატიული პარტიის წევრი, პარლამენტარი ზვიად ძიძიგური აცხადებს, რომ ხელისუფლება "თითს არ ანძრევს იქაური მოსახლეობის დასაცავად". **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მაჟორიტარული არჩევნები შუახევში, ქობულეთში, ბათუმში, ტყიბულსა და თბილისის ისნის რაიონში, კანონის თანახმად, ოქტომბერ-ნოემბრისთვის დაინიშნება.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის გურამ ჩალაგაშვილის თქმით, არჩვენების თარიღის განსაზღვრა დამოკიდებულია სიების მოწესრიგებასა და ყველა იმ პროცედურაზე, რაც ცესკო-ს არჩევნების ობიექტურად ჩატარების საშუალებას მისცემს.

ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი იმ კანდიდატების შესახებ, რომელთაც აღნიშნულ საარჩევნო ოლქებში წარადგენენ.

როგორც რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი დავით ბერძენიშვილი აღნიშნავს, ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად პარტია, სავარაუდოდ, გიორგი მასალკინს წარადგენს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

*მედიანიუსი*

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# მთავარია სტაბილურობა

პირველი გვერდიდან

საამისოდ, საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინსტრუქციებს უნდა მიჰყვეს; აქციოთ ვალუტა მოქნილ ფულად, ასევე მნიშვნელოვანია საგარეო დახმარების სწორი მიმართულებით გამოყენება.

მიმდინარე წელი გამორჩეული იყო იმითაც, რომ საქართველოს ხელისუფლებას აქვს შემუშავებული საგანმანათლებლო და ჯანდაცვის პროგრამები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააძლიეროს ძალისხმევა ამ პროგრამების წარმატებით განხორციელებისათვის.

ვფიქრობ, საქართველოს კარგი შესაძლებლობები აქვს, ინვესტიციები ეფექტურად განათავსოს სოციალურ სფეროში.

**- როგორ ფიქრობთ, რა უნდა იყოს საქართველოს მთავარი ეკონომიკური პრიორიტეტები?**

- უპირველეს ყოვლისა, საიმედო მაკროეკონომიკური გარემოს შექმნისათვის აუცილებელია სტაბილურობა, და არავითარ შემთხვევაში - ინფლაცია ან მაღალი დეფიციტური მაჩვენებელი.

მეორე - ესაა მოქნილი ეკონომიკა, იგულისხმება კერძო ინვესტიციები, კერძო მეწარმეობის განვითარება და აღმშენებლობა.

მესამე - საჭიროა სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების სოციალურ და საგანმანათლებლო სფეროებში განთავსება.

ზოგადად კი, შემიძლია გითხრათ, რომ საჭიროა ინსტიტუტების გაძლიერება, ხარჯების მიმართვა სავალუტო, ფისკალური და საბიუჯეტო პოლიტიკის ეფექტურად გატარებისათვის. ამავდროულად, მნიშვნელოვანია გამჭვირვალობა და სტაბილურობა.

ვფიქრობ, არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთი ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რითაც შესაძლებელი იქნება ქართული საზოგადოების სწორი ინფორმაციითა და უსაფრთხოებით უზრუნველყოფა.

**- რა არის ის საკითხი, რომელთან დაკავშირებითაც საერთაშორისო სავალუტო ფონდს საქართველოს ხელისუფლებისაგან განსხვავებული პოზიცია აქვს?**

- ამჟამად, საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად, ჩვენ ვმუშაობთ პერსპექტიულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე. ჩვენ გვჯერა, რომ ეს არის სწორი მიმართულება.

საქართველოს ხელისუფლების ძირითადი ამოცანა იმ ინსტრუმენტული რეფორმის გატარებაა, რომელიც მას უკვე მიზნად აქვს დასახული.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნო, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი მხარს დაუჭერს და ითანამშრომლებს საქართველოს ხელისუფლებასთან 2005 წელს დასახული ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტურად განხორციელებისთვის.

*24 საათი*

# ალანიის ახალ პრეზიდენტს სამხრეთ ოსეთის შეერთება სურს

რუსულმა "ნოვაია გაზეტამ" ჩრდილო ოსეთის ახლად დანიშნულ ლიდერ თეიმურაზ მამსუროვთან ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელშიც ის აცხადებს, რომ "სამხრეთ ოსეთი" ჩრდილო ოსეთს უნდა შეუერთდეს.

"ვფიქრობ, მხოლოდ ერთი პერსპექტივა არსებობს. ოსები გახლეჩილი ერია. ჩვენ საბჭოთა კავშირში გაგვყვეს, ამიტომ, გაერთიანების გარდა, სხვა გზა არ არსებობს," - აცხადებს თეიმურაზ მამსუროვი.

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განლაგებულ შერეულ სამშვიდობო ძალებში ჩრდილო ოსეთს დაახლოებით 500 მშვიდობისმყოფელი ჰყავს.

ყოფილი პრეზიდენტის ალექსანდრე ძასოხოვისგან განსხვავებით, რომელიც "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტის მიმართ ზომიერი განცხადებებით იყო ცნობილი, თეიმურაზ მამსუროვი მაღალი რანგის პირველი წარმომადგენელია, რომელიც "სამხრეთ ოსეთთან" ალანიის გაერთიანების შესახებ საჯარო განცხადებას აკეთებს.

ინტერვიუში მამსუროვი იმასაც აცხადებს, რომ დანიშვნამდე ის "სამხრეთ ოსეთის" ლიდერს ედუარდ კოკოითს შეხვდა, რომელიც მაშინ ვლადიკავკაზში იმყოფებოდა.

*მედიანიუსი*

ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

ყოველ ორშაბათს 11-იდან 12 საათამდე რადიო-მოგზაურთა კლუბი „პროექტის ჰარმონია" და აშშ-ის საელჩოს დახმარებით შეგახვედრებთ საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის მონაწილეებს





წამყვანი: ნინო ჯახუა

სტუმრები: [illegible]

[illegible]

ნინო ელიზბარაშვილი: [illegible]

# ცხინვალში გაჩერებული დრო

პირველი გვერდიდან

შედეგი კი დღეს სახეზეა. **"მე და შენ, შესაძლოა, არ ვართ მტრები, მაგრამ ჩვენ ურთიერთმტრული სახელმწიფოების შვილები ვართ,"** - დღეს ამას მეუბნება ჩემსავე მიწაზე, ჩემივე მოძმე ერის წარმომადგენელი, სამხრეთ ოსეთის მკვიდრი, რომლის პასპორტშიც არის ჩანართი წარწერით - სამხრეთ ოსეთის მცხოვრები, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე.

გასულ წელს, 12-დან 21 აგვისტომდე, სამხრეთ ოსეთის არაღიარებულ რესპუბლიკაში ომი იყო. მსხვერპლი იყო ორივე მხრიდან. შედეგი დღესაც აშკარაა: დანგრეული სკოლა, თეატრი, ნატყვიარები სახლებზე, საკონტროლო-გამშვებ პუნქტებთან ამოთხრილი სანგრები.

ერგნეთის ბაზრობა - სწორედ მის გამო აირია აგვისტოში ყველაფერი. ახლა იქ სიცარიელეა, არც ერთი გამყიდველი აღარ ჩანს, თუმცა ჯერ კიდევ არის შემორჩენილი ძველი წარწერები - "სიგარეტი ბითუმად". ერთი წლის წინ ერგნეთის ბაზრობა ცნობილი ადგილი იყო, სადაც წლების განმავლობაში, როკის გვირაბის გავლით, რუსეთიდან გადმოტანილ კონტრაბანდულ საქონელს ყიდდნენ.

გასულ ზაფხულს, საქართველოს ხელისუფლებამ კონტრაბანდისთვის წერტილის დასმა სცადა და, ერთ დღეს, ერგნეთის ბაზრობა დაკეტეს. ამ დროს კიდევ ერთხელ და უფრო ხმამაღლა გაისმა ლოზუნგები - **"დამოუკიდებლობა სამხრეთ ოსეთს!"** და დაიწყო ომი.

ქართველი ჟურნალისტებით დატვირთული ავტობუსი ერგნეთის ბლოკპოსტს უახლოვდება. აქედან კარგად ჩანს ცხინვალი, ნაცრისფერი, სევდიანი, ცარიელი და საბჭოთა სტილის სახლებით სავსე. ბლოკპოსტთან ახლოს წარწერაა - "რუსეთს + ოსეთი", სამხრეთ ოსეთის მთელ ტერიტორიაზე მხოლოდ რუსული და ოსური დროშებია გამოფენილი.

რუსეთის გავლენას და ავტორიტეტს კიდევ უფრო ხაზს უსვამს ცხინვალის შესასვლელშივე დამონტაჟებული ბილბორდი, რომლიდანაც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი იმზირება და რომელსაც ამშვენებს წარწერა - "პუტინი ჩვენი პრეზიდენტია". ლოგიკურად ჩნდება კითხვა - და ვინ არის მაშინ ედუარდ კოკოითი?

**- ჩვენ ხომ ორმაგი მოქალაქეობა გვაქვს, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის და რუსეთის ფედერაციის,** - მიხსნის იურა ვაზაგაევი, ოსი ჟურნალისტი, **- ჰოდა, თუ მეკითხები როგორც სამხრეთ ოსეთის მოქალაქეს, მაშინ ჩემი პრეზიდენტი კოკოითია, ხოლო თუ მეკითხები როგორც რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს - ვლადიმირ პუტინი.**

- და რა არის თქვენი მიზანი? დამოუკიდებლობა თუ რუსეთთან მიერთება? - ამ შეკითხვაზე იბნევა, რამდენიმეწუთიანი ფიქრის შემდეგ კი თვითდაჯერებული მპასუხობს:

**- ჯერ - დამოუკიდებლობა, რომლის მიღებაც დროის ამბავია, ხოლო შემდეგ - რუსეთთან მიერთება.**

- თქვენი მოსახლეობა იცნობს იმ სამშვიდობო ინიციატივას, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა სამხრეთ ოსეთს შესთავაზა?

**- კი, ყველას წაკითხული აქვს, მაგრამ რაში გვჭირდება? ეგ ყველაფერი ხომ ისედაც გვაქვს, რუსეთი ამ ყველაფერს გვაძლევს.**

- კარგად გახსოვს, ბესლანში რაც მოხდა? კრემლის პოლიტიკას უამრავი უდანაშაულო ბავშვი რომ შეეწირა?

**- მსგავსი რამ ყველგან შეიძლება მოხდეს, აი, ხომ მოხდა 11 სექტემბერს ამერიკაში? სხვათა შორის, ბესლანში ტერორისტები საქართველოდან მოხვდნენ, პანკისის ხეობიდან, - თავდაჯერებულია ვაზაგაევი და კამათსაც აზრი არ აქვს, ამას ხომ რუსებიც კი არ ამბობენ.**

ოს ჟურნალისტებთან საუბრისას რეპლიკები და პასუხები ერთმანეთს ჰგავს, სათქმელი ყველას ერთი აქვს - **"რას გვიშვრებით ეს ქართველები, ისევ ომი გინდათ?!"** იდენტური პასუხების მიზეზი მალე ირკვევა და მას სახელად ირინა გაგლოევა (სამხრეთ ოსეთის ინფორმაციის კომიტეტის თავმჯდომარე) ჰქვია. ქართველი და ოსი ჟურნალისტების ყოველ შეხვედრაზე მისი გამოჩენა და ჩურჩული ახალ ბრალდებებს ბადებს.

მაგრამ მაინც, ჟურნალისტებს გამძაფრებული აქვთ ინტერესი ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივებისადმი. შედეგი - კონფლიქტი არ მოგვარდება, სანამ ეს რუსეთს არ მოუნდება.

სახლში დაბრუნების დროც მოდის. ავტობუსში ჩამსხდარ ქართველ ჟურნალისტებს ოსი კოლეგები შეძახილს აყოლებენ - ჩვენ არ მოგვწონს თქვენი დროშა. პასუხი - უმჯობესია, თუ მიეჩვევით, - მოგუდულად ისმის.

ქართველების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გასვლას სამშვიდობო ძალების ბლოკპოსტის მახლობლად, მაღალ ბოძზე მოფრიალე ქართული დროშა გვამცნობს.

...ცხინვალში ყოფნისას საათი გამიჩერდა. ნეტავ, რამდენი წლის წინ გაჩერდა აქ საათი? ან რამდენი წელია, რაც სამხრეთ ოსეთის საზოგადოება დახურულ სივრცეში ცხოვრობს, სადაც არ იციან, გარშემო რა ხდება და, ამიტომაც, ყველაზე მძაფრად ახლის შიში იგრძნობა.

**შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურსს თბილისი-ბათუმის დანიშნულებით მოძრავი საფირმო მატარებლის I და II კლასის ვაგონის მგზავრთა კვებაზე. მსურველებმა ა/წ 20 ივნისამდე წარმოადგინეთ თქვენი წინადადებები და კვების პროდუქტების ნიმუშები ფასის მითითებით.**

**შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს კონკურსს თბილისი-ბათუმის დანიშნულებით მოძრავი საფირმო მატარებლის მგზავრთა მაღალი ხარისხის თეთრეულით მომარაგებაზე. მსურველებმა ა/წ 20 ივნისამდე წარმოადგინეთ თქვენი წინადადებები და თეთრეულის ნიმუშები ფასის მიხედვით.**

"საქართველოს რკინიგზა"

# ბრძანება

**ქ. თბილისი**
**10 ივნისი, 2005 წ.**

ახალ სამგზავრო საფირმო მატარებელზე სეზონური სამგზავრო ტარიფების შემოღების შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზის" დირექტორთა საბჭოს 2005 წლის 31 მაისის №18/69 დადგენილების და გენერალური დირექტორის 2005 წლის 3 ივნისის ბრძანება №243/გ-ეს შესრულების მიზნით

**ვბრძანებ:**

1. შემოღებულ იქნეს 2005 წლის 1 ივლისიდან 21 სექტემბრამდე სეზონური სამგზავრო ტარიფები ახალ საფირმო მატარებელზე თანდართული ცხრილის მიხედვით.

2. დაევალოს სამგზავრო გადაყვანების სამსახურს, დაგეგმვისა და ფინანსური ანალიზისა და საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამსახურს ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და წარმოადგინონ დასამტკიცებლად ა.წ. 21 სექტემბრიდან შემოსაღები სამგზავრო ტარიფები.

ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ფილიალ "სამგზავრო გადაყვანების" დირექტორს (მ. შამუგია).

**გენერალური დირექტორი**
**დ. ონოფრიშვილი**

საფირმო მატარებელზე მგზავრობის ტარიფი (ლარი,თეთრი) ძალაშია 2005 წლის 1 ივლისიდან

| სარ. №№ | მანძილი კმ | სრული I კლასი | სრული II კლასი | სრული III კლასი | საბავშვო I კლასი | საბავშვო II კლასი | საბავშვო III კლასი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 7 | 8 | 9 |
| 5 | 1-50 | 23.50 | 15.50 | 7.50 | 13.30 | 9.30 | 5.30 |
| 6 | 51-60 | 23.50 | 16.50 | 7.50 | 13.30 | 9.80 | 5.30 |
| 7 | 61-70 | 24.50 | 16.50 | 7.50 | 13.80 | 9.80 | 5.30 |
| 8 | 71-80 | 24.50 | 16.50 | 4.50 | 13.80 | 9.80 | 5.30 |
| 9 | 81-90 | 25.50 | 17.50 | 7.50 | 14.30 | 10.30 | 5.30 |
| 10 | 91-100 | 25.50 | 17.50 | 7.50 | 14.30 | 10.30 | 5.30 |
| 11 | 101-110 | 26.50 | 17.50 | 7.50 | 14.80 | 10.30 | 5.30 |
| 12 | 111-120 | 26.50 | 17.50 | 8.50 | 14.80 | 10.30 | 5.80 |
| 13 | 121-130 | 27.50 | 18.50 | 8.50 | 15.30 | 10.80 | 5.80 |
| 14 | 131-140 | 28.50 | 18.50 | 8.50 | 15.80 | 10.80 | 5.80 |
| 15 | 141-150 | 28.50 | 18.50 | 8.50 | 15.80 | 10.80 | 5.80 |
| 16 | 151-160 | 29.50 | 19.50 | 8.50 | 16.30 | 11.30 | 5.80 |
| 17 | 161-170 | 29.50 | 19.50 | 8.50 | 16.30 | 11.30 | 5.80 |
| 18 | 171-180 | 30.50 | 19.50 | 9.50 | 16.80 | 11.30 | 6.30 |
| 19 | 181-190 | 30.50 | 19.50 | 9.50 | 16.80 | 11.30 | 6.30 |
| 20 | 191-200 | 31.50 | 20.50 | 9.50 | 17.30 | 11.80 | 6.30 |
| 21 | 201-210 | 31.50 | 20.50 | 9.50 | 17.30 | 11.80 | 6.30 |
| 22 | 211-220 | 32.50 | 20.50 | 9.50 | 17.80 | 11.80 | 6.30 |
| 23 | 221-230 | 32.50 | 21.50 | 9.50 | 17.80 | 12.30 | 6.30 |
| 24 | 231-240 | 33.50 | 21.50 | 9.50 | 18.30 | 12.30 | 6.30 |
| 25 | 241-250 | 34.50 | 21.50 | 10.50 | 18.80 | 12.30 | 6.80 |
| 26 | 251-260 | 34.50 | 21.50 | 10.50 | 18.80 | 12.30 | 6.80 |
| 27 | 261-270 | 35.50 | 22.50 | 10.50 | 19.30 | 12.80 | 6.80 |
| 28 | 271-280 | 35.50 | 22.50 | 10.50 | 19.30 | 12.80 | 6.80 |
| 29 | 281-290 | 36.50 | 22.50 | 10.50 | 19.80 | 12.80 | 6.80 |
| 30 | 291-300 | 36.50 | 23.50 | 10.50 | 19.80 | 13.30 | 6.80 |
| 31 | 301-310 | 37.50 | 23.50 | 10.50 | 20.30 | 13.30 | 6.80 |
| 32 | 311-320 | 37.50 | 23.50 | 11.50 | 20.30 | 13.30 | 7.30 |
| 33 | 321-330 | 38.50 | 23.50 | 11.50 | 20.80 | 13.30 | 7.30 |
| 34 | 331-340 | 38.50 | 24.50 | 11.50 | 20.80 | 13.80 | 7.30 |
| 35 | 341-350 | 39.50 | 24.50 | 11.50 | 21.30 | 13.80 | 7.30 |
| 36 | 351-360 | 40.50 | 24.50 | 11.50 | 21.80 | 13.80 | 7.30 |
| 37 | 361-370 | 40.50 | 25.50 | 11.50 | 21.80 | 14.30 | 7.30 |
| 38 | 371-380 | 41.50 | 25.50 | 11.50 | 22.30 | 14.30 | 7.30 |
| 39 | 381-390 | 41.50 | 25.50 | 12.50 | 22.30 | 14.30 | 7.80 |
| 40 | 391-400 | 42.50 | 25.50 | 12.50 | 22.80 | 14.30 | 7.80 |

* ტარიფს ემატება მოსაკრებელი 0.50 ლარი.
** ტარიფში I და II კლასის ვაგონისთვის გათვალისწინებულია კვების ხარჯები
*** ტარიფში გათვალისწინებულია თეთრეულის ხარჯები

# მიმართვა
## საქართველოს ხელისუფლებასა და საზოგადოებას

დღეს, ისე როგორც არასდროს, მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და საზოგადოების პოზიტიურ შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობა. ამ თანამშრომლობის შედეგი უნდა იყოს სამართლიანი, გამჭვირვალე, ლიბერალური ღირებულებების მატარებელი ინსტიტუტებისა და მთლიანად ზნეობრივ ფასეულობებზე დაფუძნებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ყოველივე ამის მთავარი წინაპირობა კი დამოუკიდებელი, კომპეტენტური, ობიექტური სასამართლო ხელისუფლების შექმნაა. ჩვენ კი თითქმის ყოველდღიურად გვიწევს შეხება, თუ როგორ აწარმოებს სახელმწიფო უთანასწორო ბრძოლას საკუთარ მოქალაქეებთან.

სასამართლო ხელისუფლების პირადი ინტერესების დაკმაყოფილების ინსტრუმენტია.

თუკი ხელისუფლების დაჟინებული მოთხოვნით სასამართლო მოემსახურება მხოლოდ კრიმინალური ყაიდის ჩინოვნიკების პირად ინტერესებს, ამით სწორედ ხელისუფლება აღმოჩნდება სამართლიანობის, კანონისა და საზოგადეობის ნდობის გარეშე.

ხელისუფლება საბჭოური ინერციით აგრძელებს საზოგადოების კონტროლსა და მართვას, ხოლო დემოკრატიული ქვეყნების მაგალითი კი გვიჩვენებს საპირისპიროს: სწორედ საზოგადოება უნდა მეთვალყურეობდეს ხელისუფლებას და იგი საზოგადოების წინაშე უნდა იყოს ანგარიშვალდებული.

ჩვენ კი, როგორც ამ ქვეყნის რიგითი მოქალაქეები, თავს მოვალედ ვთვლით, ხელისუფლებას კიდევ ერთხელ შევახსენოთ შემდეგი:

1. ჯიბის სასამართლოს არსებობა.
2. ადამიანის უფლებების სფეროში არსებული მწვავე პრობლემები.
3. საბჭოური პროკურატურა.
4. სახელმწიფო რეკეტი და შავი ფონდები.
5. ფსიქოლოგიური და იურიდიული ტერორი.
6. ძველი წილების ახალი ჩინოვნიკებით ჩანაცვლება, ანუ ახალი წელთაღრიცხვა.
7. მერის არჩევითობის უფლების წართმევა და თვითმმართველობის არარსებობა.
8. თავისუფალ მედიაზე ზეწოლის ნიშნები.

ამ ძირითადი პრინციპების ხელისუფლების მხრიდან უგულებელყოფა გამოიწვევს ავტორიტარული, კრიმინალური სისტემის შექმნას, რაც კიდევ ათწლეულობით შეაფერხებს ქვეყნის განვითარებას, ხოლო ასეთი ტიპის სისტემების ლოგიკური დასასრული უახლესი ისტორიისათვის კარგადაა ცნობილი.

მიმართვას ხელს აწერენ: ბასა ჯანიკაშვილი - მწერალი, გიორგი გაჩეჩილაძე (უცნობი) - მუსიკოსი, რატი ამაღლობელი - პოეტი, ლაშა ბუღაძე - მწერალი, თინათინ ხიდაშელი -იურისტი, ნიაზ დიასამიძე - მუსიკოსი, ირაკლი კაკაბაძე - მწერალი, ირაკლი სოლომანაშვილი - მწერალი, ზაზა კორინთელი (ზუმბა) - მუსიკოსი, ვახო ბაბუნაშვილი - მუსიკოსი, გიორგი ასანიშვილი - რადიო "უცნობის" პროდიუსერი, აჩიკო გულედანი - მუსიკოსი, გოგი ძოძუაშვილი - მუსიკოსი, დათო ტურაშვილი - მწერალი, ნინია კაკაბაძე, ჟურნალისტი, დავით მაღრაძე - მწერალი, ეკა კვესიტაძე - ჟურნალისტი, მაკა მიქელაძე - მწერალი, ზურა რთველიაშვილი - პოეტი, შალვა რამიშვილი - ჟურნალისტი და სხვ.



**გაზეთის 9 ივნისის N128-ში** გამოქვეყნებულ ტენდერში, რომელსაც აცხადებდა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური გაიპარა უზუსტობა.
" **II - ლოტი:** ქ. თბილისის ორთოფოტო (კოსმოსური ფოტოსურათები): **- IKONOS**-ის 1 მეტრიანი სიზუსტის ფერადი **მონო** სურათები"-ის **ნაცვლად უნდა ეწეროს** "**II - ლოტი:** ქ. თბილისის ორთოფოტო (კოსმოსური ფოტოსურათები): - 1 მეტრიანი სიზუსტის ფერადი სურათები". ამოვარდა **ლოტი III** და შესასრულებელი სამუშაოები დაიყო ოთხ ლოტად.
ასევე სატენდერო წინადადებების მიღების ვადა გადაიწია 27 ივნისიდან 29 ივნისის 17 საათამდე.

**გაზეთის 13 ივნისის N131-ში** გამოქვეყნებულ ტენდერში, რომელსაც აცხადებდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ცენტრალური აპარატი გაიპარა უზუსტობა. "ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ცენტრალური აპარატი (ქ. თბილისი ჭანტურიას ქ N 12 ) აცხადებს ღია ტენდერს სამინისტროს კუთვნილი ავტომანქანების სერვისული მომსახურების შესყიდვაზე და გიწვევთ **დახურულ** ტენდერში მონაწილეობის მისაღებად"-ის **ნაცვლად უნდა ეწეროს** "ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ცენტრალური აპარატი (ქ. თბილისი ჭანტურიას ქ N 12) აცხადებს ღია ტენდერს სამინისტროს კუთვნილი ავტომანქანების სერვისული მომსახურების შესყიდვაზე და გიწვევთ **ღია** ტენდერში მონაწილეობის მისაღებად"

## მიწისქვეშა გადასასვლელებს ფუნქცია უბრუნდება

ნანა ქადაგიშვილი

*თბილისის საკრებულომ ქალაქის მთავრობას ერთი თვის ვადაში მიწისქვეშა გადასასვლელების სარემონტო სამუშაოების პროგრამის შემუშავება და მისი მომავალი წლის ბიუჯეტიდან დაფინანსება დაავალა. რამდენიმე, ნაკლებად გამოყენებადი გადასასვლელი კი, შეიძლება, გაუქმდეს კიდეც.*

იმ ავადსახსენებელ წლებთან შედარებით, როცა მიწისქვეშა გადასასვლელი საპირფარეშოსთან ასოცირდებოდა, ბოლო პერიოდში მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. გადასასვლელებს ახლა აღნიშნული ფუნქციით იშვიათადღა იყენებენ. მოსახლეობა მიწისქვეშ უკვე დადის. ამ მიღწევას მხოლოდ ქალაქელების შეგნების ამაღლებას ვერ დავაბრალებთ. მიწისქვეშა გადასასვლელების ფუნქციას ხელისუფლებაც მიხვდა და ბიზნესმენებიც.

წელს, ბოლო 5 თვეში, ქალაქის ბიუჯეტიდან თბილისში არსებული რამდენიმე მიწისქვეშა გადასასვლელის მოვლა-პატრონობაზე 132 ათასი ლარი დაიხარჯა. ანუ, კაპიტალურად შეკეთდა ვაჟა-ფშაველას გამზირისა და ქართველიშვილის ქუჩის გადაკვეთაზე, ჭავჭავაძის გამზირზე (მეცხრე საავადმყოფოსთან) და რუსთაველის გამზირზე (მეცნიერებათა აკადემიასთან) მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელები; ჩუღურეთში, ტერენტი გრანელის ქუჩაზე, რკინიგზის ლიანდაგების ქვეშ მდებარე გადასასვლელში მოწესრიგდა მიწისქვეშა კომუნიკაციები; მერაბ კოსტავას ქუჩაზე გადასასვლელში დამონტაჟდა არტერიული წყლების ამომქაჩი ჰიდრავლიკური დანადგარი.

ბიზნესმენებიც მალე მიხვდნენ, რომ ვაჭრობა მიწისქვეშაც წარმატებით შეიძლება და გადასასვლელების უმეტესობა სავაჭრო ცენტრებითა და დახლებით შეავსეს. ეს კი, ბიზნესმენის გარდა, ბიუჯეტსაც წაადგა და მოსახლეობასაც. თუმცა, დღეს კიდევ ბევრი დარჩა ისეთი მიწისქვეშა გადასასვლელი, სადაც ასეთ შეხმატკბილებულ სურათს ვერ წააწყდებით.

დედაქალაქში არსებული 54 გადასასვლელიდან 29 ისევ ძველ დროში ჩარჩა. 11 გადასასვლელი დაუსუფთავებელ-გაუნათებელია, დანარჩენ 18-ში კი, აღნიშნული პრობლემების გარდა, საკანალიზაციო-სანიაღვრე ჭებს თავსახურები აკლია და სიბნელეში აქ გასვლას დიდი ვაჟკაცობა სჭირდება. ამ 29 გადასასვლელის რიცხვში შედის გმირთა, სააკაძისა და ორბელიანის მოედნებზე, ბარათაშვილის ხიდის, მეტრო "ავლაბრის" წინ, თამარ მეფის გამზირისა და წინამძღვრიშვილის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე გადასასვლელები. ორბელიანის მოედანზე მდებარე გადასასვლელს კი დამატებით ერთი გასაჭირიც ადგას - მისი ჩასასვლელი სავაჭრო ობიექტებით ისეა ჩახერგილი, გადასასვლელი კეთილმოწყობილიც რომ იყოს, შიგ ჩასვლა მაინც გაჭირდება. თუმცა, აეროპორტის ავტოსტრადის მიწისქვეშა გადასასვლელების მდგომარეობასთან შედარებით, ზემოთ დასახელებული გადასასვლელების გაჭირვება მონაგონია. წვიმის დროს წყალს მიწა შიგნით ჩააქვს, რაც საკანალიზაციო ქსელებს სისტემატურად აზიანებს და გადასასვლელი ტალახით ივსება.

საკრებულოს დადგენილებით, მომავალი წლისთვის ეს პრობლემები აღარ უნდა იყოს. ქალაქის მთავრობამ ერთი თვის ვადაში უნდა შეიმუშაოს მათი აღმოფხვრის პროგრამა და ამ პროგრამის განსახორციელებლად თანხები მომავალი წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს. ამასთან, შეიძლება მიწისქვეშა გადასასვლელების რიგებს 11 მათგანი გამოაკლდეს. **"მიწისქვეშა გადასასვლელები, რომლებიც იშვიათად გამოიყენება, რადგან მათი მიმდებარე ტერიტორია მჭიდროდ დასახლებული არ არის, მძიმე ტვირთად აწვება ქალაქის ბიუჯეტს. ამიტომ მათი არსებობის მიზანშეწონილობის საკითხი გადასაწყვეტია,"** - ადგენს საკრებულო. ასეთ გადასასვლელებად კი მიჩნეულია: აეროპორტის ავტოსტრადაზე 4 გადასასვლელი, ალმაშენებლის ხეივანზე 3 გადასასვლელი და თითო-თითო - კინო "საქართველოსთან", მთაწმინდა-კრწანისის რაიონში (ყოფილი წინდების ფაბრიკის წინ), ანჩისხატის ეკლესიის წინ და კოსტავას ქ №60-ში სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინ.

სხვათა შორის, ბოლო გადასასვლელი (სოფლის მეურნეობის სამინისტრის წინ) ქალაქის მთავრობამ შარშან დიდის ამბით გახსნა (წლების მანძილზე ეს გადასასვლელი ჩახერგილი იყო). ე.წ. "სამკუთხედის" ამოქმედების შემდეგ კოსტავას ქუჩაზე ფეხით გადასვლა განსაკუთრებით გაჭირდა და მიწისქვეშა გადასასვლელის ამოქმედებაც ამიტომ გახდა საჭირო. მართალია, ფეხით მოსიარულეთა ნაწილი ისევ ქუჩაზე ზევიდან გადასვლას ამჯობინებს, მაგრამ ნაკლებად გაბედულებს ამ ადგილას მიწისქვეშა გადასასვლელის გაუქმება სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის - კოსტავას ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე მოხვედრა მხოლოდ ფილარმონიის წინ მდებარე გადასასვლელით შეეძლებათ.

# "ჯეოსელს" ყურადღების მიღმა არავინ რჩება



*პრეზიდენტმა ყველაზე ნორჩ გამომგონებელს სამკერდე ნიშანი აჩუქა.*



*გიული ალასანია ოსმან თურანს სერტიფიკატს გადასცემს.*

ხათუნა ბიგაური

**"ჩემი შვილის მაგალითით თუ ვიმსჯელებ, ძნელია იმის თქმა, ყოველდღიურმა სწავლამ უფრო მეტი ცოდნა შესძინა, თუ ასეთ შეჯიბრებებში მონაწილეობამ,"** - განაცხადა ნორჩ მეცნიერთა გამოფენის გახსნაზე ჟიურის წევრმა გიული ალასანიამ. გამოფენაზე, რომელიც ქარვასლაში ორიოდე დღის წინ გაიმართა, საქართველოს მასშტაბით 108 პატარა გამომგონებლის 92 პროექტი იყო წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიების სპონსორი კომპანია "ჯეოსელია". **"ქართველი ხალხი კარგა ხანია შეეჩვია "ჯეოსელის" მიერ მოწყობილ სიურპრიზებს. ამ ორგანიზაციას არც ერთი ღონისძიება ყურადღების გარეშე არ რჩება,"** - აღნიშნა გიული ალასანიამ, რის შემდეგაც "ჯეოსელის" გენერალურ მენეჯერს ოსმან თურანს სერტიფიკატი გადასცა - **"ღრმა პატივისცემითა და მადლიერების გრძნობით გადაეცა ფირმა "ჯეოსელის" გენერალურ დირექტორს ბატონ ოსმან თურანს ნორჩ მეცნიერთა და გამომგონებელთა პირველი რესპუბლიკური კონკურსის ორგანიზებაში შეტანილი წვლილისთვის, გამომგონებლური და შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა წახალისებისთვის."**

კონკურსი საქართველოს განათლების სამინისტროს, აზერბაიჯანულენოვანი საგანმანათლებლო დაწესებულებების კავშირის "ჩაღლარის" და თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ერთობლივი ძალისხმევით გაიმართა. **"საბჭოთა პერიოდის შემდეგ ასეთი კონკურსები აღარ ჩატარებულა. ტექნიკური გამომგონებლები დღესაც ბევრია. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მოსწავლეები, რომელთაც აქ თავიანთი ნამუშევრები წარმოადგინეს, მომავალ მეცნიერებას ჩაუყრიან საფუძველს,"** - განაცხადა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ბელა წიფურიამ.

ბათუმელმა ევგენი დიასამიძემ მისი "ოცნების მანქანა" ავტოკატასტროფების თავიდან აცილების მიზნით შექმნა. სხვა გამომგონებლებმაც გააოცეს სტუმრები. დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორმა მაია ინასარიძემ გამოფენა-კონკურსს ცოდნის უნარ-ჩვევებში გადატანის საშუალება უწოდა.

**"უპირველეს ყოვლისა, მადლობას მოვახსენებ დღევანდელი აქციის ორგანიზატორებს ამ არაჩვეულებრივი ინიციატივისთვის და აქციის მოწყობისთვის. ასეთი სახის აქციების ორგანიზება მნიშვნელოვანია განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენისა და მათი წახალისებისთვის. თავის დროზე, ალბათ, ასეთი გამომგონებელი ბავშვები იყვნენ ის უდიდესი ინოვატორები, ვინც შემდგომში საფუძველი ჩაუყარა დღევანდელ უახლეს ტექნოლოგიებს მსოფლიო ინდუსტრიის სხვადასხვა სფეროებში. მათ შორის ერთ-ერთი - მობილური კავშირგაბმულობაა. ათეული წლის წინ მობილური კავშირგაბმულობა წარმოუდგენელი იყო, რომელსაც, ალბათ, ასეთი ღონისძიებების შედეგად ჩაეყარა საფუძველი. ასე რომ, დღევანდელი კონკურსის მონაწილეები მომავალში შეიძლება დღეს არსებული მობილური კავშირგაბმულობის შემდეგი საფეხურის ავტორები გახდნენ,"** - აღნიშნა "ჯეოსელის" გენერალურმა მენეჯერმა, რომელსაც ქართულად მეტყველებისთვის გიული ალასანიამ მადლობა გადაუხადა. ოსმან თურანმა კი, თავის მხრივ, პატარა გამომგონებლებს დაულოცა გზა.

კონკურსის პირველ ადგილზე გასული 8 ნორჩი გამომგონებელი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დააჯილდოვა. ცნობისთვის, თითო გამარჯვებულმა საჩუქრად 1 500 ლარი მიიღო. პრეზიდენტმა კონკურსის ყველაზე პატარა მონაწილე, "მტვერსასრუტის გამომგონებელი" პირადად დააჯილდოვა და მას საკუთარი სამკერდე ნიშანი - საქართველოს დროშა აჩუქა. კომპანია "ჯეოსელმა" კი კონკურსის ყველა მონაწილე სიმბოლური საჩუქრებით დააჯილდოვა.

გამოფენაზე ყველა აღნიშნავდა, რომ ახალი, საოცარი აღმოჩენების მომსწრენი გახდნენ. **"განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებს მომავალშიც გამოვავლენთ,"** - განაცხადეს გამოფენის დახურვისას კონკურსის ხელმძღვანელებმა და დასძინეს: "ჯეოსელის" კეთილი ნება და გვერდში დგომა რომ არა, კონკურსი ვერ გაიმართებოდა.


სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ყვარლის რაიონის ქ. ყვარლის გიმნაზიის რეაბილიტაცია.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ქ. ყვარლის განვითარების სათემო კავშირთან "ყვარელი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "ყვარელი" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ყვარლის რაიონი,

ქ. ყვარლის, გამგეობის შენობა

საკონტაქტო პირი ლევან კოკორაშვილი -სათემო კავშირი "ყვარელი"-ს თავჯდომარე

2005 წლის 18 ივნისის 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 3200 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ყვარლის რაიონი,

ქ. ყვარელი, გამგეობის შენობა, საკონტაქტო პირი ლევან კოკორაშვილი -სათემო კავშირი "ყვარელი"-ს თავჯდომარე

2005 წლის 18 ივლისის 15 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი**
**ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო**
**ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79**
**ფაქსი: (995 32) 23 01 03**



სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო კრედიტი და აპირებს დააფინანსოს კრედიტის ნაწილით **გარდაბნის რაიონის დაბა კოჯრის საშ. სკოლის შენობის რემონტი**.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფ. შეხვეტილის საკრებულოს სათემო კავშირთან **"კოჯორი-2005"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"კოჯორი-2005"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, გარდაბნის რაიონი,**

**დაბა კოჯრის საშ. სკოლის შენობა.**

საკონტაქტო პირი **გიორგი აფციაური**, სათემო კავშირი **"კოჯორი-2005"**-ს თავმჯდომარე.

**2005** წლის **7** ივნისიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, გარდაბნის რაიონი,**

**კოჯრის საკრებულო საშ. სკოლის შენობა.**

საკონტაქტო პირი **გიორგი აფციაური**, სათემო კავშირი "სანდო"-ს თავმჯდომარე.

**2005 წლის 7 ივლისის 13 საათამდე**.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13.00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი**
**ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო**
**ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79**
**ფაქსი: (995 32) 23 01 03**



სსიფ GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით ყვარლის რაიონის სოფ. შილდის სკოლის რეაბილიტაცია.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება სოფელ შილდის განვითარების სათემო კავშირთან "შილდა", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი "შილდა" იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ყვარლის რაიონი,

სოფ. შილდის, გამგეობის შენობა

საკონტაქტო პირი ვანო კანანაძე -სათემო კავშირი "შილდა"-ს თავჯდომარე

2005 წლის 18 ივნისის 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 3500 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ყვარლის რაიონი,

სოფ. შილდის, გამგეობის შენობა, საკონტაქტო პირი ვანო კანანაძე - სათემო კავშირი "შილდა"-ს თავჯდომარე 2005 წლის 18 ივლისის 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი**
**ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო**
**ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79**
**ფაქსი: (995 32) 23 01 03**

# ბრიტანული დიპლომატიის "ციებ-ცხელება"

## ტონი ბლერი მსოფლიო ლიდერებთან კონსულტაციებს განაგრძობს

*დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ხანგრძლივ საზღვარგარეთულ ტურნეს მართავს. ტონი ბლერს დიდი ამოცანები აქვს დასახული - იგი ორი უმაღლესი დონის სამიტისთვის ემზადება: 16-17 ივნისს ევროკავშირის სამიტია დაგეგმილი, ხოლო 6-8 ივლისს "დიდი რვიანის" ლიდერები უნდა შეიკრიბონ შოტლანდიაში. დღის წესრიგიც უაღრესად ფართოა - იგი მოიცავს როგორც რეგიონულ (ევროკავშირში გაღრმავებული კრიზისის დაძლევა), ასევე, გლობალურ პრობლემებზე მსჯელობას (აფრიკის უღარიბესი ქვეყნებისთვის ვალების ჩამოწერა და გლობალური ეკოკატასტროფის თავიდან აცილების გზების ძიება). ბრიტანეთი, როგორც "დიდი რვიანის" თავმჯდომარე და ევროკავშირის მომავალი თავმჯდომარე-ქვეყანა (ამ პასუხისმგებლობას ლუქსემბურგისგან ივლისიდან გადაიბარებს), აღნიშნული საკითხების განხილვას ცდილობს ამერიკასა და ევროპაში. ვაშინგტონის შემდეგ ტონი ბლერი გუშინ რუსეთში მართავდა შეხვედრებს.*

ნიკა თარაშვილი

**"ორშაბათს მოსკოვში გამართული მოლაპარაკებები დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერსა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს შორის მხოლოდ დასაწყისი იქნება დიპლომატიური "ციებ-ცხელების" კვირეულისა, რომელიც კულმინაციას ევროკავშირის სამიტზე მიაღწევს",** - წერდა გუშინ ბრიტანული "ფაინენშლ თაიმსი".

ბრიტანეთის მთავრობის მეთაური მოსკოვის შემდეგ ევროპაში მოგზაურობას გააგრძელებს და ბერლინს, ლუქსემბურგსა და პარიზს ეწვევა. ამ ტურნეს, რომელიც ვაშინგტონში ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის სტუმრობას მოჰყვა, სხვა უფრო წარმომადგენლობითი შეხვედრების "წინა ეტაპი" შეიძლება ეწოდოს. ვიზიტების მიზანია ევროკავშირის მომავალი სამიტისა და "დიდი რვიანის" უმაღლესი დონის შეხვედრისთვის სამზადისი.

ტონი ბლერი მოსკოვში კვირას გვიან სალამოს ჩავიდა - სწორედ იმ დღეს, როცა მოსკოვმა ბრიტანეთს მოუწოდა, პარტნიორული ურთიერთობები "ორმაგი სტანდარტების" გამოყენების გარეშე ააგოს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის ალექსანდრ იაკოვენკოს თქმით, "ორ ქვეყანას შორის მთლიანობაში არცთუ ცუდ ურთიერთობებს ჩრდილს აყენებს ნეგატიური მომენტები - პირველ რიგში, დიდ ბრიტანეთს შეფარებული ე.წ. ახალი პოლიტემიგრანტების ანტირუსული მოღვაწეობა". შეგახსენებთ, საუბარია ბრიტანეთში პოლიტიკური ლტოლვილების სტატუსით მცხოვრებ ოლიგარქ ბერეზოვსკისა და ჩეჩენ მეამბოხეთა ემისარ ზაკაევზე.

ვიზიტი, რომელიც ჯერ კიდევ 9 მაისს, გამარჯვების დღის აღსანიშნავ ზეიმთან დაკავშირებით უნდა განხორციელებულიყო, ბრიტანეთის ახალი კაბინეტის ფორმირების მომიზეზებით გადაიდო. მართალია, რუსეთის ფედერაციაში გაერთიანებული სამეფოს ელჩი ენტონი ბრენტონი კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ხმებს ქვეყნებს შორის არსებული დაძაბულობის შესახებ, მაგრამ ტონი ბლერის მოსკოვში ჩასვლაზე მაშინდელმა უარმა, ბუნებრივია, სერიოზული ეჭვები გააჩინა. ასე რომ, ბრიტანეთის მთავრობის მეთაურის მოსკოვში ჩასვლა ერთგვარი გარდატეხაც უნდა ყოფილიყო მოსკოვსა და ლონდონს შორის ჩამოყალიბებულ ტრადიციულად "დაძაბულ" ურთიერთობებში.

თუმცა, ობიექტურობისთვის აუცილებელია, ითქვას, რომ დღეს ორ ლიდერს კამათისთვის აშკარად ნაკლები დრო ექნებათ. საფრანგეთსა და ნიდერლანდებში რეფერენდუმების ჩავარდნის გამო, ევროკავშირში ღრმა კრიზისია. გარდა ამისა, არსებულ პრობლემებს ევროგაერთიანების ბიუჯეტის თაობაზე საფრანგეთსა და ბრიტანეთს შორის მწვავე კამათიც დაერთო, ხოლო აფრიკულ ვალებსა და გლობალურ დათბობაზე ვაშინგტონში მსჯელობა სულაც არ ყოფილა ისეთი წარმატებული, როგორც ჯორჯ ბუში და ტონი ბლერი აღნიშნავდნენ. აშკარაა, ბუნდოვანება ამ საკითხებზე მსჯელობასაც ახლდა. ასე რომ, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მხრიდან კონსულტაციებისთვის რუსეთში ჩასვლა მართლაც დროული იყო.



*ტონი ბლერი კონსულტაციებს ამჟერად პუტინთან მართავდა.*

**"იმედს გამოვთქვამ, რომ რუსეთის ფედერაციასა და დიდ ბრიტანეთს შორის ბოლო დროს ჩამოყალიბებული კარგი ურთიერთობები არ განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს - პირიქით, ჩვენ ყველა მიმართულებით განვავითარებთ კონტაქტებს",** - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა ნოვო-ოგარიოვოს სახელმწიფო აგარაკზე შეხვედრის დასაწყისში. გულახდილად რომ ვთქვათ, ეს განცხადება დიპლომატიური ეტიკეტია და სხვა არაფერი, მაგრამ წელს "დიდ რვიანს" ბრიტანეთი თავმჯდომარეობს, მოსკოვს კი იმედი აქვს, რომ მომავალ წელს რუსეთის სრულუფლებიან თავმჯდომარეობას ლონდონი მხარს დაუჭერს. საქმე ისაა, რომ დასავლეთში ეჭვქვეშ აყენებენ და ვერ გადაუწყვეტიათ, აქვს თუ არა "დემოკრატიის გზასაცდენილ" რუსეთს "დიდი რვიანის" ხელმძღვანელობისა და მიმართულების მიცემის უფლება. **"მზად ვიქნებით, ვისარგებლოთ თქვენი გამოცდილებითა და რჩევებით, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თქვენ, დიდი ხანია, ამ ჯგუფს ეკუთვნით და კოლეგებთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილება გაქვთ",** - მიუხედავად "ეჭვებისა", უკვე "რვიანის" თავმჯდომარედ გრძნობს თავს რუსეთის პრეზიდენტი.

თავის მხრივ, ბლერმა აღნიშნა, რომ "დაეხმარება მას რითაც შეძლებს"; და იქვე აღნიშა, რომ იმედი აქვს, "დიდი რვიანის" მომავალი (2006 წლის) სამიტი სანკტ-პეტერბურგში გაიმართება და წარმატებული გამოდგება.

რაც შეეხება დიდი ბრიტანეთის ინიციატივას აფრიკის უღარიბესი ქვეყნებისთვის ვალების ჩამოწერასთან დაკავშირებით, მოსკოვი მზადაა, მხარი დაუჭიროს. თუმცა, ერთი, საგულისხმო დათქმით - **"ვფიქრობ, რომ ფინანსური დახმარების აღმოჩენა, უზარმაზარი მოცულობის ვალების ჩამოწერა, დემოკრატიის განვითარებისა და ფინანსური ნაკადების კონტროლის გაძლიერების პარალელურად უნდა მოხდეს",** - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა. ხოლო, როცა ჟურნალისტმა მას ჰკითხა, თუ რამდენად დემოკრატიულია თავად რუსეთი, პუტინმა ცინიკურად განაცხადა: **"აფრიკულ ქვეყნებში არსებობს პოლიტიკური ოპონენტების "შეჭმის" ტრადიცია. ჩვენ რუსეთში ასეთი ტრადიცია არ გვაქვს".**

ასე რომ, რუსეთში თუ პოლიტიკურ ოპოზიციას არ ჭამენ, ყველაფერი რიგზე ყოფილა... ამიტომაა ალბათ, რომ პუტინს დემოკრატიული ინსტიტუტების მიერ გამოთქმული კრიტიკა ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევად ეჩვენება. "მხოლოდ იმას ვაპროტესტებთ, რომ ეს კრიტიკა ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევად არ იქცეს და არ ეწინააღმდეგებოდეს ჩვენს საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს", - განაცხადა პუტინმა.

გარდა ამისა, ერთობლივ პრესკონფერენციაზე გაირკვა, რომ ლიდერების საუბარი დსთ-ს სივრცესაც ეხებოდა. კრემლი უკმაყოფილებას გამოთქვამს დსთ-ს სივრცეში ერთობლივი თანამშრომლობის ნაკლებობის გამო. **"ეს სივრცე ბრძოლის ველად კი არ უნდა გადავაქციოთ, არამედ - თანამშრომლობის. და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა მათ (დსთ-ს ქვეყნებს) მხარდაჭერა აღმოვუჩინოთ დემოკრატიისა და ეკონომიკის განვითარების საქმეში",** - თვლის რუსეთის ლიდერი, რამდენად გულწრფელად - სხვა საკითხია...

# აფეთქება დუშანბეში

ორშაბათს ტაჯიკეთის საგანგებო მდგომარეობათა სამინისტროს შენობასთან ხილით დატვირთული ორთვალა აფეთქდა. მისი მეპატრონე არ დაშავებულა. თუმცა, ინციდენტის შედეგად ახლომდებარე შენობების მინები ჩაიმსხვრა; დაზიანდა ავტომანქანები და მსუბუქად დაშავდა იმ დროისათვის ქუჩაში მყოფი ხალხი. ურიკის მეპატრონის თქმით, ორმა უცნობმა მას საგანგებო საქმეთა სამინისტროსა და ბანკის შენობამდე ტვირთის მიტანა სთხოვა. მომხდარს, შესაძლოა, ტერაქტის სტატუსი მიენიჭოს.

მსგავსი ინციდენტი საგანგებო საქმეთა სამინისტროსთან წელს მეორედ მოხდა. პირველი აფეთქება აღნიშნულ შენობასთან იანვრში გაისმა. მაშინ სამინისტროს მიმდებარე ტერიტორიაზე დანაღმული ავტომობილი აფეთქდა.

# "გარდამტეხ სამიტზე" თურქეთის საკითხს აღარ განიხილავენ

ევროკავშირის სამიტზე, რომელიც 16 ივნისს დაიწყება, არ იგეგმება ბლოკში თურქეთის გაწევრიანების საკითხის განხილვა. საყურადღებოა, რომ ასეთი რამ ბოლო წლების მანძილზე პირველად ხდება. ევროკავშირის დიპლომატების ინფორმაციით, ყოველივე ეს გამოწვეულია ევროკავშირის კონსტიტუციის გარშემო ჩატარებული რეფერენდუმების ჩავარდნით - საფრანგეთსა და ნიდერლანდებში. თუმცა, დიპლომატების განცხადებით, მიღწეულია შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს თურქეთის ჩართვას ბლოკის ათი ახალი წევრის საბაჟო კავშირში, სადაც კვიპროსიც შედის. როგორც კი ანკარა ხელს მოაწერს ამ დოკუმენტს, მას შესრულებული ექნება ბლოკის ყველა მოთხოვნა იმისათვის, რომ 3 ოქტომბერს კვლავაც განახლდეს თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხზე მსჯელობა.

***რადიო თავისუფლება***

# ირანის ხელისუფლება ტერორისტებს ეძებს

ისლამური რესპუბლიკის გენერალური პროკურორის განცხადებით, დააკავებენ და სამაგალითოდ დასჯიან იმ პირებს, რომლებსაც კვირას მომხდარ აფეთქებებში მიუძღვით ბრალი. აფეთქებათა სერიამ 12 ივნისს, სულ მცირე, 10 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო კიდევ 75 - დაიჭრა. მომხდარისთვის პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო ირანელ არაბთა დაჯგუფებამ - აჰვაზის სახალხო დემოკრატიულმა ფრონტმა. აფეთქების მომწყობებს გენერალურმა პროკურორმა საიდ მორთაზავიმ "ღმერთის მტრები" უწოდა. რამდენიმე დღეში ირანში საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს. უდავო ფავორიტად წოდებულმა აკბარ ჰაშემი რაფსანჯანიმ დღეს თავისი ოპონენტები ბინძურ ცილისწამებაში დაადანაშაულა. საუბარია მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელებულ მილიონობით საინფორმაციო ფურცელზე, რომლებშიც რაფსანჯანი მექრთამედ და ამორალურ ადამიანად არის დახასიათებული. ეს ბოლო ბრალდება მის ოჯახსაც ეხება.

***რადიო თავისუფლება***


## განცხადება

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონის "გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ" მოთხოვნით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად წარმოდგენილია:

შპს "კლეინ ჯორჯიას" მიერ, II კატეგორიის საქმიანობაზე, ჭიათურის რ-ნში, დარკვეთის კვარც-მინდვრისშპატიანი ქვიშების კარიერის პროექტი.

საპროექტო დოკუმენტაციის გაცნობა და წერილობითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარმოდგენა შესაძლებელია 2005 წლის 28 ივლისამდე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვებისა და ლიცენზიების სამსახურში, მის: თბილისი, გულუას ქ.№6

საჯარო განხილვა შედგება 2005 წლის 28 ივლისს 12.00 საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში.

**გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო**



## ც ნ ო ბ ა

მიმდინარე წლის 17 ივნისს 12 საათზე ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურში ჩატარდება საჯარო განხილვა ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, საბურთალოს პლატოზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის "აკადემქალაქის" კორექტირებული გენერალური გეგმის და ტერიტორიალური მოწყობის განვითარების პროექტის შეთანხმების შესახებ.

**დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, გამოცხადდნენ შემდეგ მისამართზე: დ.აღმაშენებლის გამზირი 89/24 ტელ: 95-31-26**


# ფართომასშტაბიანი ტერორისტული აქტი ქაშმირში

ისეთ არასტაბილურ რეგიონში, როგორიც ინდოეთის შტატები ჯამუ და ქაშმირია, გუშინ განხორციელებულ ფართომასშტაბიან ტერორისტულ აქტს 15 ადამიანი ემსხვერპლა, ხოლო დაჭრილთა რიცხვმა 100-ს გადააჭარბა. დაღუპულთა შორის, პოლიციელების გარდა, არიან ქალები და ბავშვებიც.

ადგილობრივი ტელეარხის "ჰედლაინზ თუდეი"-ს თანახმად, აფეთქება ქალაქ პულვამში ხალხმრავალ ადგილზე მოხდა. სკოლის შენობის, ბაზრის, ბანკისა და ჯამუსა და ქაშმირის სარეზერვო პოლიციის ცენტრალური ყაზარმების ახლოს სატვირთო მანქანაში ჩამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა. პოლიციელთა თქმით, ასაფეთქებელი მოწყობილობა ავტომანქანაში თვითმკვლელმა ტერორისტმა აამოქმედა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თვითმკვლელი-ტერორისტი მარტო არ მოქმედებდა, რადგან დამწვარ ავტომანქანაში მეორე ცხედარიც არის აღმოჩენილი. ექსპერტთა ვარაუდით, სატვირთო ავტომანქანაში, დაახლოებით, 40 კგ ჰექსოგენი უნდა ყოფილიყო ჩადებული.

აფეთქებაზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არც ერთ ტერორისტულ დაჯგუფებას არ აუღია. ამის მიუხედავად, ინდოეთის სამართალდამცველებს ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ტერაქტის უკან არალეგიტიმური მუსლიმური დაჯგუფებები დგანან. ეს უკანასკნელნი, დიდი ხანია, ინდოეთის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ გააქტიურებულ ბრძოლას ეწევიან.

*24 საათი*

# ლიბანში არჩევნები გრძელდება

*ლიბანში საპარლამენტო არჩევნების სამი ეტაპი კვირას დასრულდა. პოლიტიკურ ფრაქციებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა 17 ივნისს გაიმართება. აღნიშნული არჩევნები ისტორიულია ქვეყნისთვის, რადგანაც ისინი ქვეყნის ტერიტორიაზე სირიის ჯარების გარეშე ტარდება. პოლიტიკურ ბრძოლაში უპირატესობას ჯერჯერობით პროსირიული კოალიცია ფლობს.*

ნანა ნასყიდაშვილი

ლიბანში 11 ივნისს გამართულ საპარლამენტო არჩევნების მესამე ტურში გამარჯვება პროსირიულ კოალიციას ხვდა. ფრაქციის წარმატება, შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდეს ახალი პარლამენტის ფორმირებაში და, სავარაუდოდ, ანტისირიული კოალიცია ველარ შეძლებს ხმათა უმრავლესობის მოპოვებას სახელისუფლებო ორგანოში.

პროსირიული ფრაქცია წარმატებას ლიბანის ყოფილ პრემიერ-მინისტრს მიშელ აუნს უნდა უმადლოდეს. ის 14 წლის განმავლობაში ქვეყნიდან განდევნილი იყო და სამშობლოში ახლახან დაბრუნდა. ქრისტიანი გენერლის თქმით, იგი მზადაა პარლამენტში სხვა ფრაქციებთან ღია დიალოგის გასამართად. პოლიტიკოსი ამომრჩეველს საარჩევნო კანონის შეცვლასა და კორუფციის აღმოსაფხვრელად ფართომასშტაბიანი ღონისძიებების გამართვას ჰპირდება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საპარლამენტო არჩევნების მესამე ტურში ოპოზიციის მარცხი მისმა ერთ-ერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა ვალიდ ჯუმბლატმა ოფიციალურად აღიარა. "ქრისტიანმა ექსტრემისტებმა ზომიერ პოლიტიკოსებს სძლიეს", - აღნიშნა ჯუმბლატმა.

არჩევნების ოთხი ტურიდან მესამე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ის წყვეტდა, თუ ვინ დაიკავებდა პარლამენტის 128 ადგილიდან 58-ს. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ეს პირველი არჩევნებია ლიბანში სირიის ჯარების გარეშე.

არჩევნების მესამე ტური, უპირატესად, ქრისტიანებით დასახლებულ ლიბანის მთიან რაიონში და მუსლიმი მოსახლეობით დასახლებულ ბექაას დაბლობზე ჩატარდა. ბეირუთის ამომრჩეველმა, როგორც მოსალოდნელი იყო, უპირატესობა ანტისირიულ პარტიას მიანიჭა. ხოლო სამხრეთ ლიბანის მოსახლეობამ მხარი პროსირიულ მოძრაობა "ჰეზბოლა"-ს დაუჭირა. არჩევნების ბოლო, მეოთხე ტური 17 ივნისს გაიმართება.




## განცხადება

სსიპ საქტელერადიომაუწყებლობის მიერ გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" 2005 15 აპრილის №79-ში სატელევიზიო პროექტების შესყიდვაზე ღია ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებული და გაფორმდა ხელშეკრულება:

№156-1 ი/მ გიორგი ბერიაშვილი "ბაბასთან"



## განცხადება

სსიპ საქტელერადიომაუწყებლობის მიერ გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" 22 თებერვლის №42 ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევაზე ღია ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებული და გაფორმდა ხელშეკრულება:

№152-6 შპს დაზღვევის საერთაშორისო კომპანია "ირაოსთან"

# შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკმა საქართველოს პროექტი დაუმტკიცა

ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ინფორმაციით, 2005 წლის 2-7ივნისს ქ. ერევანში (სომხეთი) შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (ბისეკი) მმართველთა საბჭოს რიგით მე-7 წლიური შეხვედრა გაიმართა. დირექტორთა საბჭოს შეხვედრას და "ბიზნეს დღეს" ესწრებოდნენ წევრი ქვეყნების (აზერბაიჯანის გარდა) ბანკირები, ბიზნესმენები და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ერევანში, დირექტორთა საბჭოს სხდომაზე, საქართველოში სავაჭრო პროგრამების დაფინანსების მიზნით, გადაწყდა სს "გაერთიანებული ქართული ბანკისთვის" 3 მლნ აშშ დოლარის ოდენობის საკრედიტო ხაზის გახსნის საკითხი. ამდენად, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის მიერ დამტკიცებული პროექტების საერთო მოცულობამ საქართველოში 21.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

მმართველთა საბჭომ განიხილა და დაამტკიცა აღნიშნული ბანკის 2004 წლის წლიური ანგარიში და 2005 წლის ბიუჯეტი, დამოუკიდებელ აუდიტორთა 2004 წლის ანგარიში, ასევე, ევროგაერთიანებასთან გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი და სხვა საკითხები.

მმართველთა საბჭოს სხდომაზე ერთ-ერთ მთავარ განსახილველ საკითხს მონაწილე ქვეყნების მიერ ბანკის მიმართ თავიანთი ფინანსური ვალდებულებების შესრულება წარმოადგენდა. ამ მხრივ, საქართველო არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება (ამჟამად, საქართველოს დავალიანება ბანკის მიმართ, საწესდებო კაპიტალში შესატანი წილის სახით, დაახლოებით, 1.5 მლნ აშშ დოლარს შეადგენს). მმართველთა საბჭოს გადაწყვეტილებით, დავალიანების მქონე ქვეყნების საკითხის საბოლოოდ გარკვევამდე უცვლელი დარჩა ბანკის საწესდებო კაპიტალის სტრუქტურა. შესაბამისად, თავისუფალი აქციების (30000 აქცია, რომლის ნომინალური ღირებულებაა 30 მლნ SDR-ს შეადგენს და რომელიც გამოთავისუფლდა 2004 წელს ბანკის საწესდებო კაპიტალში საქართველოს, სომხეთის და მოლდოვას წილის 2%-დან 1%-მდე შემცირების შედეგად) განთავსების საკითხი ბანკის მმართველთა საბჭოს 2006 წლის შეხვედრაზე განიხილება.

მწვავე დისკუსია გაიმართა ბისეკის ბანკის მომავალი პრეზიდენტის კანდიდატურებთან დაკავშირებით (თურქეთის წარმომადგენელ მოქმედ პრეზიდენტს ვადა 2006 წლის დასაწყისში ეწურება). ამ პოსტზე პრეტენზია ბანკის წევრმა ორმა მსხვილმა აქციონერმა - თურქეთმა და რუსეთმა განაცხადა. თურქეთის წარმომადგენელი პრეზიდენტის პოსტს უკვე მეორედ ფლობს, ხოლო რუსეთის წარმომადგენელს ბანკის ვიცე-პრეზიდენტის პოსტი უკავია. გადაწყდა, რომ აღნიშნული საკითხი, შეთანხმების მიუღწევლობის გამო, ბანკის მმართველთა საბჭოს რიგგარეშე შეხვედრაზე მიმდინარე წლის 31 ივლისს იქნეს განხილული.

რაც შეეხება მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტს, იგი ერთი წლის ვადით აზერბაიჯანს გადაეცა, ხოლო თავმჯდომარის მოადგილეებად რუსეთისა და მოლდოვას წარმომადგენლები რჩებიან.

დასახელდა ბანკის მმართველთა საბჭოს მე-8 და მე-9 წლიური შეხვედრის თარიღები. მორიგი, მე-8 შეხვედრა გაიმართება 2006 წლის 11 ივნისს ქ. ბაქოში (აზერბაიჯანი), ხოლო შემდეგი, რიგით მე-9 - 2007 წლის 10 ივნისს ქ. კიშინიოვში (მოლდოვა).

*24 საათი*

## მოკლედ

### "აგროტექნიკის ჯგუფი" სამი სტუდენტის სწავლას დააფინანსებს

კომპანია "აგროტექნიკის ჯგუფი" სოციალურად დაუცველი სამი ახალგაზრდისთვის 4 წლის განმავლობაში სტიპენდიას აწესებს.

როგორც "პრაიმ-ნიუსს" "აგროტექნიკის ჯგუფში" აცნობეს, სტიპენდია დაუწესდებათ ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ორ და ევროპული მართვის სკოლის ერთ სტუდენტს, რომლებიც კონკურსის საფუძველზე შეირჩევიან.

კომპანია ყოველწლიურად, სტიპენდიის სახით, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტისთვის 12 800 აშშ დოლარს გასცემს, ევროპული მართვის სკოლისთვის - 9 600 აშშ დოლარს.

"აგროტექნიკის ჯგუფში" 6 კომპანიაა გაერთიანებული - შპს "აგრიტრეიდინგი" (კვების პროდუქტებით ვაჭრობა), შპს "აგროტექნიკ სოფლის მეურნეობა" (მცენარეთა დაცვის საშუალებები, საირიგაციო მოწყობილობები და საკონსულტაციო მომსახურება), "ბრასერია ოთხი სეზონი" (სარესტორნო ბიზნესი), შპს "ცელსიუსი" (მაცივარ-კონტეინერები), ყოველდღიური ინგლისური გაზეთი "მესინჯერი" და "სტენფორდ რისკ სოლუშენი" (სადაზღვევო ბროკერები). **პრაიმ-ნიუსი**

### ახალი საბაჟო გამშვები პუნქტი გაიხსნა

გუშინ საბაჟო გამშვები პუნქტის "ლილოს-1"-ის ტერმინალმა ადგილმდებარეობა შეიცვალა. კერძოდ, "ლილოს" ბაზრობიდან რამდენიმე ათეულ მეტრის მოშორებით, ახლად გარემონტებულ კომპლექსში განთავსდა.

თუ ადრე იმპორტიორები "ლილო-1"-ს ფართის სიმცირეს, რიგში დგომასა თუ სხვა პრობლემებზე ჩიოდნენ, ახალ საბაჟო-გამშვებ პუნქტ "ოპიზაში" მსგავსი პრობლემების საშიშროება არ დგას.

საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის, ზურაბ ანთელიძის განცხადებით, საბაჟო-გამშვებ პუნქტ "ოპიზაში" "ერთი ფანჯრის პრინციპი" ამოქმედდება. ეს კი იმპორტიორთათვის საბაჟო პროცედურების გამარტივებას გულისხმობს. კერძოდ, იმპორტიორს საჭირო საბუთების შესაგროვებლად სხვადასხვა კაბინეტების ძებნა აღარ მოუწევს და ყველა სათანადო დოკუმენტს უმოკლეს დროში გააფორმებს.

გარდა ამისა, როგორც ანთელიძემ აღნიშნა, მნიშვნელოვნად შემცირდება კონტაქტები იმპორტიორსა და მებაჟეს შორის, რაც კორუფციულ მომენტებს თავისთავად გამორიცხავს.

საბაჟო გამშვები პუნქტ "ოპიზას" პრეზენტაციას ფინანსთა მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილიც დაესწრო. მისი თქმით, ის მიესალმება ყოველგვარ ინოვაციასა და წინსვლას ქვეყნის საბაჟო კუთხით განვითარების საქმეში. **მედია-ნიუსი**

### ხევიაშვილი პრივატიზაციაში საშიშს ვერაფერს ხედავს

"მიწის პრივატიზაცია და დელიმიტაცია კომპლექსურად უნდა მოგვარდეს," - აცხადებს პარლამენტარი სალომე სამადაშვილი. მას მიაჩნია, რომ პრივატიზაციის პროცესი საზღვრებთან დაკავშირებული სადავო საკითხების მოგვარებას დააჩქარებს. მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანში პრივატიზაცია დაწყებულია და საქართველოს საზღვრებს ისინი დიდი ხანია, მოადგნენ.

კახა კუკავას თქმით, დელიმიტირებული საზღვარი საქართველოს მხოლოდ თურქეთთან აქვს, ამიტომ პრივატიზაციის პროცესს მოსაზღვრე სახელმწიფოებთან შეიძლება საშიში შედეგები მოჰყვეს, მით უმეტეს, რომ საზღვრების გადაწევა-გადმოწევის პროცესი, 15 წელია, თითქმის ყველა სასაზღვრო რეგიონში თვითნებურად მიმდინარეობს.

გია ხევიაშვილი პრივატიზაციის პროცესში საშიშს ვერაფერს ხედავს, იგი ამბობს, რომ პრივატიზაცია საბჭოთა კავშირის დროს დადგენილი ადმინისტრაციული საზღვრის მიხედვით დაიწყება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველოში ირანული ბუნებრივი აირი შემოვა

საქართველოში ირანული გაზის აზერბაიჯანის გავლით შემოტანის შესახებ შეთანხმება 2005 წლის ბოლომდე გაფორმდება. გაზის მოწოდებისთვის ყარაბალი-თბილისის მილსადენს გამოიყენებენ. აღნიშნული მილსადენის აზერბაიჯანის მონაკვეთის სარემონტო სამუშაოები უკვე დასრულებულია, საქართველოს მონაკვეთის აღდგენა კი 2006 წლისთვის მოხდება. აღსანიშნავია, რომ ეს მარშრუტი საქართველოში რუსეთიდან გაზის შემოტანის ალტერნატიული იქნება. ცნობისთვის, საქართველოში რუსეთიდან ყოველწლიურად ერთი მილიარდი კუბომეტრი გაზის იმპორტი ხორციელდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ზურაბ ნოღაიდელი: "საქართველოს ვალების ჩამოწერა აღარ სჭირდება"

*კვირას "მარიოტში" გამართული საერთაშორისო ფორუმის კვალდაკვალ, გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველ დირექტორს როდრიგო დე რატოს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე და ფინანსთა მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილი. საუბარი ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობას შეეხო. შეხვედრის შემდეგ მასპინძელიც და სტუმარიც მცხეთაში გაემგზავრნენ, თუმცა მანამდე მათ ჟურნალისტებისთვის ერთობლივი ბრიფინგი გამართეს.*

თამარ ხორბალაძე

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) საქართველოს მთავრობას დაწყებული რეფორმების ფინანსურ მხარდაჭერას და პოლიტიკური და ტექნიკური რეკომენდაციების გაწევას ჰპირდება. ამის შესახებ სსფ-ს მმართველმა დირექტორმა როდრიგო დე რატომ ბრიფინგზე განაცხადა.

**"უახლოეს ხანებში მთავრობა არაერთი გამოცდის წინაშე დადგება, მოუწევს რა პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების და უცხოური გრანტების გამოყენება, მაკრო-სტაბილურობის და გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფა და დაცვა,"** - განაცხადა დე რატომ.

მისივე თქმით, ქვეყნის ფულად-საკრედიტო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა გაზრდილი შემოსავლების კონსოლიდირება და ფინანსური სექტორის ზედამხედველობის გაძლიერება უნდა მოახერხონ, ხელი შეუწყონ ამ სექტორში კონკურენტული გარემოს შექმნას და ფინანსური ბაზრების გაფართოებას.

სსფ-ს მმართველმა დირექტორმა ეროვნულ ბანკს და მთავრობას მონეტარული კონტროლის ინსტრუმენტების დახვეწის რეკომენდაცია მისცა.

დე რატოს განცხადებით, მთავრობამ უნდა გააუმჯობესოს ენერგოსექტორის ფიზიკური და ფინანსური მდგომარეობა, გაატაროს გამჭვირვალე საპრივატიზაციო პოლიტიკა, გაამარტივოს ლიცენზირების სისტემა და გააუქმოს ბიუროკრატია, გააღრმაოს სახელმწიფო სამსახურების რეფორმა, დანერგოს ღარიბთა მიზნობრივი დახმარების პროგრამები და გაზარდოს განათლების სექტორის დაფინანსება.

ეს განცხადება, როგორც უკვე ვთქვით, სსფ-ს მმართველმა დირექტორმა კანცელარიაში გამართულ ბრიფინგზე გააკეთა. ბრიფინგზე ჟურნალისტების წინაშე საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელიც წარდგა, რომელიც სსფ-ს მმართველ დირექტორზე უფრო მეტად ოპტიმისტური გახლდათ.

**"საქართველო დღეს აღარ შედის მსოფლიოს იმ უღარიბესი ქვეყნების რიცხვში, რომლებსაც საგარეო ვალების ჩამოწერა ესაჭიროებათ,"** - განაცხადა ნოღაიდელმა.

მისივე თქმით, ეს ქვეყანას სჭირდებოდა 2001 წელს.

**"საქართველოს იმჟამინდელი ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობა საგარეო ვალების გასტუმრების საშუალებას არ იძლეოდა,"** - განაცხადა ნოღაიდელმა.

პრემიერ-მინისტრის შეფასებით, საქართველო დღევანდელ ეტაპზე მსოფლიო ბანკთან და სხვა დონორ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს არა მარტო კონცესიური, არამედ საინვესტიციო კრედიტების მიღებაზე, რაც ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

საქართველოს საგარეო ვალები ამ ეტაპზე 1,8 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. საქართველომ კრედიტორებთან საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მხარდაჭერით ვალების რესტრუქტურიზაციის შესახებ შეთანხმება პარიზის კლუბში პირველად 2001 წლის 6 მარტს შეძლო, თუმცა 2003 წელს საქართველოს მთავრობის მიერ სსფ-ს წინაშე აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, სსფ-მ საქართველოში პროგრამა შეაჩერა, რის გამოც პარიზის კლუბში მიღწეული შეთანხმება დაირღვა.

პარიზის კლუბში ვალების რესტრუქტურიზაცია მეორედ 2004 წლის 4 ივნისს მოხდა. რესტრუქტურიზაცია შეეხო 2003-2006 წლებში გადასახდელ თანხებს, რომელთა საერთო ოდენობა 196,7 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. ვალების გადავადება მოხდა ე.წ. ჰიუსტონის პირობებით, რაც გადასახდელი თანხების 20 წლით რესტრუქტურიზაციას გულისხმობს, 5-წლიანი შეღავათიანი პერიოდით (წლიური 3-4 %).

ამასთანავე, საქართველომ კრედიტორებისგან მიიღო თანხმობა 2007 წლიდან ვალების ძირითადი ნაწილის კვლავ გადავადების შესახებ.

# EBRD "თიბისი ბანკთან" თანამშრომლობას აგრძელებს

პირველი გვერდიდან

ამავე ხელშეკრულების საფუძველზე, EBRD "თიბისი ბანკის" მიერ ქართულ საწარმოებზე გაცემული სესხის 50 პროცენტის დაფინანსებას საკუთარ თავზე იღებს.

"თიბისი ბანკის" ხელმძღვანელობის შეფასებით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან ეს უნიკალური სახის თანამშრომლობა იქნება, რადგან EBRD პირველად მოახდენს "თიბისი ბანკთან" ერთად კრედიტის გაცემის რისკის გაზიარებას ქართულ საწარმოებზე გაცემული სესხის 50 პროცენტის დაფინანსების გზით.

10-მილიონიანი თანადაფინანსების პროგრამა საშუალებას მისცემს "თიბისი ბანკს", უზრუნველყოს წარმატებული კერძო ბიზნესის განვითარება საქართველოში ფინანსურ რესურსებსა და მხარდაჭერაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით, მათ შორის, არსებული კომპანიების გაზრდისა და მოდერნიზებისათვის. ეს რესურსი, ასევე, მისცემს ქართველ მეწარმეებს საკუთარი საბრუნავი სახსრების დაფინანსების საშუალებას, ექსპორტისა და პრეექსპორტის ხარჯების დაფინანსების ჩათვლით. ხსენებული პროგრამის ფარგლებში "თიბისი ბანკის" წარმატებულ კლიენტებს შეეძლებათ 2-8 მილიონი აშშ დოლარის კრედიტით სარგებლობა.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

EBRD-მა და "თიბისი ბანკმა" ხელშეკრულება გააფორმეს.

"თიბისი ბანკის" პრეზიდენტის, ვახტანგ ბუცხრიკიძის განცხადებით: **"ეს პროგრამა ბანკს საშუალებას მისცემს, გაზარდოს საკუთარი წილი ბაზარზე და საქართველოში პირველი საერთაშორისო საფინანსო სინდიკატის ჩამოყალიბების პრეცედენტი შექმნას."** მისივე თქმით, EBRD-ს ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან ანალოგიური პროგრამა, შედარებით მცირე მოცულობის საკრედიტო ხაზით, მხოლოდ მოლდოვაში აქვს განხორციელებული. ამ პროგრამის განხორციელებით საქართველოში იქმნება პირველი პრეცედენტი ევროპული საფინანსო ინსტიტუტის მიერ კრედიტის გაცემისას რისკის გაზიარებისა. ბუცხრიკიძის ინფორმაციით, პროგრამის ფარგლებში ბანკის წარმატებული კლიენტები 8 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კრედიტით ისარგებლებენ.

სს "თიბისი ბანკისა" და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის თანამშრომლობას დიდი ხნის და წარმატებული ისტორია გააჩნია. ეს თანამშრომლობა ჯერ კიდევ 9 წლის წინათ დაიწყო.

*24 საათი*

# ქართული აბრეშუმის დაბრუნება

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობის ინიციატივით, მეაბრეშუმეობის დარგში პირველი ნაბიჯები გადაიდგა. ამჟამინდელი მდგომარეობის გასაცნობად, 2005 წლის გაზაფხულზე საქართველოში მოიწვიეს გაერთიანებული ერების სოფლის მეურნეობის და კვების ორგანიზაციის "ფაოს" წარმომადგენლები, რომლებმაც დაათვალიერეს შენარჩუნებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, თუთის ნარგავები, ესაუბრნენ მეაბრეშუმეებს, მოინახულეს აბრეშუმის მუზეუმი და ბიბლიოთეკა. სამინისტროს ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე (ფაოს) წარმომადგენლებმა კმაყოფილება გამოთქვეს, მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ ფაოს-თან ერთად, შემუშავდება საქართველოში მეაბრეშუმეობის რეაბილიტაციის პროგრამა, რომელსაც, ძირითადად, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები დააფინანსებენ. ამავდროულად, წელს პირველად, 12 რაიონში ტარდება ექსპერიმენტული გამოკვება და აბრეშუმის პარკის დამზადება, რომელსაც შპს "ემქეგე ჯგუფი" აფინანსებს. განსაკუთრებული მონდომებით იმუშავეს ვანის, სამტრედიის, აბაშის, ბოლნისის, ყვარლის რაიონებში. აბრეშუმის მურის გამოკვება მიმდინარეობს, აგრეთვე, სენაკის, წალენჯიხის, საჩხერის, ტყიბულის, ახმეტის, თელავის და ხონის რაიონებშიც.

*24 საათი*

# მცირე და საშუალო ბიზნესი ოპტიმისტურად განწყობილი არ არის

## რეგიონებში საინვესტიციო სიტუაცია ბიზნესის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს

*"მცირე და საშუალო ბიზნესი არ წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელ ძალას საქართველოში, არადა, იგი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს," - ეს დასკვნა გახლავთ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მიერ USAID - GEGI-ის მხარდაჭერით პროექტის - "ადმინისტრაციული ბარიერების მონიტორინგი მცირე და საშუალო საწარმოებზე საქართველოში" - ფარგლებში ჩატარებული კვლევის მოკლე შედეგი.*

თამარ ხორბალაძე

ასეთ დასკვნამდე ცენტრი, მისი ხელმძღვანელის დავით ჭკადუას ინფორმაციით, მას შემდეგ მივიდა, რაც 2005 წლის თებერვალში თბილისში, რუსთავსა და ქუთაისში 500 მცირე და საშუალო საწარმოში ჩაატარა გამოკითხვა. "საწარმოთა შერჩევა სტატისტიკის დეპარტამენტში არსებული მონაცემების საფუძველზე შედგა. თბილისში გამოიკითხა 300 საწარმოს, რუსთავსა და ქუთაისში კი - 100-100 საწარმოს ხელმძღვანელი," - განუცხდა "24 საათს" დავით ჭკადუამ.

მისი ინფორმაციით, კვლევის შედეგების თანახმად: **"მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები არ არიან ოპტიმისტურად განწყობილი მათი ბიზნესის ზრდის პერსპექტივების თაობაზე. ისინი, 2005 წლის მიხედვით, 5%-იანი ნომინალური ზრდის პროგნოზს აკეთებენ, რაც ანალოგიური კომპანიების 2004 წლის გამოკითხვის შედეგად დაფიქსირებული შემოსავლების ზრდის 5 დან 10%-მდე ნომინალურ მაჩვენებელზე ნაკლებია. ასევე, აღნიშნული მაჩვენებელი ნაკლებია ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპზე."**

გამოკითხვის შედეგად ისიც ირკვევა, რომ კომპანიები, გასულ წელთან შედარებით, საგადასახადო რეჟიმთან და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სიტუაციის გაუმჯობესებას აღნიშნავენ.

გამოკითხვისათვის შედგენილ სპეციალურ შკალაზე კომპანიები საგადასახადო სისტემის სირთულეს ასახელებენ როგორც ფაქტორს, რომელიც ზომიერად აფერხებს ბიზნესის განვითარების პერსპექტივებს.

ამავე დროს, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები მეტად პრობლემატურად აღიქვამენ ბიზნეს-გარემოს ისეთი ფაქტორების მდგომარეობას, როგორიცაა ენერგორესურსებზე მაღალი ფასები, ზოგადი მაკროეკონომიკური მდგომარეობა და ბაზრის სიძლიერე, კორუფცია.

რაც შეეხება ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს რეგიონული თვალთახედვით - მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის საოპერაციო ხარჯები რეგიონში ნაკლებია, კომპანიები ერთხმად აღნიშნავენ, რომ რეგიონებში სიტუაცია მნიშვნელოვნად ჩამორჩება თბილისში მდგომარეობას და რეგიონებში საინვესტიციო სიტუაცია მნიშვნელოვნად აფერხებს ბიზნესის განვითარებას. აქედან გამომდინარე, დავით ჭკადუას განმარტებით, **"მიზანშეწონილი იქნება, მთავრობამ იზრუნოს რეგიონებში ინფრასტრუქტურის, კომუნიკაციების, ფინანსური შუამავლობის სექტორის და სხვა ფაქტორების გაუმჯობესებაზე, რათა რეგიონული ინვესტიციებისათვის მეტი სტიმულები შექმნას."**

ბიზნესის ადმინისტრაციულ რეგულირებასთან (რეგისტრაცია, ლიცენზირება, სერტიფიცირება, შემოწმებები) დაკავშირებით კომპანიები აფიქსირებენ პროცედურების სირთულის იმავე ხარისხს, რომელიც 2004 წლის გამოკითხვისას იყო, კერძოდ, ადმინისტრაციული რეგულირება ქართული მცირე საწარმოებისათვის განაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს.

გამოკითხვის შედეგად, ბიუროკრატიასთან და კორუფციასთან დაკავშირებული საკითხები შეფასებულ იქნა ჩინოვნიკებისათვის არაოფიციალური გადასახადების გადახდის სიხშირის, მოცულობის და ბიზნესის რეგულირებაზე და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობაზე კომპანიების მენეჯერების მიერ დახარჯული დროის შეფასების გზით. ირკვევა, რომ მიუხედავად გასულ პერიოდთან შედარებით პოზიტიური ცვლილებებისა, საწარმოების შემოსავლების 2%-მდე ქრთამის სახით არის გადახდილი ჩინოვნიკებისათვის და საწარმოების მენეჯერები თავისი დროის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს (2-დან 5%-მდე) ჩინოვნიკებთან ურთიერთობას უთმობენ.

ზოგადი სამეწარმეო სიტუაციის გაუმჯობესებაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტი: როდესაც კომპანიები პასუხობდნენ, თუ თავიანთი შემოსავლებიდან რა მოცულობის გასაღებად არიან ისინი მზად იმისათვის, რომ არათანაბარი კონკურენციის პირობები აღმოიფხვრას, გაუმჯობესდეს ბიზნესის კეთებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა და გამარტივდეს ბიზნესის რეგულირება, ისინი ასახელებენ შემოსავლების 1%-დე ზღვარს, რაც სტატისტიკური საიმედოობით, გასულ პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად შემცირებულია.

დავით ჭკადუას ინფორმაციით, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სფერო, სადაც ყველაზე მეტად შეინიშნება პროგრესი, არის საგადასახადო სისტემა. საწარმოები აღნიშნავენ, რომ სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რაც გადასახადების განაკვეთების და რაოდენობის შემცირებას და ახალ კოდექსს უკავშირდება. ამავე დროს, თუ გასულ წელს კომპანიებისათვის საგადასახადო რეჟიმი მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა, ამჟამად ჩვენ მიერ შეფასებული შესაბამისი ინდექსები ნაკლები სირთულის აღმნიშვნელ მაჩვენებელზე ჩერდება. თითქმის ორჯერ არის გაზრდილი იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომლებიც აღარ აფიქსირებენ, რომ მათი ოპერაციების ფინანსური დაგეგმვის დროს რაიმე პრობლემებს განიცდიან საგადასახადო კანონმდებლობის სირთულის და გაურკვევლობის გამო. აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ სუბიექტურ შკალაზე შეფასებული, ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორის მოცულობაც შემცირებულია 30-35%-დან 25-30%-მდე.

# პროკურატურა ადამიანის უფლებების დამრღვევ პოლიციელებს იჭერს

*პოლიციელთა მხრიდან პატიმრების ცემა-წამებაზე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ცოტა ხნის წინ დაწყებულ აჟიოტაჟს გენერალური პროკურატურის მხრიდან რეაგირება მოჰყვა. გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსის ლაშა მაღრაძის თქმით, აღნიშნულ დანაშაულზე რეაგირება და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება პროკურატურის მხრიდან ტრადიციად იქცა.*



გოგიტა ბახსაძის ფოტო

*გუშინ ცემა-წამების დანაშაულში ბრალდებული პოლიციელების გვარები დასახელდა.*

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციები პატიმართა წამების ასობით ფაქტზე საუბრობდნენ, გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე ჯერჯერობით რამდენიმე შემთხვევაზე აღძრა და ამ თემას პრესკონფერენციაც მიუძღვნა. გუშინ ჟურნალისტებთან კიდევ ერთი ტრადიციული შეხვედრა შედგა და ცემა-წამების დანაშაულში ბრალდებული პოლიციელების გვარებიც დასახელდა.

ლაშა მაღრაძის ინფორმაციით, გენერალურმა პროკურატურამ, თბილისის საქალაქო სასამართლოს უკვე მიმართა შუამდგომლობით და პატიმრებისთვის სხეულის დაზიანების ფაქტზე პოლიციელების მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება მოითხოვა.

გენპროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსის განცხადებით, მიმდინარე წლის 31 მაისს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში გამოძიება დაიწყო ბრალდებულ გიორგი ლობჟანიძის და ვალერი კურტანიძის სხეულის დაზიანების ფატებზე. მაღრაძის განცხადებით, დაზარალებულმა ბრალდებულებმა გენპროკურატურას თავად მიმართეს, რის შემდეგაც სისხლის სამართლის საქმე აღიძრა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ექვს თანამშრომელზე.

მართალია, ადამიანის უფლებების დამცველ პროკურორს არ დაუზუსტებია, რა დანაშაულისთვის დააკავეს სამართალდამცველებმა ლობჟანიძე და კურტანიძე, ან რა სახის დაზიანებები მიაყენეს მათ პოლიციელებმა, მაგრამ ფაქტია, ამ შემთხვევის გამო, თანამდებობები უკვე დატოვეს და მომავალ სასჯელს ელიან დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს ქვეგანყოფილების უფროსი ამირან ადუაშვილი და იმავე განყოფილების თანამშრომლები მერაბ წულაია, თორნიკე ხუციბერიძე, ალექსანდრე ზერეკიძე, ჯონი და ჯიმშერ ოსეფაშვილები. თუმცა, რა სახის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ აღნიშნული პიროვნებების ადამიანის უფლებების დარღვევის და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების გამო, ალბათ რამდენიმე თვეში, გამოძიების და საბოლოოდ სასამართლო განხილვის შემდეგ გახდება ცნობილი.

მოგვიანებით გახდება, ასევე, ცნობილი, აღმოჩნდებიან თუ არა საპატიმროში ბათუმის შს სამმართველოს უფროსი უშანგი ხვედელიძე და აჭარის საგანგებო დავალებათა რაზმის უფროსი როინ კოჩალიძე. ლაშა მაღრაძის განცხადებით, აღნიშნულმა პიროვნებებმა მიმდინარე წლის მაისის დასაწყისში სხეულის დაზიანება მიაყენეს ბინის ქურდობისთვის დაკავებულ კობა ჟღენტს და ფიზული ალიოღლის. აღნიშნული დანაშაულის გამო, ხვედელიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრულია სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, ხოლო კოჩალაძის მიმართ სამსახურებრივი გულგრილობის მუხლით.

იმ შემთხვევაში, თუ დასახელებული პოლიციელები გამოძიების ან სასამართლო პროცესში ვერ შეძლებენ საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას, ან თუ მათზე ტრადიციული კოლეგიალური "მიმტევებლობა" არ გავრცელდება, კანონმდებლობით მათ, მუხლების სიმძიმიდან გამომდინარე, ორი-სამი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

*24 საათი*

# "დაკარგული ქართველების ძებნის გეგმა შემუშავებულია"

*გუშინ ამოიწურა ვადა, რომელიც 12 ივნისს ცხინვალში საათნახევრიანი მოლაპარაკების დროს კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ ედუარდ კოკოითს მისცა. ცხინვალის ხელისუფლებას უნდა მიეღო კონკრეტული ზომები გაუჩინარებული ოთხი ქართველის ადგილსამყოფელის დასადგენად. თუმცა, სად იმყოფებიან დაკარგულები ან, საერთოდ, ცოცხლები არიან თუ არა ისინი, ჯერჯერობით კვლავ უცნობია.*

შეგახსენებთ, რომ სოფელ ქურთას მკვიდრნი - გალაქტიონ, ჰამლეტ და მამუკა ხაჭაპურიძეები, ასევე, ხაშურის რაიონში მცხოვრები მამუკა ლომიძე 6 ივნისს ცხინვალში მანქანის საყიდლად გაემგზავრნენ და უკან არ დაბრუნებულან. მათი ოჯახის წევრები და ახლობლები დარწმუნებულები არიან, რომ ოსმა შეიარაღებულებმა ისინი შურისძიების მოტივით გაიტაცეს. დაკარგულთა ახლობლებმა არაერთი საპროტესტო აქცია მოაწყვეს გატაცებულთა ადგილ-სამყოფელისა და მათი მდგომარეობის დადგენის მოთხოვნით, თუმცა, რაიმე დამაიმედებელი ინფორმაცია მათ დღემდე არ გააჩნიათ.

ერთი სიტყვით, ხელისუფლების მიმართ ლიახვის ხეობის ქართული მოსახლეობის მიერ წაყენებული ულტიმატუმის ვადის ამოწურვასთან ერთად სიტუაცია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში კიდევ უფრო იძაბება. ოსების მიერ გატაცებული ოთხი ქართველის ნათესავები და თანასოფლელები საქართველოს ხელისუფლებისაგან, მძევლების გათავისუფლების მიზნით, რადიკალური ნაბიჯების გადადგმას მოითხოვენ. ისინი პრეზიდენტთან შეხვედრისთვისაც ემზადებიან.

გუშინ დილით გორის სამხარეო პოლიციაში ჩატარებული საგანგებო თათბირის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ დაკარგულ ქართველებს ხაშურის და ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიებზე მოძებნიან ქართველი და ოსი სამართალდამცველები, ასევე - რუსი სამშვიდობოები. **"ვიმოქმედებთ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე. ცხინვალისა და ხაშურის რაიონების ტერიტორიებზე ოს კოლეგებთან ერთად ერთიანი გეგმით ვიმუშავებთ",** - აცხადებენ სამართალდამცველები.

გაუჩინარებული ქართველების სავარაუდო ადგილსამყოფლად ზნაურისა და ჯავის რაიონები სახელდება. შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ხაჭაპურიძეები და ლომიძე ცხინვალის ე.წ. "ტექსტილის" დასახლების კრიმინალური დაჯგუფების წევრებმა - რუდიკ ბესტაევმა, მეტსახელად "ლულუმ", და აცამაზ კოჩიევმა გაიტაცეს.

იმ შემთხვევაში, თუ დაკარგულთა შესახებ კონკრეტული ინფორმაცია უახლოეს დროში ცნობილი არ გახდება, ლიახვის ხეობის მოსახლეობა ფართომასშტაბიანი აქციების მოწყობას გეგმავს.

*24 საათი*

## მოკლედ

### გიორგი ღონღაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილებმა დანაშაული აღიარეს

"ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელებმა დანაშაული აღიარეს", - განაცხადა უკრაინის გენერალურმა პროკურორმა სვიატოსლავ პისკუნმა. მისი თქმით, ეს მკვლელობა მილიციელების ჩადენილია, თუმცა ისინი მხოლოდ საკუთარი ინიციატივით არ მოქმედებდნენ. უკრაინელი სამართალდამცავები, საკმარისი სამხილების არარსებობის გამო, თავს იკავებენ დამკვეთის ვინაობის დასახელებისგან. თუმცა, უკვე გადაწყვეტილია, რომ საქმე სასამართლოში ივლისისთვის გადაიგზავნება. გიორგი ღონღაძე 2000 წლის სექტემბერში გაუჩინარდა. მისი გვამის აღმოჩენისთანავე სერიოზული პოლიტიკური სკანდალი აგორდა მაშინდელი პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას წინააღმდეგ. მას ჟურნალისტის მკვლელობაში მთავარ მონაწილედ მიიჩნევდნენ. თავად კუჩმა ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### მოპარული ავტომანქანა აფხაზეთში გადაჰყავდათ

ქართულ-აფხაზურ პირობით საზღვართან სამართალდამცავებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ზუგდიდიდან გატაცებული მანქანა დააკავეს. ზუგდიდის რაიონის სოფელ ტყაიას ტერიტორიაზე ადრე მრავალჯერ ნასამართლევი მალხაზ ქარდავა და წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში მცხოვრები ერთ-ერთი პირი დააკავეს. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება. მანქანის გამტაცებლები იმ ჯგუფს ეკუთვნიან, რომლებსაც მოპარული მანქანები სარეალიზაციოდ აფხაზეთში გადაჰყავდათ. გატაცებული ავტომანქანა კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა. **მედია-ნიუსი**

# მოპარული მანქანები ახალი სკანდალის საფუძველი ხდება

პირველი გვერდიდან

მოპარული მანქანების ფაქტზე ბრალდებული საბაჟო დეპარტამენტის ინსპექტორი აკაკი მერკველიშვილისთვის, მოქალაქე ჯემალ ბუზალაძისა და სპეციალისტ რამაზ მუმლაძისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებას უკვე სხვადასხვა შეფასება მიეცა.

შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მტკიცებით, სადაც აღნიშნული პიროვნებების მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, ჯემალ ბუზალაძემ გამოძიებისთვის ამ ეტაპზე დაუდგენელი პიროვნებისგან ორი იაპონური წარმოების "ტოიოტა-ჰარიერი" შეიძინა (ერთი მანქანის ფასი 50 ათას დოლარს აღემატება). როგორც ქართველი სამართალდამცველებისთვის გახდა ცნობილი, აღნიშნულ მანქანებს იაპონიის ინტერპოლი ეძებდა. სწორედ ამ მიზეზის გამო, ბუზალაძის ორივე "ტოიოტა-ჰარიერი" სოდ-ის წარმომადგენლებმა დალუქეს და დეპარტამენტის ტერიტორიაზე დააყენეს. სამართალდამცველთა მტკიცებით, იმ დროს, როცა მანქანები უკვე ამოღებული იყო, სპეციალისტ რამაზ მუმლაძის ცნობის მიხედვით, ისინი, როგორც კანონიერად შეძენილი, საბაჟო დეპარტამენტის ინსპექტორმა აკაკი მერკველიშვილმა ოფიციალურად განაბაჟა.

**"კანონმდებლობით, როდესაც მანქანის განბაჟება ხდება, იგი მებაჟემ და სპეციალისტმა უშუალოდ უნდა შეამოწმონ. იმ შემთხვევაში, თუ მანქანის შეძენა უკანონოდ მოხდა, მისი განბაჟება დაუშვებელია. ბუზალაძის მანქანები კი განბაჟების პერიოდში უკვე ამოღებული იყო და, აქედან გამომდინარე, მათი შემოწმება საბაჟოზე ვერ მოხდებოდა. ამიტომ ითვლება, რომ ისინი უკანონოდ განაბაჟეს",** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის უფროსმა გოჩა ფარულავამ.

სწორედ აღნიშნული პროცედურის გამო, ჯემალ ბუზალაძის მიმართ სისხლის სამრთლის საქმე აღძრულია "წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპარული ნივთის შეძენა-გასაღების" მუხლით და მას უკვე შეფარდებული აქვს სამი თვით წინასწარი პატიმრობა; ხოლო რამაზ მუმლაძეს და აკაკი მერკველიშვილს სამართალდამცველები სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო ედავებიან. მუმლაძეც წინასწარ პატიმრობაშია, მერკველიშვილს კი, თავისუფლების სანაცვლოდ, გირაოს სახით, 50 ათასი ლარის გადახდა მოუწევს.

იმ შემთხვევაში, თუ იაპონური მანქანების შემძენს დანაშაული დაუმტკიცდება, მას ორი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, ხოლო გამბაჟებლებს, მაქსიმუმ, სამწლიანი პატიმრობა ელით. თუმცა, აღნიშნული პიროვნებების დანაშაულს მათი ადვოკატები სადავოდ ხდიან და იმედი აქვთ, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფთა სიმართლეს დაამტკიცებენ. ბრალდებულთა დამცველნი, თავის მხრივ, სამართალდამცველებს ადანაშაულებენ კანონის დარღვევაში. მათი მტკიცებით, სოდ-ის წარმომადგენლებმა დოკუმენტები თავად გააყალბეს და ბრალდებულების მიმართ სისხლის სამართლის საქმე ყალბი მტკიცებულებების საფუძველზე აღძრეს. ამიტომ, ადვოკატებმა, სიმართლის გარკვევის მიზნით, გენერალურ პროკურატურას მიმართეს და საქმეში არსებულ დოკუმენტებზე ექსპერტიზის დანიშვნა მოითხოვეს.

**"ჩვენ აუცილებლად შევისწავლით აღნიშნულ საქმეს და გადავამოწმებთ ადვოკატების არგუმენტებს. იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამცველთა მხრიდან დანაშაული დაფიქსირდება, რეაგირებას მოვახდენთ. პროკურატურა უკანონობას არც ერთი მხრიდან არ დაუშვებს",** - გვითხრა გოჩა ფარულავამ.

ერთი სიტყვით, მოპარული მანქანების წინააღმდეგ დაწყებული მორიგი "რეიდი" ახალი სკანდალის საფუძველი ხდება. არადა, სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტს, ბუზალაძის ორი "ტოიოტა-ჰარიერის" გარდა, კიდევ 25 მოპარული მანქანა აქვს ამოღებული და თითოეული მათგანის საქართველოში მოხვედრასთან დაკავშირებით გამოძიებაა დაწყებული.

გენპროკურატურის დეპარტამენტის უფროსის ინფორმაციით, სოდ-ის თანამშრომლებმა აღნიშნული მანქანები ავტობაზრობის შემოწმების დროს ამოიღეს. როგორც გამოძიებით გაირკვა, 13 მანქანა სხვადასხვა ქვეყანაში იყო მოპარული და მათ იმ ქვეყნების ინტერპოლი ეძებდა, ხოლო 14 მანქანას გადაკეთებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი.

**"საქართველოში, ძირითადად, მოპარული მანქანები გერმანიიდან, ბელგიიდან, კანადიდან, იაპონიიდან და რუსეთიდან შემოჰყავთ. ხშირ შემთხვევაში, მანქანის ძარაზე დაფიქსირებული საიდენტიფიკაციო კოდი კუსტარული შრიფტით აქვთ შეცვლილი - ანუ, თუ შეცვლიან ერთ ციფრს, მანქანის წარმომავლობა საერთოდ იკარგება და მათი რეალიზაციაც ადვილდება",** - აღნიშნავს ფარულავა.

ამჟამად თოთხმეტივე საეჭვო მანქანაზე დანიშნულია ექსპერტიზები, რის შემდეგაც მონაცემები გაიგზავნება ინტერპოლში და ამ გზით მათი ნამდვილი ვინაობაც დადგინდება. გამოძიების საბოლოო მიზანი კი იმ ხალხის დაპატიმრებაა, რომლებსაც მოპარული მანქანები საქართველოში შემოჰყავთ, ყიდიან და სარფიანი ბიზნესი აქვთ აწყობილი.

**"გამოძიება გრძელდება, ჩვენი მიზანია, გამოვავლინოთ არა მარტო რიგითი დამნაშავეები, არამედ ისინიც, ვინც ამ ბიზნესს მფარველობს",** - ამბობს ფარულავა.

და კიდევ ერთი პრობლემა - მოპარული მანქანების მოტყუებულ მყიდველებს ყველაზე ხშირად აინტერესებთ, აუნაზღაურდებათ თუ არა ზარალი, რაც მათ დანაშაულებრივი გზით შემოყვანილი მანქანის ყიდვის და ჩამორთმევის შემდეგ მიადგათ. სამართალდამცველები ამ შემთხვევაშიც კანონის ენით საუბრობენ. სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლით, მოპარული მანქანის მყიდველიც და გამყიდველიც თანაბრად ისჯება. ასე რომ, მანქანის ყიდვის მსურველი ორმაგად ფრთხილად უნდა იყოს.

# ომბუდსმენის აპარატი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის წინააღმდეგ

სახალხო დამცველის ოფისი იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძის თანამდებობიდან გათავისუფლებასა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას მოითხოვს.

როგორც სახალხო დამცველის მოადგილე ბაჩო ახალაია აცხადებს, შოტა კოპაძე პატიმრებს და მათი ოჯახის წევრებს ყოველთვიურად თანხის გადახდას აიძულებს. მისივე ინფორმაციით, ამ თანხის მინიმალური ოდენობა 50 ლარია, მაქსიმალური კი - ათას დოლარს სცილდება. საბოლოოდ კი, ყოველთვიურად ამ სახით აკრეფილი თანხა, დაახლოებით, 300 ათას ლარს შეადგენს. როგორც ახალაია აღნიშნავს, სახალხო დამცველის ოფისმა, კოპაძის თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნით, იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური შეტყობინება უკვე გაუგზავნა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ზუგდიდის N4 საყრობილეში პატიმარმა ელგუჯა ცანავამ გუშინ საპყრობილის საგამოძიებო ოთახში თვითმკვლელობა სცადა. მან ერთჯერადი საპასრით ყელის არეში დაზიანება მიიყენა. ცანავას ბრალი ძარცვაში ედება, რაშიც თავს დამნაშავედ არ ცნობს. თვითმკვლელობის მცდელობის მიზეზად იგი სწორედ ამ ფაქტს ასახელებს. ცანავა ზუგდიდის საავადმყოფოში გადაიყვანეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოქალაქე ჯონი წივილაშვილის მკვლელობის ბრალდებით ძებნილი, გარდაბნის რაიონში მცხოვრები, 25 წლის ვალერი ოთარაშვილი პოლიციელებმა 12 ივნისს, გამთენიისას თიანეთის რაიონის სოფელ გრძელი ველის განაპირას მდებარე ბინაში დააკავეს. სამართალდამცავებმა ჩხრეკისას ოთარაშვილს აღმოუჩინეს ცეცხლსასროლი იარაღი "კარაბინი" 1 მჭიდითა და 8 ვაზნით, "რგდ-5" ტიპის ხელყუმბარა და "აკმ" სისტემის 10 ცალი ვაზნა. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** ტაქსის მძღოლზე თავდასხმისა და მისი დაჭრისათვის საპატრულო პოლიცის თანამშრომლებმა ცხელ კვალზე დააკავეს 22 წლის ირაკლი კაბულაშვილი. შსს-ს ინფორმაციით, სანზონის დასახლებაში მცხოვრები კაბულაშვილი ტაქსის მძღოლს, 38 წლის გურამ ჩაჩანიძეს მეტროსადგურ "დიდუბის" მიმდებარე ტერიტორიაზე დაესხა თავს. ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე თბილისის დიდუბე- ჩუღურეთის რაიონის პოლიციამ აღძრა. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს გეოგრაფიის ინსტიტუტის გაქურდვის ბრალდებით, პოლიციელებმა დააკავეს ქურდული ტრადიციების მიმდევარი, მრავალჯერ ნასამართლევი, 29 წლის გიორგი დოგრიაშვილი, მერსახელად "ცეროდენა" და მრავალჯერ ნასამართლევი, 37 წლის ალექსი კიკნაძე, მეტსახელად "გარეული". **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს თბილისში მოქმედი ყაჩაღური დაჯგუფების წევრები: მრავალჯერ ნასამართლევი ილია გიორგაძე, ნასამართლევები: ოლეგ მაჩკალიანი, აკაკი და ირაკლი გოდელაძეები, რომელთაც ყაჩაღური გზით ავტომანქანის გატაცებაში ადანაშაულებენ. შსს-ის ინფორმაციით, ბრალდებულებმა თბილისიდან, ბუხაიძის ქუჩიდან ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით სპირიდონ წკრიალაშვილს ფირმა "ალდაგის" ავტომანქანა "მერსედესი" გასტაცეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** გუშინ ქალაქ ზუგდიდის ცენტრალური ბაზრის მიმდებარე ტერიტორიიდან "მოსკვიჩის" მარკის ავტომანქანა გაიტაცეს. დაზარალებულმა მომხდარის შესახებ საპატრულო სამსახურს აცნობა. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, პატრულის თანამშრომლებმა და ზუგდიდის რაიონულმა პოლიციამ ბოროტმოქმედები სოფელ რიყესთან დააკავეს. ერთ-ერთი მათგანი, ზუგდიდის რაიონის სოფელ ტყაიას მკვიდრი, მალხაზ ქარდავა სხვადასხვა დანაშაულისთვის რამდენჯერმეა ნასამართლევი. მეორე ბოროტმოქმედის ვინაობას სამართალდამცველები არ აკონკრეტებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სამეგრელო-გურიის ფინანსურმა პოლიციამ გალის რაიონის სოფელთან მოსაზღვრე წალენჯიხის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ზუგდიდის მკვიდი იური მატკავა დააკავა. დაკავებულს მანქანის საბარგულში 4 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი აღმოაჩნდა. მატკავა წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება. მიმდინარეობს ძიება და, სამართალდამცავების თქმით, ბრალდებულს 2-წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი.** კრიმინალური დეპარტამენტის სამძებრო სამმართველოსა და ქვემო ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს გარდაბნის რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა თიანეთის რაიონის სოფელ გრძელი ველის განაპირას, კონსპირაციულ ბინაში დააკავეს მოქალაქე ჯონი წივილაშვილის განზრახ მკვლელობისთვის ძებნილი, გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსოფელში მცხოვრები, 25 წლის ვალერი ოთარაშვილი. მას პირადი ჩხრეკისას აღმოაჩნდა "კარაბინი" 8 ცალი ვაზნით, "რგდ"-5-ის ტიპის ხელყუმბარა ფალიით და 10 ცალი "აკმ"-ის სისტემის ავტომატის საბრძოლო ვაზნა. მასთან ერთად დააკავეს მისი ძმაც, გარდაბნის რაიონის სოფელ ახალსოფელში მცხოვრები, 23 წლის დავით ოთარაშვილი, რომელსაც ჩხრეკისას აღმოაჩნდა "ტოზის" ტიპის 12-კალიბრიანი გადაჭრილი თოფი 5 ცალი ვაზნით, "რგდ"-5-ის ტიპის ხელყუმბარა ფალიით, "ტტ"-ს სისტემის პისტოლეტის 14 ცალი საბრძოლო ვაზნა; ხოლო იმ საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, სადაც ისინი იმალებოდნენ, ამოღებული იქნა 212 ცალი "აკმ"-ის სისტემის ავტომატის საბრძოლო ვაზნა. დაკავებული პირები მოთავსებულნი არიან თბილისის შს მთავარი სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორში. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. **მედიანიუსი**

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი....................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი....................

საკონტაქტო ტელეფონი....................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "რუსთაველი";
5. მეტროს სადგური "[illegible] II";
6. მეტროს სადგური "[illegible]";
7. მეტროს სადგური "[illegible] II". ([illegible] მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] 45 "[illegible]" [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0111 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

მაია ქალაგანიძის სვეტი

# როგორც იქნა, გაგვიმართლა, რუსთაველზე ვსეირნობთ...

*ამ თემაზე წერილის დაწერა ყოველ სამშაბათს მინდა ხოლმე, ოთხშაბათს სიბრაზე მინელდება, ხუთშაბათს რომელიმე ჩინოვნიკი რაღაც სისულელეს ჩაიდენს და ის თემაა აქტუალური, პარასკევს პარასკევია, ამ დღეს ადამიანები კეთილები ხდებიან, რადგან წინ დასვენების დღეები ელით, შაბათს დიდი დასვენებაა, კვირას ისევ ვბრაზობ; ორშაბათს ლადარიაა და უკვე მესამე კვირაა, იმედი მაქვს, ამ თემას შეეხება. სამშაბათი ისევ მოვიდა და თბილისის ორიოდე ცენტრალური ქუჩიდან ერთ-ერთი ამ კვირასაც გადაკეტილი იყო. ბევრი ფიქრი არ უნდა, რომ შაბათს მოჰყვება კვირა, ამას ორშაბათი და დარჩენილი დღეებიც. ცოტა ხანში, რუსთაველის მიმდებარე გუდიაშვილის ქუჩა სამუზეუმო რეფორმის შედეგად დაიკეტება და გახდება სამუზეუმო, საგამოფენო ტურისტული ადგილი და მივიღებთ თბილისის დახურულ ისტორიულ ნაწილს. სიმართლე გითხრათ, ამაში ცუდი არაფერია იმის გარდა, რომ თბილისელთა ერთი (შეიძლება, მასივებთან შედარებით მცირერიცხოვანი) ნაწილის ინტერესები, უფლებები და ნერვები რომ არ ეწირებოდეს.*

**1. "გარეუბნის მცხოვრებსაც უნდა ჰქონდეს შეგრძნება, რომ ის ამ ქალაქის ნაწილია. ქალაქელი მხოლოდ ის არ არის, ვინც რუსთაველზე დადის და ცხოვრობს. მნიშვნელოვანია ამ დიდი ქალაქის კულტურული ინტეგრაცია."** - მერს ვეთანხმები, მაგრამ დაკეტილი რუსთაველიდან მანქანების ნაკადი გადადის ვიწრო თაბუკაშვილის (ასე ჰქვია, მგონი, ყოფილ ძნელაძეს) ქუჩაზე, სადაც სახლებს შებჯენილი ხის მორებით ამაგრებენ, ან გადადის სანპიროზე, სადაც ყველა მანქანის გავლაზე ამ ქუჩაზე მდგარი სახლები ისედაც ყანყალებენ, ან გადადის ასათიანის (ყოფილი ენგელსის) ვიწრო ქუჩაზე, სადაც ყველა მანქანის გავლაზე სამზარეულებში ჭურჭელი წკარუნობს და ბზარები იზრდება, ან გადადის ე.წ. ახალ გზაზე, რომელიც ახლის რა მოგახსენოთ და, ყოველთვის მეწყერსაშიში კი იყო.

ძალიან კარგია, როცა დანიშვნის პირველ დღეებშივე მერი გარეუბნების ცენტრთან ინტეგრაციაზე ფიქრობს. ეს მისი კეთილშობილური განზრახვაა და სურს, ბოლოს და ბოლოს, გარეუბნელებს რაღაც განსაკუთრებული დალი მოხსნას. ოღონდ, ეს განკარგულებებით, ქუჩის სპეციალურად გადაკეტვითა და რუსთაველზე ხალხის სასეირნოდ გამოძახებით არ ხდება.

რამდენიმე ხნის წინ, რომელიღაც არხზე გამოსვლისას, მეორე კატეგორიის ჩამონგრეული სახლის თაობაზე მერმა თქვა, რომ ეს არ არის მიწისძვრით დაზარალებულთა პრობლემა, ეს არის ავარიული სახლების პრობლემა, რომელიც მაშინ მოგვარდება, როდესაც ქვეყნის ეკონომიკა აღმავლობის გზას დაადგება, ხალხს ფული გაუჩნდება და პრივატიზებული სახლების მოვლა-პატრონობის თავი ექნებაო...

მძიმე მემკვიდრეობა, რაც ახალ ხელისუფლებას ერგო, მარტო ცარიელი ბიუჯეტი და ქვეყნის განადგურებული ინფრასტრუქტურა არ არის. ამ ხელისუფლებას, აგრეთვე, მემკვიდრეობად ერგო უფლებაშელახული ადამიანები, რომელთაც ხელისუფლება პარავდა ხელფასს, პენსიას, დახმარებას, ელექტროენერგიას, სოციალური, ჯანდაცვის, მიწისძვრის ლიკვიდაციისა და კომუნალური პროგრამებისთვის განკუთვნილ ფულს და კანალიზაციიდანაც მიირთმევდა, თუ რამეს ნახავდა. სანაცვლოდ "შენდებოდა" კერძო ფირმები, რომელთაც პირდაპირ ხელისუფლებაშიც ჰყავდათ პატრონები და პირდაპირ მერიაშიც. იმდენი მიირთვეს, რომ იუნესკო-მ საერთოდ აიღო ხელის ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე იმ მიზეზით, რომ თავად არ გვენაღვლებოდა არც ისტორია და არც კულტურა.

მერის ეს განცხადება, რომელიც თბილისში ათასობით დაზიანებულ, სიცოცხლისთვის საშიშ სახლს და ოჯახს ეხება, მარტივად ასე შეიძლება წავიკითხოთ - ჯერ პარლამენტარებმა, ქალაქის და ქვეყნის ჩინოვნიკებმა უნდა გავიზარდოთ ხელფასი საარსებო მინიმუმზე ასჯერ მეტად იმიტომ, რომ ბიუჯეტის ფული არ მოვიპაროთ; მერე - კონსორციუმებს, "კორპორეიშენებს" და "პრომებს" მივყიდოთ სტრატეგიული და ჯერ კიდევ მომგებიანი ობიექტები; ახალ პატრონებს დედა დავაფიცოთ, რომ სამუშაო ადგილებს შექმნიან და ქართველებს დაასაქმებენ. ამის შემდეგ კი თვეში, ჰა, ჰა, ხუთას ლარად დასაქმებულ მუშახელს საშუალება ექნება, გამოკვებოს 10 წლის ნაშიმშილარი ოჯახი, გაანათლოს უფულობით გაუნათლებელი შვილები, განაახლოს გაცვეთილი გარდერობი, გაათბოს გაციებული კედლები, უმკურნალოს მოხუც მშობლებს, მიხედოს სახურავებს, სახლის საძირკველს, რადგან ეს მისი საკუთრებაა და ქალაქს ამ საქმეში ხელიც დაუბანია...

**2. "სამარშრუტო ტაქსებთან მიბმულია მგზავრების, მძღოლების და საერთოდ ყველას ინტერესი, მაგრამ ეკონომიკური ინტერესი მხოლოდ იმათ აქვთ, ვინც წლების განმავლობაში ყიდულობდა ხაზებს და მანქანებს. ზოგიერთმა მართლა სახლი გაყიდა და ლუკმა-პურის საშოვნელად იყიდა მანქანა, მაგრამ ძალიან ცნობილი ხაზების დიდი ნაწილი ძალზე ცნობილი კორუმპირებული ადამიანების ხელშია,"** - მერი აქაც აბსოლუტურად მართალია, მაგრამ ქალაქში ისევ დადიან ძველი, გაუმართავი, მოუვლელი სამარშრუტო და კერძო ტაქსები, რომელთა მძღოლები არ იმჩნევენ მოძრაობის წესებს და არ იციან ქუჩები. ამას დაემატა ახალი სატრანსპორტო ფირმების მიერ ჩამოყვანილი ფერად-ფერადი ტაქსები და მუნიციპალური ავტობუსები. საზოგადოებას ჯერ არ სმენია, რომ რომელიმე "ცნობილი კორუმპირებული ადამიანისთვის" კუთვნილი ცნობილი სამარშრუტო ხაზი წაერთმიათ. ქალაქი კი ისევ იმხელაა, რაც ერთი წლის წინ იყო, უბრალოდ კვირაობით განსაკუთრებით დაიტვირთა ზემოთ ჩამოთვლილი დაბერებული ქუჩები და თუ ტრანსპორტის ამ რაოდენობის შემცირებაზე არ ვიფიქრეთ, ვერანაირი სამკუთხედი ვერ უშველის, რომელიც მე, როგორც დიდი სტაჟის მქონე მძღოლს, რატომღაც, მომწონს.

**3. ჩვენ უნდა შევცვალოთ ხალხის მენტალიტეტი** *(მერის სატელევიზიო გამოსვლიდან)*. საინტერესოა, ვინ იგულისხმება, ისინი, ვინც "მოძველებული მენტალობის" მიუხედავად მაშინდელ ოპოზიციას დაუჯერა და დემოკრატიისთვის ორი კვირა წვიმაში იდგა იმ იმედით, რომ კულტურული ინტეგრაცია მათი რეგიონების განვითარებას ნიშნავდა და არა ცარიელ რუსთაველზე მზესუმზირის კნაწუნს. თუ ის ხალხი იგულისხმება, ვინც ისტორიულ ნაწილში ცხოვრობს და წვიმის ყოველი მოსვლისას ჩვეულებისამებრ უშვერს სათლებს ჭერიდან ჩამოსულ წყალს და რომლებსაც გამგეობებში წამოსკუპებული წითელპომადიანი და გავასქელი მუშაკი ქალები პასუხობენ - "ბიუჯეტში არ ზიხარ...". სხვათა შორის, ამ ხალხს "მოძველებული მენტალიტეტი" მოთმინების უფლებას აძლევს და კარგად ესმით, რომ ასეთ დღეშია ლამის მთელი თბილისი და არამხოლოდ ძველი. ამიტომაც აღარ რეკავენ სადღაც უკვალოდ გამქრალ მერიის "ცხელ ხაზზე," და აღარც შეტანილ განცხადებაზე ელიან ოდესღაც ქალაქის პრემიერის, ბრეგაძის დანაპირებ პასუხს ფოსტით.

ჩვენი მერი არ არის ის ადამიანი, ვისაც უჭირს ქალაქის სტრუქტურებში აქამდე არსებული მავნე სქემებისა და წურბელების ჩამოშორება და არც პრინციპულობა აკლია საჭირო ჟამს. ინტეგრაცია ცენტრისა პერიფერიებში და პირიქით - კარგია, ოღონდ ეს სასეირნო გზა დედაქალაქის ღერძ ქუჩაზე კი არა, უკანონო მშენებლობებს გადარჩენილ სკვერებსა და პარკებზე უნდა გადიოდეს... თუ მერი მაინცდამაინც ჩვენს მენტალიტეტს არ "დაეტაკება", გადარჩება იმ სტრუქტურაში ინტეგრირებას, რომლის დანგრევაც ასე ენერგიულად დაიწყო მაშინ, როდესაც იგი უძველესი, მოშლილი, დაბერებული, მოუვლელი, მაგრამ ულამაზესი ქალაქის მერად დაინიშნა.

კვირა: იმედია, გაგვიმართლებს და სახლში ყოველგვარი საცობების გარეშე მივაღწევთ.

# სახიფათო მედიცინა

## ვინ დაიცავს პაციენტის უფლებებს?

მაკა ჭაიანი

*ამერიკული ისტორია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისგან: "გამოცდილ ექიმს პაციენტმა უჩივლა: მართალია, ჩიყვის ოპერაცია კარგად გამიკეთა, მაგრამ ყელზე ნაწიბური დამრჩა და სამი კვირის თავზე, საკუთარ ქორწილში, მომავალი მეუღლისა და სტუმრების წინაშე სწორედ ამ უხეში იარით გამოვცხადდი; ექიმი გავაფრთხილე, მალე ქორწილი მაქვს-მეთქი. დამპირდა, რომ პრობლემები არ შემექმნებოდა, მაგრამ პირობა არ შეასრულა... სასამართლომ ექიმს პაციენტის სასარგებლოდ 200 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა."*


ზაზა ფარაჯიშვილის ფოტო

საქართველოში პაციენტები წარმატებული ოპერაციების შემდეგ დარჩენილი უხეში ნაწიბურების გამო არ ჩივიან; საქართველოში გაცილებით მძიმე შედეგების მიზეზებს იკვლევენ: არასწორად ჩატარებული ოპერაციებისა თუ სამედიცინო მანიპულაციების შედეგად, ახლობლების გარდაცვალებას, დაინვალიდებას, დასახიჩრებას... ბევრს სხვას. რამდენად წარმატებულად - ეს გახლავთ საკითხი, რომლის გარკვევაც ჩვენ ვცადეთ. სამწუხაროდ, შედეგი იმაზე სავალალო აღმოჩნდა, ვიდრე წარმოდგენა შეიძლებოდა. როგორც ყველაფერს, ამასაც თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს.

### ვინ გაარღვევს კედელს?

ყველაზე სუბიექტურ მიზეზს ექიმების ერთგვარი დაუწერელი კანონი წარმოშობს. ერთმანეთის პროფესიონალიზმსა და შესაძლებლობებში დაეჭვებას პაციენტების წინაშე ექიმები არ ერიდებიან (ეს ავადმყოფის გადაბირების ნაცადი ხერხია), მაგრამ როცა საქმე ოფიციალურ დასკვნამდე მიდის, ვერ იპოვი ექიმს, რომელიც მეორე ექიმის მიერ დასმულ დიაგნოზს, ჩატარებულ ოპერაციას ან დანიშნულ მკურნალობას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს. წლების განმავლობაში ნაგები ამ კედლის გარღვევა ბევრს უცდია, მაგრამ უშედეგოდ. ეს "ოქროს წესი" მხოლოდ იმ შემთხვევაში ირღვევა, როცა ექიმები ერთმანეთში კონკრეტული საქმის გამო ვერ რიგდებიან. პაციენტის ჯანმრთელობასთან ასეთ საქმეებს, როგორც წესი, კავშირი არა აქვს.

ნანა ნ.-ძის (რესპონდენტების თხოვნით, მონაცემები დაფარულია) 10 წლის ქალიშვილს ბავშვთა ერთ-ერთ საავადმყოფოში ექიმმა გულის დაავადების მძიმე დიაგნოზი დაუსვა, მკურნალობის რთული კურსი დაუნიშნა და მეორე დღეს დამატებითი გამოკვლევებისთვის დაიბარა. ძვირადღირებული პრეპარატების ნაწილი ოჯახმა შეიძინა, მაგრამ ბავშვისთვის მათი მიცემისგან თავი შეიკავა - პროვიზორმა, რომელმაც წამლები გასცა, ამ ასაკის ბავშვისთვის ამდენად ძლიერი პრეპარატების დანიშვნა გაიკვირვა.

მეორე დღეს, დამატებით გამოკვლევაზე წასვლამდე, დედამ პატარა სხვა სტაციონარში მიიყვანა. კარდიოგრამამ მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები დააფიქსირა. ნანამ ექიმს წინა დღეს გადაღებული კარდიოგრამა აჩვენა. სურათი იგივე იყო. პირველი კითხვა, რომელიც ექიმმა უკვე მიცემული დანიშნულების ნახვის შემდეგ დასვა, ასეთი იყო: "ბავშვს ეს წამლები ხომ არ დაალევინეთ?" მისი განმარტებით, მათი მიღება შეუქცევად შედეგებს გამოიწვევდა. მიუხედავად ამისა, კოლეგის წინააღმდეგ თუნდაც პრივატულ საუბარზე ექიმი არ დათანხმდა.

**"ავიღე ძველი, ახალი კარდიოგრამა, გვარი გადავასწორე და ისევ იმ ექიმთან წავედი,** - ჰყვება ნანა, - **გამოვიყვანე კაბინეტიდან, ვაჩვენე ეს ქაღალდები და ვუთხარი, ჩემი ახლობლისაა და, იქნებ გადამიხედოთ-მეთქი. არაფერი საგანგაშო არ არისო და იგივე წამლები ჩამომითვალა, რაც მეორე ექიმმა. მაშინ უკვე ძალიან ავღელდი, როგორც ჩანს, მაინც მეგონა, რომ ყველაფერი უცოდინრობით მოუვიდა. მე რაღას უპირებდით, ჩემს შვილს რას უპირებდით, აბა, გუშინ სულ სხვა რამ რომ გვითხარით-მეთქი, და ყველაფერი პირში მივახალე. დაიძაბა. მერე ხვეწნა დამიწყო, იმ 50 ლარსაც დაგიბრუნებთ, ოღონდ, ეს ამბავი ამ კედლებს არ გასცდესო... 50 ლარია მიზეზი? ფულის გამო მოხდა ყველაფერი ეს? ხომ შეიძლებოდა, დიაგნოზი არ გადამემოწმებინა, ის წამლებიც მიმეცა ბავშვისთვის? მერე რა მოხდებოდა? უნდა დავღუპულიყავით?"**

შეგვიძლია, ჩავთვალოთ, რომ ნანას შვილი შემთხვევამ იხსნა. ასეთი რამ ყოველთვის არ ხდება. ნანას გოგონაც იმ ექიმის ერთადერთი პაციენტი არ არის. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ისინი სერიოზული საფრთხის წინაშე იმყოფებიან? ან რა განსაზღვრავს ექიმის გადაწყვეტილებას, ფაქტობრივად, შეუქცევადი განაჩენი გამოუტანოს პაციენტს - იმ წუთისთვის ცარიელი ჯიბე, პროცენტი, რომელსაც კონკრეტული აფთიაქისგან კონკრეტული პრეპარატის გამოწერაში იღებს, თუ სიტყვათა მარტივი შეთანხმება - პროფესიული გულგრილობა? ფიქრობენ ამაზე ის ექიმები, რომლებიც კოლეგების "უხერხულ მდგომარეობაში ჩაგდებას" ერიდებიან?

**"გეთანხმებით. სამედიცინო საზოგადოება, თავისი ბუნებით, ჩაკეტილი საზოგადოებაა. მას საკმაოდ თვითრეგულირებადი, ავტონომიური ცხოვრება ახასიათებს და ნამდვილად არსებობს დაუწერელი კანონი, რომლის მიხედვითაც ექიმმა ექიმის "ტყავი" არ უნდა დახიოს. მე ამას ვაღიარებ. ეს რეალობაა,** - ამბობს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი, - **მე ვარ ექიმი, უკანასკნელ პერიოდამდე პრაქტიკოსი ექიმი ვიყავი. კარგად ვიცი, ვინ რითი სუნთქავს და ყველაზე კარგად ვიცი, რომ პაციენტების უფლებები ნამდვილად ირღვევა. ისეც არ უნდა გავიგოთ, რომ ერთ მხარეს არიან მხოლოდ ბუა ექიმები, მეორე მხარეს კი - აბსოლუტურად უცოდველი მოსახლეობა. ამ საკითხს რეალურად უნდა მივუდგეთ. პრობლემები, სირთულეები ყველგან არსებობს, ყველა სფეროში, მაგრამ ექიმის უყურადღებობას, მის შეცდომას გამართლება არა აქვს და, თუკი ვინმემ გადაწყვიტა, ეს პროფესია აერჩია, უნდა იცოდეს, რომ მისთვის გაცილებით მაღალი კრიტერიუმები იარსებებს. ეს გახლავთ მთლიანად ქართველი ხალხის ჯანდაცვის სამინისტრო. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ აუცილებლად უნდა დავიცვათ პაციენტების უფლებები, არა მარტო მაშინ, როცა ისინი თავს დაჩაგრულად გრძნობენ, არამედ მაშინაც, როცა ასე არ ფიქრობენ და ჩვენ ვცდილობთ, ამ შემთხვევებში ერთგვარი ბუფერის როლი შევასრულოთ."**

### ბუფერი ექიმსა და პაციენტს შორის

ბუფერი, რომელზეც ლადო ჭიპაშვილი ლაპარაკობდა, სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლის ინსპექციაა. ახალი სახით, ეს სახეცვლილი ინსპექცია 2004 წლის ოქტომბერში შეიქმნა. მინისტრის რწმუნებით, იგი პატიოსანი ადამიანებითაა დაკომპლექტებული და "მუნდირის ღირსების" დაცვას მხოლოდ მაშინ თუ შეეცდება, როცა საქმე უმნიშვნელო დარღვევებს ეხება. ინსპექცია იკვლევს სამინისტროში შესულ საჩივრებს და შედეგებს სპეციალურ საბჭოს წარუდგენს. მისი მუშაობის საჩვენებლად ლადო ჭიპაშვილს იმ 12 ექიმის ხმაურიანი გათავისუფლების საქმე მოჰყავს, რომელიც, თავის დროზე, მედიის საშუალებით ფართოდ გაშუქდა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი, თბილისის დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კლინიკა, თბილისის №5 სამშობიარო სახლი, თბილისის კომანდიტური საზოგადოება, ახალციხის რაიონული საავადმყოფო, ახმეტის რაიონის პოლიკლინიკურ-ამბულატორიული გაერთიანება, ყვარლის რაისაავადმყოფო, მარნეულის შპს "სამშობიარო სახლი", მარნეულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონული ცენტრი, რუსთავის ნარკოლოგიური დისპანსერი, ზუგდიდის მოზრდილთა პოლიკლინიკა - ეს არასრული ჩამონათვალია სტაციონარებისა, რომელთა ხელმძღვანელები სამედიცინო საქმიანობის დარღვევებით წარმოებას შეეწირნენ. გასული წლის ოქტომბრიდან დღემდე, ინსპექციას განხილული აქვს 57 პაციენტის საჩივარი, შემოწმებული - 66 დაწესებულება, დაწერილი აქვს სამართალდარღვევათა 144 ადმინისტრაციული ოქმი. საჩივრების გეოგრაფია ვრცელია - საქართველოს ყველა რეგიონი, სვანეთის გარდა, ძირითადად, რა თქმა უნდა - თბილისია წარმოდგენილი; საჩივრების შინაარსი ასეთია - გარდაცვალება, დაინვალიდება, დამახინჯება... თუმცა, ყველ სახის საჩივარს ინსპექცია ვერ განიხილავს.

**"ფაქტობრივად, ჩვენ ვსწავლობთ ქაღალდებს, დოკუმენტაციას, იმას, თუ რამდენად სწორადაა ჩატარებული კონკრეტული ნოზოლოგიის მკურნალობა სახელმწიფო სტანდარტებით გათვალისწინებულ ფარგლებში,** - ამბობს სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლის ინსპექციის უფროსი გია თვალავაძე, - **ესეც იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო შემოწმების ნებას გვრთავს. მოგეხსენებათ, სამედიცინო დაწესებულებების აბსოლუტური უმრავლესობა სააქციო საზოგადოება ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ან ინდივიდუალური მეწარმეა და მათი საქმიანობა, კონტროლი მეწარმეთა შესახებ კანონების მიხედვით ხდება. როცა პაციენტი ისეთი ფაქტების გამო ჩივის, რომელიც სამედიცინო დოკუმენტებში არ ფიგურირებს, ჩვენ ვერაფერს გავაწყობთ. ამ დროს, ასევე სამედიცინო მომსახურების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დასადგენად (საექსპერტო დიაგნოზი, არასწორი მკურნალობით გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემები), გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნისას, მან სამართალდამცავ ორგანოებს უნდა მიმართოს."**

ასეთი მიმართვები, როგორც გია თვალავაძე ამბობს, არსებობს, მაგრამ მათი შედეგების შესახებ ინსპექციაში არაფერი იციან. კანონი სამართალდამცავებს ამ სტრუქტურის საქმის კურსში ჩაყენებას არ ავალდებულებს. აქ იმის შესახებაც ვერაფერს გეტყვიან, აღსრულდა და დაჯარიმდნენ თუ არა ის ობიექტები, რომელთა თაობაზე ინსპექციამ შესაბამისი გადაწყვეტილება გამოიტანა. სამწუხაროდ, ზუსტი მონაცემების მოპოვება ვერც ჩვენ მოვახერხეთ. კანონის მიხედვით, ულიცენზიო და უსერტიფიკატო საქმიანობის შემთხვევაში, სტაციონარი ჯერ 1000 ლარით ჯარიმდება, განმეორებით შემთხვევაში - 2000 ლარით, მესამე ჯერზე კი მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება. რამდენად ვრცელდება ეს ზოგადი სანქციები კონკრეტულ ექიმებზე, სტაციონარის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია.

### სად ვეძებოთ რეალური დამხმარე?

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი მიიჩნევს, რომ თავად ის ფაქტი - მათ საქმიანობას სახელმწიფოს სპეციალური სამსახური რომ ადევნებს თვალს - სტაციონარებს კანონის ჩარჩოებში აქცევს. არც სამინისტროში და არც ინსპექციაში თავს არ დებენ იმაზე, რომ მათ თვალსა და ყურს ქვეყანაში მომხდარი არც ერთი სამედიცინო ხასიათის კანონდარღვევა არ ეპარება, თუმცა, პირობას დებენ, რომ არც ერთი საჩივარი შესწავლის გარეშე არ დარჩება. ამდენად, თუ თქვენთვის ან თქვენი ახლობლისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხი გაწუხებთ და გაინტერესებთ, შეგიძლიათ მიმართოთ სამინისტროს ცხელ ხაზს ნომრებზე: 94-39-94, 94-34-98. უფრო ღრმა ძიებისთვის კი სამართალდამცავები დაგჭირდებათ, იმ შემთხვევაში, თუკი დაზღვეულები არა ხართ. დაზღვევის არსებობის შემთხვევაში საქმეში სადაზღვევო კომპანია ერთვება.

სამედიცინო დაზღვევით საქართველოში დღეს ათამდე სერიოზული კომპანიაა დაკავებული: "ალდაგი", "სელბი", "ევროპეისი", "იმედი-ლ", "ირაო-პოლისი", "GIP ჰოლდინგი", BCI... მათი აგენტები ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ამოწმებენ, რამდენად სწორად იქნა დასმული დიაგნოზი მათთან დაზღვეულის ავადმყოფობის შემთხვევაში, რამდენად სწორად დაინიშნა მკურნალობის კურსი, რამდენად საჭირო იყო ოპერაცია და რამდენად ხარისხიანად ჩატარდა იგი, ნამდვილად გაეწია თუ არა პაციენტს ის სამედიცინო მომსახურება, რომლის საფასურის გადახდასაც სტაციონარი ითხოვს. საქმე ფულს ეხება, არცთუ მცირე რაოდენობით ფულს, შესაბამისად, კომპანია გამოწვლილვით იკვლევს მისი გაცემის საფუძვლიანობას. ეს კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ პაციენტმა თავი დაცულად იგრძნოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელმისაწვდომი ყველასთვის არ არის. მომსახურების ინდივიდუალური პაკეტი, საშუალოდ 50 ლარი ღირს. ყოველთვიურად ამ თანხის გაღება ჩვენს ქვეყანაში ბევრი კარგად დასაქმებული ადამიანისთვისაც კი პრობლემას წარმოადგენს. დაახლოებით ისეთ პრობლემას, როგორსაც - საჭიროების შემთხვევაში, კვალიფიციური ადვოკატის დაქირავება.

ზოგადად, თქვენს უფლებებს იცავს 2005 წლის 5 მაისს მიღებული კანონი პაციენტთა უფლებების შესახებ. ეს ვრცელი დოკუმენტი პაციენტებს ფართო უფლებებით აღჭურავს, თუმცა, მისი გამოყენება კვალიფიციური იურისტის გარეშე ასევე რთული იქნება. გარკვეულ დახმარებას, ამ თვალსაზრისით, საქართველოს მოქალაქეებს ჯანდაცვის ომბუდსმენის სამსახური (ტელ: 95-49-54, 22-60-76) უწევს, რომელიც საქართველოს ბიოეთიკისა და ჯანდაცვის სამართლებრივი დარღვევების შემსწავლელ საზოგადოებაში 2001 წლის მეორე ნახევრიდან ამოქმედდა. მის ხელმძღვანელ გივი ჯავაშვილთან საუბრისას ირკვევა, რომ ეს ორგანიზაცია არა მარტო ამ კანონის აღსრულებას აკონტროლებს, მოსახლეობას სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების მიღებასა და არაკანონიერად გადახდილი თანხების დაბრუნებაშიც ეხმარება. ჯანდაცვის ომბუდსმენთან შესული წერილების 95 პროცენტი (ასეთი კი, ამ ხნის განმავლობაში, 4 ათასამდეა) სწორედ ამ შინაარსის ყოფილა. ჯანდაცვის ომბუდსმენის სამსახური, სჭიროების შემთხვევაში, ავადმყოფობის ისტორიის გამოთხოვაშიც დაგეხმარებათ და ექიმსა და პაციენტს შორის ერთგვარი მედიატორის როლსაც შეასრულებს, მხოლოდ - არა სასამართლოში.

სასამართლომდე საქმის მიტანას ჯანდაცვის ომბუდსმენის სამსახური მხარს არ უჭერს. მისი ხელმძღვანელის აზრით, ეს საქართველოშიც, ისევე, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, სამედიცინო მომსახურების ფასს მხოლოდ გააძვირებს. თუმცა, საბოლოოდ, ყველაფერი მაინც, ალბათ, აქით წავა - ექიმსა და პაციენტს შორის სამართლებრივი დამოკიდებულებისაკენ. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრიც სწორედ ამ აზრს ავრცელებს. **"ამერიკის შეერთებულ შტატებში მთელი სექტორი არსებობს პაციენტებსა და ექიმებს შორის სასამართლო დავების მოგვარების მხრივ. ეს პროცესი საქართველოშიც განვითარდება. რაც მაღალი იქნება ქვეყანაში სამართლებრივი კულტურა, მით მეტი იქნება ამ ტიპის საჩივარი,** - ამბობს ლადო ჭიპაშვილი, - **ადრე, ყოველი ასეთი საჩივრის შემთხვევაში, მსაჯულის როლში ჯანდაცვის სამინისტრო გამოდიოდა, არადა, სასამართლო პროცესებში მონაწილეობა ამ უწყების საქმე არ არის. სამინისტროს საქმე ისეთი კანონების შემუშავება, ისეთი პოლიტიკის წარმართვაა, რომელიც როგორც პაციენტის, ისე ექიმების უფლებებს დაიცავს."**

იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს მოქალაქეების სამართლებრივი თვითშეგნების პარალელურად, მათი სოციალური, ეკონომიკური დონეც ამაღლდება და ადამიანებს ექნებათ მატერიალური საშუალება, თუნდაც უკვე მიღებული კანონები გამოიყენონ, თეთრ ხალათებში გამოწყობილი საეჭვო რეპუტაციის, შესაძლებლობების "სპეციალისტების" მსხვერპლნი არ გახდნენ, რომელთათვისაც პაციენტი არის შემოსავლის წყარო, სუბიექტი, რომლის ჯიბეებიც "გემოზე უნდა დაფერთხო," და არა ადამიანი, რომლის ჯანმრთელობის, სიცოცხლის გადასარჩენად, დიპლომის აღებამდე, ფიცი დადეს.

ის, ვინც პლასტიკაში ცხოვრობს



B2

უკან - პანტიანში



B4

THE DAVID SANBORN GROUP



B8

მოგზაურობა

# სამ დღეში აღქმული სოფია

ოთარ ქირია

კომუნისტებზე ვერანი ხალხი ალბათ პლანეტას არ ახსოვს. "გავერანება" იმიტომ ავირჩიე, რომ ეს განადგურების, გაპარტახების და გაჩანაგების განსაკუთრებული ფორმაა, როცა რაღაცა საუკუნოვან გათახსირებას ექვემდებარება და პრობლემის გამოსწორება თაობებს უწევთ. რა თქმა უნდა, დედამიწას ბევრი ახსოვს გამანადგურებელი, დამპყრობელი, თუ დამანგრეველი, მაგრამ კომუნისტი მაინც სხვაა. "нашествие...".

როცა ბულგარეთის დედაქალაქში შევედი, ზუსტად ეს სიტყვა გამახსენდა და დიდ ხანს იმაზე ვფიქრობდი, რა დრო და ძალისხმევაა საჭირო კომუნისტური მუწუკები რომ მოიშორო. უაზრო, კუბოს ტიპის შენობები, უსახო და უფორმო ნაგებობები. ზუსტად ისეთი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგების კორპუსი რომ არის. მოქერცლილი, უიაფესი ხის მასალისგან დამზადებული კარ-ფანჯარა და გადაყვითლებული, ვითომ მარმარილოს ფილაქნები, აქა-იქ ჩამონგრეული, ჩვენი "იმელის" მსგავსად.



სოფია მწვანე ქალაქად ითვლება - ტყე, უბანი, ტყე, უბანი, ტყე, ცენტრი და ა.შ. ოღონდ, მწვანე პირდაპირი გაგებით, თორემ ეკოლოგიურად ზუსტად ისე გამოიყურება, როგორც ბუნკერი, დიდი ბუნკერი, და მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურულად გაცილებით გამართულია, ვიდრე თუნდაც თბილისი, დასუფთავების სამსახურს, ალბათ, აქაც კორუფცია ჭამს. ნერვები სასტიკად ამეშალა, როცა სასტუმროს ფანჯრიდან გავიხედე და მთაზე ზუსტად ისეთივე წამოჯგიმული რაღაც დავინახე, როგორიც ჩვენი ფუნიკულიორის ანძა გახლავთ.

თბილისს და სოფიას არც შევადრი ერთმანეთს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ პირველი გაცილებით მიყვარს და მეორე იმიტომ, რომ ქალაქის და არქიტექტურის კვალი თბილისში სხვადასხვა ქუჩებზე მაინც არის, ერთის ნაცვლად. ერთი ქუჩა კი არა, სოფიის მხოლოდ ერთი მოედანი მიგითითებს იმაზე, რომ ევროპის კონტინენტზე დააბიჯებ. ისიც იმის ხარჯზე, რომ სამთავრობო შენობები და სახელმწიფო უნივერსიტეტი აუცილებლად რაღაცას უნდა წარმოადგენდნენ (განსაკუთრებულს არაფერს, მაგრამ მაინც). ამ მოედანზე ზღაპრული მხოლოდ რუსული ეკლესიებია და ორივე კომუნისტების შემოსევამდე, რუსების მიერ არის აგებული. აბა, მოოქროვილ გუმბათიან და არქიტექტურულად უძვირფასეს ტაძრებს კომუნისტები მოსკოვის გარდა სადმე დატოვებებდნენ..?

არ ვიცი როგორ ცხოვრობდა სოფია კომუნისტებამდე, მაგრამ ბულგარეთის დედაქალაქად ის 1879 წელს გამოაცხადეს, თურქებისგან გათავისუფლებიდან ერთი წლის თავზე და "ველიკო ტურნოვოს" კონსტიტუციის მიღების შემდეგ, თუმცა 1945-ში ბულგარეთი "წყეული" გიორგი დიმიტროვის წყალობით, ზემოხსენებული ვერანების ხელში მოექცა და ვიდრე 1989 წლამდე ალმშენებლობას, მხოლოდ წითური დირექტივებით განიცდიდა.

ერთი რამ არის უცნაური - სოფიის შედარება არც შეიძლება. მეტიც, უნგრეთის ეროვნულ მუზეუმში ქვეყნის ევოლუცია და განძეულობა ამერიკული რაციონალიზმით, ოთახების მიმდევრობით არის განთავსებული და აქ ნათლად ჩანს, ვინ რა მისცა ქვეყანას. საწყისი ოთახი მე-11-ე საუკუნეს ასახავს და დაახლოებით ისე გამოიყურება, როგორც სხვაგან ქვის ხანა. სამაგიეროდ, მე-14-საუკუნის ოთახიდან ნათლად ხედავ, რომ ბუდაპეშტი ივსება ოქრო-ვერცხლითა და თვალ-მარგალიტით. მართალია, ენაზე დიდი გავლენა იქონიეს და დღეს უნგრულად მადლობა დაახლოებით ასე ჟღერს - "კესენემ", უნგრელებს მაინც მიაჩნიათ, რომ თურქებმა ისინი ბუმბერაზ აზიურ კულტურას აზიარეს. პრაგმატიკოსები არიან.

ზოგადად სოფიის, ბუქარესტის, ბრატისლავის, ბუდაპეშტის, ვარშავის, პრაღის და ან ბერლინის დღევანდელი სახე კარგად ჯდება კომუნისტების ექსპანსიის ტაქტიკაში. სადაც უფრო ძლიერად გრძნობდა "ცეკაგეკაჩეკამეკა" თავს მით უფრო მწირი, ღარიბი და უსახოა ქვეყანა. სადაც უფრო სუსტად იყვნენ, სიმდიდრეც იქ დარჩა. წაღებული კი ან წითლების სახლებში მოხვდა, ანაც "კომისიონკებში". ბულგარეთს ლამის მეთექვსმეტე რესპუბლიკად თლიდნენ ჩვენი მამა-პაპები. ამასთან, ეს კარგად იგრძნობა თვით ბულგარეთის შიგნითაც, სოფია, რომელიც, რაღა თქმა უნდა, მთავარი სამიზნე იყო, გაცილებით კომუნისტურია, ვიდრე ბულგარეთის რეგიონები. მეტიც, ისინი ზუსტად ევროპულ რეგიონებს ასახავენ სოფია კი მოსკოვის პერიფერიას.

რასაკვირველია, ცოტა უხერხულია, ქართველმა ილაპარაკო ქვეყანაზე, რომელიც ხვალ ევროგაერთიანებაში შევა, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ბულგაერთი ევროგაერთიანებაში ლამაზი თვალების გამო არ შედის. თუმცა, რიგ საკითხებში ბულგარეთი გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე ჩვენ და მთავარი აქ ის არის, რომ კანონის პატივისცემა ისწავლეს.

ჩვენებურ დომხალს ქუჩებში ვერ ნახავ ტრასნპორტის თვალსაზრისით. ეს რას უნდა ნიშნავდეს, ალბათ ვიცი. მოსკოვიც კი, რომელიც კომუნიზმის ცეტრი იყო ყოველთვის ასი თავით სჯობდა თბილისს, ტრანსპორტისა და გზებზე გადაადგილების კულტურით. "მარშუტკები" სოფიაშიც დადის, მაგრამ სულ სხვა განაწესით. ჯერ ერთი, ყველა ერთი სტანდარტით არის გამოშვებული და აჭრელებული ასორტიმენტით არ ამახინჯებენ ქუჩებს, მეორეც, გაჩერების ადგილები იციან. ამასთან, სამარშრუტო ხაზები სადარბაზოების მიხედვით კი არ გაუნაწილებია მუნიციპალიტეტს, არამედ ქალაქის დატვირთვისა და გადაადგილების სიხშირის მიხედვით.

 აი, მუსიკას ნამდვილად ეტყობა თურქეთის გავლენა, მაგრამ საშინელებაა, როცა ხდება ორი სხვადასხვა კულტურის დიფუზია, თანაც საზიზღრად. თორემ, მაგალითად, მუჰამედმა შესანიშნავად მოახერხა



ჯაზისა და აღმოსავლური ჰანგების შერწყმა. ზოგადად აღმოსავლურ მუსიკას რა სჯობს, მაგრამ რა არის, როცა ამ ჰანგებს დაემატება სლავური "პაპსა" (ვგულისხმობ რუსულ ესტრადას) და ევრო-ამერიკული "შოუბიზი"? - საშინელება. ქვეყნის მასშტაბით ოთხი ნაციონალური მუსიკალური არხი გადაიცემა (ადგილობრივებისა და საკაბელოების გარდა) და ოთხივე ერთმანეთზე უარესია - იმაზე გაცილებით ცუდი ვიდრე თბილისი-ზუგდიდის სამარშრუტოების მუს-აკომპანიმენტი, სტუდია "აიასა" და მერაბ კაშიას შემოქმედება და ცოტათი, მსგავსი იმისა, რაც არცთუ დიდი ხნის წინათ ევრიკაზე ხდებოდა ე.წ. გადაცემა "სალონში".

ბულგარელთა საკმაო ნაწილი ბოშები ან მათთან ნარევი ხალხია, მაგრამ, სამწუხაროდ, არც მათეული ჰანგი ჟღერს სადმე, არც რესტორნები, ბარები და კლუბები გთავაზობენ რაიმე განსაკუთრებულს. ან ლოპესის კანვილი გაყრუებს, ანაც უსმენ რუსულ-თურქულ "პაპსას". მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ ერთიანად ბულგარეთი ძალიან მუსიკალურია, მაინც დიდი ვერაფერია.

სოფიის სიამაყე კულტურის ცენტრია. მთელი თვის განმავლობაში აქ გამოფენის ან ღონისძიების გარეშე დღე არ ჩაივლის. ზუსტად ისე როგორც ეს კომუნისტებს უყვარდათ. ერთ დღეს ფერწერა, მეორე დღეს ფოტო, მესამე დღეს სამხედრო ჯართი, მესამე დღეს მეტალურგიული ნაგავი, მეოთხე დღეს ისევ ფერწერა, მერე გრაფიკა, მერე ვინ გვარცხვენს, ვინ გვასახელებს და ა.შ. საშინელება...

ზუსტად იგივე ხდება ოპერაში. ჩვენთან, უბრალოდ, ამ შენობას ოპერისა და ბალეტის თეატრი ჰქვია და მაინც არა უშავს, რომ ხან ოპერაზე გეპატიჟებიან, ხან ბალეტზე და ხანაც სიმფონიურ "ხერხვაზე". სოფიაში კი ამ ყველაფერს ერთი "სოფია ოპერა ჰაუსი" მასპინძლობს. კომუნისტური ეპოქა ღალადებდა ყველაფერი იაფად და ხარისხიანადო. ჰოდა, ხრუშჩოვკებშიც შეგვასახლეს, მუსიკასაც მხოლოდ ერთ გაყინულ და დანგრეულსკამებიან შენობაში გვასმენინებენ (დღემდე). ასეა იქაც.

სამაგიეროდ სოფიაში ის არის სხვაობა, რომ ამ კულტურული სახლ-ცენტრის წინ ბულგარეთის ბულვარია და იქ ხდება რაც ხდება. ბევრი ლუდი, ბევრი არა, ზღვა ლუდი, "ცაცა" - ჩვენ რომ "კაპჩპონის" ვეძახით და დიდი თინეიჯერული "სხოდკა", თავისი სექსუალური კარჩაკეტილობის რევოლუციური აფეთქების პროდუქტითა (ანუ ახალგაზრდობა ქუჩაში, რომ არაფერს ერიდება) და ბებრების ღრძო ლანძღვა-შეგონებებით. გაქონილი მაგიდებით, ბევრი თანამედროვე "პაპსითა" და ნაგვიანი ბულვარით. ეს ცხოვრების მნიშვნელოვანი ატრიბუტია.

ბულგარეთის ბულვარს ცენტრალური ქუჩა "ვიტოშა" მეტსახელად "ვიტოშკა" აგრძელებს - სნობების ქუჩა. "იმენნოი ზმანებზე" აქ უნდა გაიარო. გასართობად ისიც გეყოფა, რომ ულტრათანამედროვე პირველ სართულებს, ზუსტად იგივე ფასადები ადგას თავზე, რასაც თბილისის პერიფერიებში ვხედავთ.

ზოგადად, სოფიაში ვისაც არ უნდა ჰკითხო რამე დედაქალქის შესახებ, ყველა ვოტოშათი იწყებს და ამითვე ამთავრებს. ეს "ვიტოშა" ყველაფერია - ქუჩა, გესთ-ჰაუსი, სასტუმრო, სააგენტო, მთა, კურორტი, ქედი, პარკი, სტუდქალაქი, კლუბი, რესტორანი და ყველაფერს რა მოძებნიდა...

მთავარი ვიტოშა ტყუპი მთები და კურორტია, რომელიც სოფიის ცენტრიდან დაახლოებით 25 კილომეტრში მდებარეობს, ხოლო ზღვის დონიდან დაახლოებით 2290 მეტრ სიმაღლემდე აღწევს. აქ არის განთავსებული ზამთრის კურორტი, მეტეოროლოგიური სადგური, რომელიც 1935 წელს ააშენეს და დღემდე მოქმედებს, ვიტოშას პარკი, რომელიც დაახლოებით 26 ჰექტარზეა გაშლილი და უამრავი გასართობი კომპლექსი - ტრადიციული ბულგარული მუსიკითა და სამზარეულოთი. რასაც ვერ შეედავები ამ ალაგს, ეს ბუნებისგან ბოძებული სილამაზეა.

სამზარეულოს და ღვინოს ბულგარეთი ნამდვილად არ უჩივის და შემიძლია ვთქვა, რომ მართლები არიან, როცა ამაყობენ, რა თქმა უნდა, სომელიერი და პროფესიონალი კერძთმცოდნე არ ვარ, მაგრამ ხომ მომეწონა... რასაც ვერ ვიტყვი მომსახურე პერსონალსა და ზოგადად სერვისზე. ზუსტად ისევე იციან ეს სფერო, როგორც სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. მაგალითად, საქართველოში.

თბილისში, რომ ბუში ჩამოდიოდა, მისი ცოლი "წიგნის სახლს" სტუმრობდა. იმ დღეს და მას მერეც ამ კაფეში განდიდების მანია დაემართათ და ასე გაგრძელდება, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ვიღაც არ გალანძღავს ან საერთოდ არავინ შევა. ზუსტად იგივე ხდება სოფიაშიც, გინდა, უბარლო ესპრესოს კაფეში შედი, გინდა, ტოპ-მაღაზიაში. დამხვდურს მაინც მიაჩნია, რომ შენზე მეტია, ვინაიდან, მართალია ნიფხავს, მაგრამ მაინც "იმენნოის" ყიდის.

ისე ესპრესო, რომ ბევრია და თან ძალიან იაფი (დაახლოებით 40 თეთრი) ძალიან შემშურდა.

მუსიკალურ მაღაზიაში მერაია ქერის ან რობ ტომასს თუ იყიდი, ძაან ტიპი ხარ. კლასიკას თუ მოითხოვ, აუცილებლად დაიჯღანებიან, არ აქვთ. როკის შემთხვევაში გადაღეჭილ "ფარფლებსა" და "ზეპელინებზე" იმდენს გესაუბრება ვიღაც თავშირკინაგარჭობილი, რომ დაგავიწყდება, რა ითხოვე, ჯაზში მაილს დევისის გარდა ვერაფერს შემოგთავაზებენ და ზოგადად ემთივის "პაპსას" გარდა თუ რამე გინდა, ეს აუცილებლად ბულგარულ-ნაციონალურ-ხალხურ-ფოლკლორულ-რუსულ-თურქულ-ნარევი კომპიუტერზე ნახლაფორთალი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, "ბანძი" ხარ.

აკი ვთქვი, ოთხი მუსიკალური ტელეარხი აქვთმეთქი, ოთხი იმდენი რადიო გაწივის ზუსტად იგივე ამპლუით. ჩვენთან "ფორტუნა" მაინც ჩაგირთავს საათში ერთხელ კლასიკას. მერე რა, რომ შუამდეც არ მოგასმენინებენ კომპოზიციას, მთავარია, სფეროს არ მაზავენ..?

დიდად არც ბულგარულ სტუმართმოყვარეობაზე გავგიჟებულვარ. მახსოვს, ერთ ღამეს სრულიად სასტუმრო დილამდე გააყრუა ვიღაცის ქორწილმა. არ ვიცი, რამდენად სწორია, როცა სასტუმროში იხდიან ქორწილს, მაგრამ ის ღმუილი და წივილი, რაც სასტუმროს პირველ სართულზე ხდებოდა, ალბათ რაღაცა უკულტურობის მაგვარზე მიუთითებს და რაოდენ სამწუხაროა, რომ ასეთები ჩვენშიც ჭარბად ხდება. ერთი კი ვიფიქრე, ნეტა, ეს მუსიკა რატომ მოსწონთ-მეთქი და მერე შევეშვი - ალბათ, ჩვენზეც ასე ფიქრობს ვიღაცა, "აფრებს" რომ გაუბერავენ სუფრებზე-მეთქი. თუმცა, რაღა სუფრებს მივაჭიჭინდი, არანაკლებ "პოპულარული" სიმღერით, არცთუ დიდი ხნის წინ, ჩვენი კულტურის სამინისტრო და "ბომონდი" არ წარდგა უკრაინის დედაქალაქში. ოღონდ ის ვერ გავიგე ჩვენებს სიფათები ღვინის გამო ჰქონდათ ანთებულ-გაოფლილი, თუ კურტიზანების მოლოდინში.

ასეა თუ ისე, ბულგარეთი რუმინეთთან ერთად 2007-ში ევროგაერთიანების სრულუფლებიანი წევრი გახდება და მერე ალბათ ყველაფერი სხვაგვარად წავა. მათ მერე, როგორც ევროპარლამენტის ერთ-ერთმა დეპუტატმა მითხრა შეხვედრაზე, უკრაინის ჯერი დადგება. საქართველო კი ღმერთმა უწყის, როდის მოხვდება ამ სიაში, ან მოხვდება კი...?



# აფიშა

## კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
"ფორტუნა - 97"
გახსნა: 19:00 სთ.

## თეატრები

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
დათო ევგენიძე, ფელიქს მენდელსონი
"საფირონი"
ირმა ნიორაძის გასტროლი
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ცვეტაევა, რილკე, პასტერნაკი
"ოდესმე..."
რეჟისორი: ავთანდილ ბაქრაძე
დას: 20:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
"კიდევაც დაიზრდებიან"
ავტორი და რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**კავკასიური სახლი**
ირაკლი მკერვალიშვილის ფილმის
"ქალთა კოლონია მატროსოვის ქუჩაზე" ჩვენება და განხილვა
დას: 17:00 სთ.

**რუსთაველი**
"მადაგასკარი"
(ანიმაციური ფილმი ქართულ ენაზე)
დას: 12:30; 13:30; 15:15; 17:00 სთ.

"მისტერ და მისის სმიტები"
დას: 20:00; 22:15 სთ.

**ამირანი**
"მისტერ და მისის სმიტები"
დას: 20:00; 22:15 სთ.

"მადაგასკარი"
(ანიმაციური ფილმი ქართულ ენაზე)
დას: 12:00; 14:00; 16:00; 18:00 სთ.

**ახმეტელი**
"მისტერ და მისის სმიტები"
დას: 14:30 სთ.

"ცოდვების ქალაქი"
დას: 17:00 სთ.

"მადაგასკარი"
(ანიმაციური ფილმი ქართულ ენაზე)
დას: 19:00 სთ.

**კინოს სახლი**
"ლუდვიგი"
(I ნაწილი)
რეჟისორი: ლუკინო ვისკონტი
ფასი: 2 ლარი
დას: 18:00 სთ.

## გამოფენები

**გოეთეს ინსტიტუტი**
გერმანელი ფოტოჟურნალისტის თომას გრაბკას/Thomas Grabka ფოტონამუშევრების გამოფენა "ხედვის შეცვლა" (Blickwechsel)
გახსნა: 18 საათზე.

**ჰობი**
"თავისუფალი თემა"
კონკურსში გამარჯვებულ ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა

**ქარვასლა**
გამოფენა "სპეციალურად მარტივი/ალტერნატიული პროდუქციის კულტურის
წარმოქმნა"
(ახალი გერმანული დიზაინის თვალსაჩინო მაგალითი; 122 ექსპონატი; აქცენტი გაკეთებულია ავეჯზე, განათებასა და საცხოვრებელ ობიექტებზე)

**TMS**
ალექს ბერდიშევის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენების განახლებული ექსპოზიცია

"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## თბილისის მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ "საჩუქრის" პროგრამა
### 14 ივნისი

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ნანა ჯანელიძე
"საჩუქარი დიდებს, როცა პატარები იყვნენ"
რეჟისორი: ნანა ჯანელიძე
დას: 20:00 სთ.

**"გლობუსი"**
"დეკამერონი"
დას: 20:00 სთ.

# ის, ვინც პლასტიკაში ცხოვრობს

სოფო კილასონია

*არ ვიცი, სხვები როგორ, მე კი ჯერ სიტყვები დავიმახსოვრე, მათი სრულყოფილი და, როგორც ამბობენ, ღრმა მნიშვნელობა დროთა განმავლობაში გავიგე. სიტყვა "ხელოვანი" ადრეულ ასაკშივე დავძლიე, თუმცა, წინ უფრო რთული ამოცანა მელოდა - "შემოქმედი", მისი მრავალმხრივი აზრი და გაგება დიდხანს თეორიულ ცოდნად რჩეობოდა. სანამ პირველად არ შევხვდი ადამიანს, რომელიც ჩემთვის აღმოვაჩინე როგორც ნამდვილი შემოქმედი და ყველაფერი დალაგდა. სიტყვა სიტყვად არ დარჩა, მე კი ერთიორად ამაყი გავხდი იმით, რომ არაერთხელ აღმოვჩნდი მისი შემოქმედებითი პროცესის მონაწილე. ჩემი განვითარების ეს მნიშვნელოვანი დღე ოპერისა და ბალეტის თეატრის მეექვსე სართულზე, პატარა დარბაზში, ბატონ გოგი ალექსიძის შემოსვლით აღინიშნა. მხრებზე მოსხმული პიჯაკი, რამდენიმე ნაბიჯი აქეთ-იქით; ფაქტია, წინასწარ არაფერი აქვს მომზადებული. დარბაზში სიჩუმე, თუმცა, დაძაბული სუნთქვა. შემდეგ თხოვნა, ჩართონ მუსიკა და პირველივე ბგერიდან დაწყებული მოძრაობა, როგორც ერთი დიდი ტალღა, ერთი ამოსუნთქვა დასაწყისიდან ბოლომდე. ბოლო ნოტი და უეცარი მზერა, დაინახე თუ არა ის, რაც უცბად დაიბადა, დააფიქსირე თუ არა ის, რამაც გაიელვა და რაც, შესაძლოა, აღარ გამეორდეს. ეს განცდა, მეტად თუ ნაკლებად, ყველას გამოუცდია, ვისაც ხანმოკლე ურთიერთობა მაინც ჰქონია ბატონ გოგისთან...*

როცა მის სახლს ვუახლოვდებოდი, ზუსტად არ ვიცოდი, რა მაიძულებდა რომანტიკული გავმხდარიყავი და ძველი ამბების მოგონება დამეწყო. როცა ალექსიძეების სახლში მივედი, მივხვდი, ეს გარდაუვალი იყო. გოგი ალექსიძე იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, ვისაც ძალუძს, დიდი ხნით დატოვონ ადამიანებზე შთაბეჭდილება და ზოგიერთი მათგანის აზროვნებასა და ცხოვრებაში დიდი როლიც შეასრულონ.

ჩვენი პირველი შეხვედრისგან განსხვავებით, ეს ბოლო შეხვედრა სახლის ინტერიერში შედგა. თუმცა, გოგი ალექსიძე მაინც მუშაობდა. ბალეტმაისტერი პარტიტურას არჩევდა. ერთი სიტყვით, იმ დროს მივედი, რომელიც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ყოფილა: - "ბალეტმაისტერის ერთადერთი სიამოვნება მუშაობის პროცესია. პირველი - როცა ეძებ და იდეა მოდის და მეორე - მუშაობ პარტიტურაზე და იდეისა და სპექტაკლის კონსტრუქციას იგონებ, ქმნი ფუნდამენტს. ის, თუ რა მოდის თავში თავიდან, ეს ძალიან მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია შენი მომავალი ოპუსის შექმნაში," - ასე დავიწყეთ ხანგრძლივი საუბარი, დიალოგი, რომელშიც, ბუნებრივია, მისი ოდნავ მელანქოლიური, მაგრამ მაინც ოპტიმისტური განწყობის მონოლოგი უფრო იკვეთებოდა.

"ირმა ნიორაძემ მთხოვა, ბალეტი დამედგა მისთვის. სიმფონიური ცეკვის ხერხით, ბალანჩინის ტიპის პაციფონია. ბევრი ვიფიქრეთ. ბალანჩინს ჩაფიქრებული ჰქონდა შოუმბერგის მუსიკაზე "საფირონი" დაედგა ("სამშვენისების" ქორეოგრაფიული სერიისთვის), მაგრამ ვერ მოასწრო. გადავწყვიტეთ, ბალანჩინის განუხორციელებელი დადგმა განგვეხორციელებინა. დავიწყე შოუმბერგის მუსიკაში ძიება. ამ ბოლო დროს ასეთი თანამედროვე მუსიკის დადგმა უფრო მომწონს, თავს უფრო კომფორტულად ვგრძნობ. შოუმბერგი, ვებერნი, ბერნი, სტრავინსკი... შემდეგ გადაიფიქრეს და სულ სხვა სახის მუსიკაზე მოინდომეს დადგმის განხორციელება. ნახევარი წლის შრომა, ეს ყველაფერი გადავდე, პრიმიტიულად ვიფიქრე და, როგორც დიდი ბალანჩინი გვასწავლიდა, ავიღე "კარგი" მუსიკა, მენდელსონის სავიოლინო კონცერტი. დადგმა მუსორგსკის სახელობის ოპერის და ბალეტის თეატრში მიმდინარეობდა. პრემიერა უნდა შემდგარიყო მოსკოვში, ლუჟკოვის ახალი ოპერის შენობაში. ჩამოვიდა დასი, ლავროვსკი, ლიეპა, იმ დღეს მოხდა ეს ამბავი... ცხოვრებაში არ მომხდარა, რომ დადგმის გარეშე მეცხოვრა. მას შემდეგ ცხრა თვე ხელი არ გამინძრევია." ერთი წლის წინ ქართველი ქორეოგრაფი მოსკოვში სასიკვდილოდ გაწირეს. მთელი რუსული კულტურა, რომ იტყვიან, ფეხზე დადგა. ამ ამბავს არა მარტო რუსული, არამედ დასავლური პრესაც გამოეხმაურა. ყველა, ოღონდ არა საქართველოდან. სამშობლოდან მხოლოდ ახლობელთა ზარები ისმოდა. კარგად ახსოვთ, რომ პირველმა მეგობარმა, გია ყანჩელმა დარეკა. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მდგარს მიშა ბარიშნიკოვი შორიდან, მაგრამ მაინც ყველაფრით გვერდით ედგა. "მარინის თეატრი, კონსერვატორია, აკადემია, იქაური სტუდენტები..." - ასე ჩამოთვალა გოგი ალექსიძემ ისინი, ვისმა დახმარებამაც მას ენერგია და ძალა მისცა. სხვა ამ თემაზე არაფერი უთქვამს, თუმცა, ფაქტია, ჩამონათვალს რაღაც მაინც აკლია.

"ვსწავლობდი ფიოდორ ლაპუხოვთან, მეოცე საუკუნის ბალეტის ისტორიაში ყველაზე გამოჩენილ ფიგურასთან. მან პირველად გააკეთა ანალიზი და მოიგონა, თეორიულად დაადასტურა ახალი მიმდინარეობის დაბადება. ეს იყო მისი დადგმა - ბეთჰოვენის IV სიმფონია. სხვათა შორის, ამ ბალეტში ბალანჩინი მონაწილეობდა. ლაპუხოვმა პირველად ჩამოაყალიბა სიმფონიური ცეკვის დრამატურგიის პრინციპები. ამ ბალეტებს არ ახასიათებთ სიუჟეტური ხაზი. ისინი ეყრდნობიან უფრო ფილოსოფიურ, ესთეტიკურ სიმაღლეებს... ეს უაღრესად საინტერესოა. მთელი XX საუკუნე დაიპყრო და ჩვენს საუკუნეშიც გადმოვიდა ბალეტის, როგორც აზროვნების ხელოვნების პირველადი ფორმა. რასაკვირველია, საუჟეტური ბალეტებიც იდგმება, მაგრამ ამით ბალეტის სამყარო განვითარდა, არაჩვეულებრივად გამდიდრდა. ახლა მას შეუძლია ნებისმიერ ჟანრში განხორციელდეს. იგი ნებისმიერ მუსიკალურ თხზულებას ერგება და თხზავს მის ადეკვატურ საბალეტო სიმფონიებს. ქორეო-სიმფონიებს, ქორეოდრამებს. მე სადღაც მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი, როდესაც ვიტალი ბუინოვსკიმ, ლენინგრადის ფილარმონიის ორკესტრის პირველმა ვალტორნამ, თანამშრომლობა შემომთავაზა. ბუინოვსკის ჰქონდა ასეთი იდეა: შეექმნა სრულიად ახალი ტიპის, ახალი ესთეტიკის ნაწარმოები. მას უნდოდა, მუსიკოსს დაეკრა ესტრადაზე, ბალერინას იქვე შეესრულებინა შესატყვისი მოძრაობები. ერთი სიტყვით, უნდა შექმნილიყო მუსიკისა და ცეკვის დიალოგი. ამან ძალიან გამიტაცა. სამი პროგრამა დავდგი, შევარჩიეთ ბალეტის ვირტუოზები. მარინის თეატრის წამყვანი სოლისტები: ირინა კოლპაკოვა, ანა ასიმენკო, ნატაშა მაკაროვა, ნიკიტა დოლგუშინი, იური სოლოვიოვი. პირველი კონცერტი შედგა ფილარმონიის მცირე დარბაზში, მერე - დიდ დარბაზში. პროგრამა უაღრესად საინტერესო გამოვიდა. მე დავდგი ჟან ფილიპ რაბოს "გალანტური ინდია" - ორიენტალური ხასიათის მუსიკალური ჩანახატები. პრემიერების შემდეგ ბალეტის წამყვანი მსახიობები ახალგაზრდა ბალეტმაისტერთან შემოქმედებით ურთიერთობაზე სულ უფრო და უფრო ოცნებობდნენ. თავიდანვე ნათელი ყოფილა მისი გამორჩეული ხელწერა, მუშაობის ძალიან საინტერესო სტილი და აქამდე სხვებისთვის არადამახასიათებელი ესთეტიკა და პლასტიკური ფორმა.

გოგი ალექსიძის ხელოვნება ისეთი მრავალმხრივია, მაყურებელი ყოველთვის ორჭოფობს, თუ რა არის მისთვის ამოსავალი: იდეა, მუსიკა, სიუჟეტური ხაზი, პლასტიკური, ფორმალური მხარე თუ... რა შეიძლება დავარქვათ მის შემოქმედებას, ინტელექტუალური ბალეტი თუ მუსიკის დიდება, მისი ზეიმი. ვფიქრობ, ერთიც და მეორეც. ცხადია, ყოველთვის საინტერესო საბალეტო დადგმების მიღმა აზროვნება და მუსიკაში ღრმა წვდომა იმალება. ეს კი ყველაზე დიდი მიღწევა და სიმდიდრეა, რაც შეიძლება თანამედროვე ქორეოგრაფიას ახლდეს. "მუსიკა გადამწყვეტია ჩემთვის, თუმცა, იდეას და ფორმასაც უდიდესი ადგილი უჭირავს. ზოგჯერ პლასტიკური ფორმა იქმნება იდეიდან, ხან სიუჟეტია წამყვანი. ამის გარდა არის სახვითი მასალა, ბარელიეფები, ჩანახატები, ფრესკები, ქანდაკებები. პეტერბურგში გავატარე ცხოვრების დიდი ნაწილი და ერმიტაჟში ვიყავი ხოლმე ოცდაოთხი საათი. ფორმა ხშირად ამილია სახვითი ხელოვნებიდან. თუმცა, გააჩნია, რა ფორმაში მოღვაწეობ, რა ამოცანა გაქვს. როცა შედევრებს ეჭიდები, იქ, რასაკვირველია, მუსიკაა პირველი. საერთოდ, ჩვენი მოვალეობაა, ჩავწვდეთ მუსიკას და შეძლებისდაგვარად გავხსნათ ჩვენი დამოკიდებულება მუსიკაში ჩადებული იდეების, ემოციებისა და შინაარსის მიმართ. ეს ყველაფერი გადახლართულია ერთმანეთში. ეს ყველაფერი წარმოადგენს იმ აზრს, შინაარსს, რომელსაც ადამიანი ვერ წვდება. თითქოს სიბნელეში ცდილობ, მიუხლოვდე რაღაცას. თუ ამ უდიდესი "კოსმოსიდან" პატარა აღმოჩენას შეწვდები და რაღაცას თავისებურად გაანათებ, ესეც უკვე დიდი საქმეა. სულ პატარა წვრილმანიდან იწყება უდიდესი აღმოჩენები. მქონია ისეთი მომენტები, როდესაც არ ვიცი, მე ვდგამ თუ ვინმე სხვა."



ალექსიძე რეპეტიციის შემდეგ.

ჩვენს საუბარში ქრონოლოგიური ან ეტაპობრივი მსვლელობა დაცული ნამდვილად ვერ იყო. შესაძლოა, ამიტომაც დიალოგი უფრო საინტერესო გამოვიდა, ვიდრე ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. ბატონმა გოგიმ ჯერ ის პერიოდები გაიხსენა, როცა ჰქონდა საშუალება, დღედაღამ ემუშავა, როცა ჩანაფიქრს განხორციელებული სპექტაკლი და წარმატება მოსდევდა. ამიტომაც ის დრო გაახსენდა, როცა პერმში მოღვაწეობდა, თეატრში, სადაც, მისი თქმით, განსაკუთრებული გარემოა ბალეტების შესაქმნელად. მერე გამოჩენილი ქორმაისტერის ვლადისლავ ჩერნუშენკოს მიწვევა და გოგი ალექსიძემაც პეტერბურგის კაპელაში კამერული, სიმფონიური ბალეტი დააარსა: "ამ დროს ვატყობდი, რომ კულტურას ჩვენთან სხვანაირად უყურებდა ხელმძღვანელობა. ეჭვქვეშ იდგა, გვჭირდებოდა თუ არა კლასიკური ბალეტი და ოპერა. იმხანად ოპერის თეატრში მოვიდა გურამ პეტრიაშვილი და გვითხრა, რომ ჩოხებით უნდა გვევლო. მაშინ ვიფიქრე, რომ, როგორც მოღვაწე, არ გამოვადგებოდი იმ პერიოდს. კაპელაში მუშაობის დრო ჩემთვის არაჩვეულებრივი იყო. ერთი წლის განმავლობაში სამი პროგრამა დავდგი. დასი სამ თვეში მოვამზადე. იქ ნამდვილად ვისიამოვნე, დავდგი ჩაიკოვსკის "როკოკო", სტრავინსკის "ოქტეტი", ბახის "ჰამოლმესიდან" ფრაგმენტები. სამი კონცერტი გავმართე კრემლის სასახლის სცენაზე, ხალხით გადატენილ დარბაზში... რუსეთში საოცარი გამოხმაურება გვქონდა. მანამდე ვმუშობდი მონტე-კარლოში, მურაზ მურვანიძესთან ერთად. პირველი სიმფონია როსტროპოვიჩთან ერთად დავდგი... ჯერ მარინის თეატრის დასი, მერე რომის ოპერა, რიგის კაპელა, სოფი გუბაიდულინას, თანამედროვე მოდერნისტი კომპოზიტორის მუსიკაზე გენუის თეატრში ვმუშაობდი... ეს იყო ჩემი ცხოვრების მაჟორული პერიოდი. პეტერბურგში კაპელასთან ერთად მუშაობის შემდეგ საბოლოოდ ჩამოვედი თბილისში. დაიწყო ყველაზე მძიმე პერიოდი თეატრის ცხოვრებაში, ეს იყო 1993-94 წლები. აქედან ფეხი არ გამიდგამს. სიცივე, სიბნელე... ფეხით დავდიოდით. როგორ დავტოვებდი მაშინ ჩვენს თეატრს... ამ მხრივ ჩემი ბიოგრაფია ძალიან საინტერესოა და ამავე დროს ძნელიც," - გოგი ალექსიძე აკადემიური თეატრის საბალეტო დასს ოცდახუთი წელი უძღვებოდა. მისი ბიოგრაფია მთლიანად არის დაკავშირებული ჩვენი თეატრის წარსულთან. იყო ლამაზი და იყო რთული წლებიც. განსაკუთრებით ბოლოს. ახლა უხარია, რომ ნინო ანანიაშვილს პრეზიდენტი და კულტურის სამინისტრო გვერდში ამოუდგა. **"სხვანაირად შეუძლებელია. მარტო ადამიანს ძალიან გაუჭირდება,"** - გოგი ალექსიძემ ძალიან კარგად იცის, რა არის მარტო დარჩენა და უყურადღებობა. თეატრზე საუბარს, ბუნებრივია, მოჰყვა უამრავი მოგონება ვახტანგ ჭაბუკიანზე. როცა პეტერბურგიდან ჩამოსული ახალგაზრდა ბალეტმაისტერი თეატრში პირველად მივიდა, მაშინ ჭაბუკიანი, უბრალოდ, შინ იჯდა. მაშინდელი ხელმძღვანელობის სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად და, ბუნებრივია, ალექსიძის მონდომებით, იგი სულ მალე სასწავლებელს დაუბრუნდა და ოპერის რეპერტუარშიც მისი სპექტაკლების აღდგენა დაიწყო.

ჭაბუკიანზე იმაზე მეტი და საინტერესო თქვა, ვიდრე ეს ვინმესგან მომისმენია. არც გამკვირვებია. გოგი ალექსიძე ვერ ივიწყებს იმ დროს, როცა მისი და ჭაბუკიანის დადგმები, ანუ კლასიკა და ნეო-კლასიკა, ერთიან კონცერტებად მიდიოდა, თუმცა ეს არ არის ის, რის გამოც გოგი ალექსიძის მოგონებები მასთან იქნება მუდამ კავშირში. "იცით, ყმაწვილო, თქვენგან მშვენიერი ბალეტმაისტერი დადგება," - ეს სიტყვები გენიოსმა მოცეკვავემ ჯერ კიდევ ექვსი წლის გიორგი ალექსიძეს უთხრა, როცა მის იმპროვიზირებულ ცეკვას უყურა.

მოსაგონარი მართლაც ბევრი აქვს. მისი ცხოვრება და შემოქმედება არა მხოლოდ თანამედროვე ბალეტის ისტორიას ასახავს, არამედ თავად არის მისი ნაწილი. ცალკე თემაა ბატონი გოგის ჯერ ანდრია ბალანჩივაძესთან, მერე კი ჯორჯ ბალანჩინთან გატარებული საღამოები. სულ სხვა ისტორიაა და დიდი სიყვარული ჩანს, როცა ის მეგობრებს: მიშა ბარიშნიკოვს, ნატაშა მაკაროვას, იური სოლოვიოვს ახსენებს, სწორედ მათ, ვისთან ახლობლობის გამოც ალექსიძის ბალეტი თავის დროზე ევროპამ ვერ იხილა. მათ შესახებ მაშინ ბარიშნიკოვი "ბიბისი"-ზე საუბრობდა და მორჩა. საზღვარგარეთ ალექსიძე პირველად რობერტ სტურუამ და გია ყანჩელმა წაიყვანეს. როგორც თავად ამბობს, იქ დარჩენის სურვილი არასდროს ჰქონია. ასე რომ ყოფილიყო, მოახერხებდა და გაიქცეოდა.

გოგი ალექსიძე მუშაობს. დაუბრუნდა პედაგოგიურ მოღვაწეობას როგორც ვაგანოვას სახელობის აკადემიაში, ისე მოსკოვის თეატრალურ აკადემიაში. რამდენიმე წელიწადია, რაც პროფესორად აირჩიეს. ამას გარდა, იგი ახალ სცენარებს წერს და დადგმებს ახორციელებს, ოღონდ არა საქართველოში. გეგმები ბევრი აქვს, თუმცა, ძალიან უნდა, თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლისთვის ერთი საბავშვო სპექტაკლი კიდევ დადგას, მაგრამ ეს ნინო ანანიაშვილისთვის ჯერ არ შეუთავაზებია. **"ჩემთვის ბალეტი სიცოცხლეა, აზროვნებაა, მთელი ცხოვრების შინაარსია. მე ვცხოვრობ პლასტიკაში. ეს რომ არა, ჩემს ცხოვრებას აზრი არ ექნებოდა. მის გარეშე ძალიან უინტერესო ვხდები. არ მინდა, მთელი ენერგია მოსკოვისა და პეტერბურგის სასწავლებლებს დავახარჯო და საქართველოში არ აღვზარდო ნამდვილი ბალეტმაისტერები... ცხოვრებაში მქონდა რამდენიმე რთული პერიოდი, ისეთი, რომ დღესაც მიკვირს, როგორ ვარ ცოცხალი. მაგრამ ჩემი ბედი ისე აეწყო, რომ გადავრჩი. პირველად საავადმყოფოში 1966-67 წლებში მოვხვდი. ოპერაციაც იყო, მკურნალობაც... მაშინ მეგონა, რომ ყველაფერი დამთავრდა და ვჩქარობდი, რამე მომესწრო. ახლა რომ დამემართა ეს უბედურება, ორი კვირის შემდეგ გადაწყვიტეს, რომ ვიცხოვრებდი."**

გადაწყდა, რომ უნდა გააგრძელოს სიცოცხლეც და შემოქმედებაც. დღეს ქართულ ხელოვნებას და მით უფრო ბალეტს გადმოღებულ პროექტებთან ერთად დიდად წაადგება ინდივიდუალური და, ამავდროულად, დახვეწილი, მაღალი კულტურისა და ესთეტიკის მქონე ბალეტი. გოგი ალექსიძის დადგმები ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენას ალბათ მალე დაუბრუნდება. ამას გარდა, მან თეატრალურ უნივერსიტეტში, საბალეტმაისტერო განყოფილებაზე უნდა განაგრძოს მუშაობა და ქართულ ბალეტს მომავალი შეუქმნას.

# აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო პიანისტი

ნათია ვადაჭკორია

სულ ცოტა ხნის წინათ იტალიის ქალაქ ბარლეტადან გამარჯვებული დაბრუნდა ქართველი პიანისტი ნუცა კასრაძე.

შარშან, ნოემბერში, ესპანეთში, მადრიდის პიანისტთა მე-12 საერთაშორისო კონკურსზე ნუცა კასრაძე დიპლომანტი გახდა. ამ კონკურსის ჟიურის წევრმა, არაჩვეულებრივმა პიანისტმა და იტალიის ფულიას რეგიონის კულტურული ცხოვრების ორგანიზატორმა ფრანჩესკო მონოპოლიმ ნუცა იტალიის ქალაქ ბარლეტაში პიანისტთა მე-15 საერთაშორისო კონკურსზე მონაწილეობის მისაღებად მიიწვია. კონკურსზე, რომელიც წლეულს, მაისში გაიმართა, ნუცასთან ერთად მონაწილეობდნენ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური გიმნაზიის მოსწავლეები: მარიამ დიხამინჯია (პედაგოგი: ნუცა კასრაძე) და ელენე ვახანია (პედაგოგი: მანანა ბარათაშვილი).

თექვსმეტ წლამდე ასაკის პიანისტთა კონკურსზე მარიამ დიხამინჯიამ მესამე პრემია დაიმსახურა, თორმეტ წლამდე ასაკში კი ელენე ვახანიამ გაიმარჯვა.

რაც შეეხება თავად ნუცა კასრაძეს, მან ოცდაათ წლამდე ასაკის პიანისტთა გრან-პრი, დიპლომი და ასოციაცია "გურჩის" მიერ გაცემული ოქროს მედალი მიიღო.

ამას გარდა, ნუცა აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო პიანისტის პრიზით დააჯილდოვეს. დასავლეთ ევროპის მასშტაბით მსგავსი პრიზი არავის ერგო, ხოლო აზიის საუკეთესო პიანისტად იაპონელი აღიარეს.

ზღვისპირა ქალაქ ბარლეტას საერთაშორისო კონკურსი ასოციაცია "გურჩის" ეგიდით გაიმართა ამავე სახელწოდების ცნობილ თეატრში.

ასოციაცია "გურჩის" თავმჯდომარის ფრანჩესკო მონოპოლის მიერ ჩატარებული საკმაოდ წარმომადგენლობითი კონკურსის თავმჯდომარე გახლდათ ცნობილი ტაივანელი პიანისტი სუ შენ გლი.

სუ შენ გლი ასევე გახლავთ ტაივანის კულტურის მინისტრიც, რომელმაც ამ წარმატების შემდეგ ნუცა კასრაძე 2006 წლის ტაივანის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსზე მიიწვია.



ფრანჩესკო მონოპოლი და ნუცა კასრაძე.

ბარლეტას კონკურსი ითვალისწინებდა დასავლეთ ევროპის, თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებების, ასევე კლასიკური სონატისა და ვირტუოზული ეტიუდის შესრულებას.

ერთსაათიან პროგრამაში ნუცა კასრაძემ შეასრულა მოცარტის, ბეთჰოვენის სონატები, შოპენის, დებიუსის ეტიუდები, ბახის პრელუდია და ფუგა სოლ-მინორი, ბარტოკის "სიუიტა", შოპენის სონატა სი-მინორი, შუმანის "იუმორესკა" და სკრიაბინის მე-5 სონატა. ნუცას თქმით, განსაკუთრებული მოწონება სკრიაბინის სონატამ დაიმსახურა.

წლის ბოლოს ნუცა კასრაძე რომშია მიწვეული და, როგორც აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო პიანისტი, იტალიის ახალგაზრდულ ორკესტრთან ერთად ბეთჰოვენის მესამე კონცერტს შეასრულებს.

# როგორ ჩაქრა „დილის ვარსკვლავი" თბილისის თავზე

ანდრე კარბელაშვილი

გაზეთმა "24 საათმა" 2004 წლის 23 აგვისტოს და 30 დეკემბერს, აგრეთვე 2005 წლის 9 მარტს გამოაქვეყნა წერილები: "კივილი ოსლოში", "აურზაური კივილის გარშემო", "კივილი მუნკის ენაზე გრძელდება". წერილები ეხება გამოჩენილი ნორვეგიელი მხატვრის, ედუარდ მუნკის ორი ცნობილი ტილოს - "კივილი" და" მადონა" მუზეუმიდან გატაცებას. ამ ნამუშევრებიდან მეორე ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მუნკის მადონა 1901 წელს თბილისში მოკლული ნორვეგიელი ქალბატონი დაგნი იუელი ფშიბიშევსკაია იყო.

■ ■ ■

ჟურნალ "ომეგას" 2001 წლის მე-7 ნომერში გამოქვეყნდა მაია გოშაძის საინტერესო წერილი "ჯოჯოხეთი სიცოცხლეშივე", რომელიც ედუარდ მუნკის შემოქმედებას ეძღვნებოდა. წერილში განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე სტრიქონებს: "ორ დიდ სკანდინაველ ხელოვანს (ედუარდ მუნკი და ავგუსტ სტრინდბერგი) ბევრი საერთო აღმოაჩნდა, მათ შორის გემოვნებაც. ორივე ერთდროულად იყო გატაცებული პოლონელი პოეტის ცოლით, რომლის სახლშიც ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. მაგრამ, საბოლოოდ, ქალი კიდევ ერთმა შეყვარებულმა მამაკაცმა, პოლონელმა თავადმა მოკლა. მუნკი იხსენებდა, რომ ამ ქალის პორტრეტის შექმნისას მისთვის დამახასიათებელი მტაცებლური მაგნეტიზმის გამოხატვა სცადა".

აღნიშნული პუბლიკაციის ავტორმა ედუარდ მუნკის მიერ შესრულებული პორტრეტი "მადონა" დაურთო. სწორედ, იმ მადონასი (იგივე ნორვეგიელი დაგნი ფშიბიშევსკაია), რომლის თბილისში ყოფნიდან და სასტუმრო "გრანდ ოტელში" მკვლელობიდან საუკუნეზე მეტი გავიდა. ამასთან დაკავშირებით, 2001 წლის 26-27 მაისს თბილისში ორდღიანი სამეცნიერო-პოპულარული კონფერენციაც კი ჩატარდა. პირველ დღეს ნორვეგიის და პოლონეთის საელჩოების და ამ ქვეყნების მოქალაქეებმა გვირგვინებით შეამკეს ფშიბიშევსკაიას კუკიის სასაფლაოზე არსებული საფლავი. შემდეგ დაესწრნენ კონფერენციას, რომლის დასრულებისთანავე ნაჩვენები იქნა ნორვეგიულ-პოლონური მხატვრული ფილმი "დაგნი", გაიმართა ამ ქალბატონის ცხოვრების ამსახველი ფოტოგამოფენა, რომლის ორგანიზატორი იყო ვარშავას ადამ მიცკევიჩის სახელობის ლიტერატურული მუზეუმი. მეორე დღეს ყოფილ სასტუმრო "გრანდ ოტელის" შენობის ფასადზე გაიხსნა ფშიბიშევსკაიას მემორიალური დაფა.

"დაგნი" ნორვეგიულად დილის ვარსკვლავს ნიშნავს.

დაგნი იუელი 1867 წელს ოსლოს მახლობლად მდებარე ქალაქ კონსვინგერში ექიმ ჰანს ლემი იუელის ოჯახში დაიბადა. სრულიად ახალგაზრდა მომხიბვლელი გოგონა სასწავლებლად ოსლოში ჩავიდა, ხოლო შემდეგ მუსიკალური განათლების მისაღებად ბერლინში გაემგზავრა. იქ სერიოზულად დაინტერესდა ხატვით. აქვე გაიცნო მომავალი ქმარი, პოლონელი მწერალი სტანისლავ ფშიბიშევსკიც. ისინი საცხოვრებლად კონსვინგერში დაგნის მშობლების სახლში გადავიდნენ. 1895 წელს შეეძინათ ვაჟი ზენონი, ხოლო 1897 წელს ქალიშვილი ივა. ამის შემდეგ ოჯახი პოლონეთში გადასახლდა და კრაკოვსა და ვარშავაში ცხოვრობდა. სტანისლავ ფშიბიშევსკი (1867-1927) ცნობილი პოლონელი მწერალი იყო. წერდა კრიტიკულ ესეებს, პროზაულ პოემებს და სიმბოლისტურ-ნატურალისტურ რომანებს.

1995 წლის 31 მაისს ქალაქ კონსვინგერში, იმ სახლში, სადაც დაგნი იუელი დაიბადა და ბავშვობა გაატარა, ნორვეგიაში პირველი "ქალთა მუზეუმი" გაიხსნა. მუზეუმის გახსნას დაესწრო ნორვეგიის დედოფალი სონია. მოიგონეს დაგნი იუელი და დაინტერესდნენ, შემორჩა თუ არა დღემდე თბილისში მისი საფლავი. დაინტერესებას მოსკოვში ნორვეგიის საელჩო გამოეხმაურა. ამის შემდეგ დამიკავშირდა ნორვეგიის სამეფოს საელჩოს პირველი მდივანი ოლე ბერნ რეგგენი (იგი თბილისში 1995 წელს გავიცანი). მან ამიხსნა, რომ თბილისში 1901 წლის 23 მაისს გარდაცვლილი ნორვეგიელი ქალის შესახებ მის სამშობლოში სერიოზულად დაინტერესდნენ და მთხოვა, გამერკვია, არსებობდა თუ არა საფლავი.

ვინაიდან თბილისში ბევრი სასაფლაოა, მას ვუთხარი, რომ უფრო კონკრეტული დეტალები, შესაძლოა, ნორვეგიის "ქალთა მუზეუმში" სცოდნოდათ.


მუნკის ეს ნახატი მოიპარეს.


ნორვეგიელები ნახატის პროტოტიპის საფლავზე

## "ტბილისკი ლისტოკი" წერდა

მალე "ქალთა მუზეუმიდან" წერილი მივიღე, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ დაგნი იუელ-ფშიბიშევსკაია 1901 წელს დაასაფლავეს თბილისი რომაულ-კათოლიკურ სასფლაოზე. საფლავის ქვაზე ნორვეგიული და პოლონური წარწერები ყოფილა ამოკვეთილი. წერილში ამ წარწერების შინაარსიც იყო მითითებული, რაც საფლავის მიკვლევის საიმედო ინფორმაციას წარმოადგენდა. მანამდე გადავწყვიტე, იმ პერიოდის თბილისში გამომავალ გაზეთ "ტბილისკი ლისტოკი" გადამეთვალიერებინა. "გრანდ ოტელში" მომხდარი შემთხვევის შესახებ ინფორმაცია მართლაც აღმოვაჩინე. დაგნი იუელი თბილში ჩამოსულა 6 წლის ვაჟიშვილ ზენონთან და ვლადისლავ ემერიკთან ერთად. ემერიკი მათ ოჯახთან მეგობრობდა და თბილისში პოლონელი მეგობრები ჰყავდა.

"ტიფლისკი ლისტოკის" 25 მაისის ნომერში იუწყებოდნენ: "მიხეილის საავადმყოფოს ექიმმა ზელცმანმა გაკვეთა მემამულე ვლადისლავ გუსტავის ძე ემერიკისა და დაგნი ფშიბიშევსკაიას გვამები, რომლებიც გარდაიცვალნენ სასტუმრო "გრანდ ოტელში" 23 მაისს. მათი სიკვდილი გამოიწვია ტყვიისგან მიყენებულმა ჭრილობებმა. დაგნი ფშიბიშევსკაია მოკლულ იქნა ემერიკის მიერ".

26 მაისი: "მცირეწლოვანი ვაჟიშვილი გიწვევთ უდროოდ გარდაცვლილი დედის, დაგნი ფშიბიშევსკაიას გამოსვენებაზე, რომელიც შესდგება დღეს, 26 მაისს, 4 საათზე მიხეილის საავადმყოფოდან. დაკრძალვა მოხდება რომაულ-კათოლიკურ სასაფლაოზე".

გაზეთში ასეთი ინფორმაციაც დაიბეჭდა: "ქალბატონი დაგნი ფშიბიშევსკაია წარმოშობით ნორვეგიიდან არის, ცნობილი პოლონელი მწერლის სტანისლავ ფშიბიშევსკის ცოლია. ქალბატონი 34 წლისაა. ქმარი მუშაობს ჟურნალ "ქიმერაში", რომლის რედაქტორია ფრინიცკი".

30 მაისი: "მცირეწლოვანი შვილი ზენონ ფშიბიშევსკი გულწრფელ მადლობას უხდის ყველა პიროვნებას, ვინც მონაწილეობა მიიღო 26 მაისს მისი დედის, დაგნი ფშიბიშევსკაიას დაკრძალვაში".

გაზეთის ამავე ნომერშია ვარშავადან მიღებული დეპეშა: "გუსტავ გუსტავის ძე და მარია ჰენრიხის ასული ემერიკი ვარშავადან გულწრფელ მადლობას უცხადებენ ყველას, ვინც დაესწრო მათი შვილის ვლადისლავ გუსტავის ძე ემერიკის დაკრძალვას". ვლადისლავ ემერიკიც 26 მაისს დაკრძალეს კუკიის სასაფლაოზე.

## დაგნის საფლავთან

1996 წლის 19 აპრილს კუკიის სასაფლაოზე "ქალთა გაზეთის" რედაქტორ, ცირა კუპატაძესთან და ფოტოგრაფ ალექსანდრე კოტორაშვილთან ერთად ავედი. წინასწარ შევიტყვეთ, რომ ყოფილ რომაულ-კათოლიკურ სასაფლაოზე 15-18 წლის წინათ პოლონელები ყოფილან მისულები, მაშინვე ვიფიქრე, რომ მათ, სწორედ, დაგნის საფლავი მოინახულეს. სასაფლაოს მომვლელებს ვთხოვეთ, მივეყვანეთ იმ საფლავთან.

ფშიბიშევსკაიას საფლავს მარმარილოს ლამაზი ქვა ედო. რაღაც ასოები მოჩანდა, მაგრამ წლების განმავლობაში მტვრის სქელი ფენით დაფარულიყო და ვერაფერი გავარკვიეთ. ქვას დიდხანს რეცხავდნენ წყლით, თანდათან გამოიკვეთა წარწერაც - ეს ნამდვილად დაგნი იუელი-ფშიბიშევსკაიას საფლავი იყო.

ჩვენ დიდხანს ვიდექით დაგნის საფლავთან და ვფიქრობდით, რატომ დაკრძალეს 34 წლის ნორვეგიელი ქალბატონი, ორი შვილის დედა, თბილისში?

რატომ დატოვა ემერიკმა პატარები უდედოდ?

რა გრძნობები და განცდები იყო გაცხადებული მის წერილებში, რომლებიც "გრანდ ოტელში" დაუტოვა დაგნის ქმარს, პატარა ზენონს და თავის პოლონელ მეგობრებს თბილისში?

რატომ დააწერა ერთ დალუქულ წერილს, რომ იგი ზენონისთვის მაშინ გადაეცათ, როდესაც 24 წლის გახდებოდა?

რასაკვირველია, საინტერესო იყო ისიც, თუ ვინ გაუწია ამ საფლავს პატრონობა და ვინ დაადო ძვირფასი მარმარილოს ქვა. რამდენიმე დღის შემდეგ ნორვეგიაში საფლავის ფოტოები გავგზავნეთ. მაშინ მეგონა, რონ ამ ტრაგიკული ამბის გარკვევაში ჩემი მისია ამოვწურე.

1998 წელს კუკიის სასაფლაოზე მომიხდა ასვლა და დაგნი იუელის საფლავთან მივედი - ქვას ბზარები გასჩენოდა, ერთი კუთხე მოტეხილი ჰქონდა, აღარ იკითხებოდა წარწერა. როდესაც ამ საკითხზე სასაფლაოს დირექტორ არკადი ჭოველიძეს დაველაპარაკე, დამეთანხმა, რომ ეს საფლავი არ უნდა დაკარგულიყო. მითხრა, რომ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში საკუთარი ხარჯებით გადმოასვენებდა და ქვის წარწერასაც აღადგენდა, მაგრამ ამისთვის ნორვეგიიდან თანხმობა იყო საჭირო.

რამდენიმე დღეში მოსკოვში ნორვეგიის სამეფოს საელჩოში დედოფალ სონიას სახელზე წერილი გავაგზავნე. წერილში ვწერდი, რომ საჭირო იყო დაგნის საფლავის გადატანა კუკიის სასაფლაოს ცენტრალურ ადგილას, რისთვისაც ნორვეგიის მხარის ოფიციალური თანხმობა იყო საჭირო.

10 დღის შემდეგ პასუხი მივიღე, რომელშიც მატყობინებდნენ, რომ ჩემი წერილი გასაცნობად გადააგზავნეს ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროში (დედოფლის სახელზე) და ქალაქ კონსვიგერში დაგნი იუელის შთამომავლებთანაც.

მალე ნორვეგიის "ქალთა მუზეუმის" დირექტორმა მომწერა: "ჩვენ მივიღეთ თქვენი წერილი მისი უდიდებულესობის, დედოფალ სონიას სახელზე. წერილი გადავეცით დაგნი იუელის ქალიშვილის ივას ვაჟს რუტერ ბენეტის. მადლიერებით ვიღებთ თავაზიან წინადადებას და თანახმა ვართ, რომ აღდგენილი საფლავი უფრო თვალსაჩინო ადგილას იყოს. ჩვენ დიდ მადლიერებას განვიცდით თბილისელების ყურადღების გამო დაგნი იუელის ხსოვნისადმი".

## "დილის ვარსკვლავს" სიცოცხლე გაუგრძელდა

1999 წლის 20 მაისს დაგნი იუელის ცხედრი კუკიის სასაფლაოს ცენტრალურ შესასვლელთან, წმინდა ნინოს ეკლესიის ეზოში მდებარე საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადმოასვენეს. ცერემონიალს დაესწრნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები, ტელეჟურნალისტები და "ქალთა გაზეთის" თანამშრომლები. ეკლესიის მოძღვარმა არქიმანდრიტმა მამა გაბრიელმა პარაკლისი გადაიხადა. იუელის ნეშტი დაიკრძალა შიო ჩიტაძის, კოტე მესხის, ნატო გაბუნიას, თამარ თეთრაძის, ლადო აღნიაშვილის, აქვსენტი ცაგარელის, ელიკო ჩოხელის და სხვა ცნობილი ქართველი მოღვაწეების გვერდით (თვით პანთეონი არკადი ჭოველიძემ დააარსა 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თავისი ქალიშვილის თამრიკო ჭოველიძის ხსოვნის უკვდავსაყოფად).

ეს იყო არა მარტო ნორვეგიელი მხატვრისადმი პატივისცემა, არამედ მისი შორეული სამშობლოს, ნორვეგიელი ხალხის მიმართ მადლიერების გამოხატვა, ისინი ხომ 1994 წლიდან საქართველოში მცხოვრებ ქართველ ლტოლვილებს ფულად დახმარებასა და თანადგომას უწევენ.

დაგნის გადასვენების შემდეგ, მისი ახალი საფლავი პოლონეთის რესპუბლიკის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა პიოტრ ბორავსკიმ მოინახულა, საფლავი ყვავილებით შეამკო და იტირა.

## ნორვეგიელები დაგნის საფლავზე

1999 წლის ივნისში დაგნის საფლავი ნორვეგიელმა ცოლ-ქმარმა თურიდ და რუსელ ქრისტიანსებმა მოინახულეს, ისინი საქართველოში ტურისტულ ჯგუფთან ერთად მოგზაურობდნენ. სამშობლოში გამგზავრებამდე კი დაგნის საფლავის მონახულება გადაწყვიტეს.

იმავე წლის სექტემბერში ოსლოდან ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს კონსულტანტმა ლიზე ნილსენმა დამირეკა და მაუწყა, რომ მინისტრთან ერთად თბილისში მოემგზავრებოდა და დაგნის საფლავის მონახულება სურდა. დელეგაცია თბილისში 16-17 სექტემბერს სტუმრობდა. მათ ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე კნუტ ვოლებეკი ახლდა.

17 სექტემბერს საფლავი ყვავილებით შეამკო თბილისში არსებული ნორვეგიის ლტოლვილთა ოფისის ხელმძღვანელმა ჰანს დიესტიმ. მათ მადლობა გადაუხადეს კუკიის სასაფლაოს დირექტორს.

## ნორვეგიაშიც გაიხსენეს...

2002 წლის 8-10 ივნისს ნორვეგიაში დაგნი იუელის გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით დიდი ღონისძიებები ჩატარდა. ქალაქ კონსვინგერში გაიმართა სემინარი დაგნის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. შვედმა მწერალმა ევა კოსაკმა გაიხსენა დაგნის ბიოგრაფიის უმთავრესი ეპიზოდები (მან 1978 წელს სტოკჰოლმში დაგნის ბიოგრაფია გამოსცა).

კონსვინგერში ჩავიდნენ მომხსენებლები ოსლოს ედუარდ მუნკის და სტოკჰოლმის სტრინდერბერგის მუზეუმებიდან. შვედეთიდან ჩავიდნენ დაგნის შვილიშვილი მხატვარი ანნ პოლსტეინ ლედრობორგი, რომელმაც "ქალთა მუზეუმს" ბებიის ნამუშევარი აჩუქა.

## მკვლელის და თვითმკვლელის სამი წერილი

**წერილი პირველი:** დაგნი იუელის მკვლელობის წინ ვლადისლავ ემერიკმა თავის თბილისელ მეგობარს მელჩავსკის წერილი დაუტოვა. სთხოვდა, მიეხედა დაგნის 6 წლის ვაჟიშვილისთვის და დაკავშირებოდა მამამისს პოლონეთში.

**მეორე წერილი,** დალუქული კონვერტი ზენონისთვის იყო განკუთვნილი, რომელიც 24 წლის ასაკში უნდა გაეხსნა.

აი, ამ წერილის შინაარსი:

"ძვირფასო ზენონ! მე შენ დედას გართმევ და არ ვიცი, რას გიმზადებს ცხოვრება. როგორი იქნები, როგორი წარმოდგენა გექნება მასზე. უცნაურ აზრებს, რომლებსაც დედაზე გაიგებ, უკვე არსებული ლიტერატურული წყაროებიდან, ალბათ, ნაკლებად უნდა ერწმუნო. დადაშენი ძალზე არამიწიერი იყო. ის იყო წმინდანი, თან დედოფლური სიკეთით სავსე, მისთვის ყველაფერი იყავი. პირველი დედოფალი და განუმეორებელი არსება მხოლოდ შენ გემორჩილებოდა და მიაჩნდა, რომ მისი ცხოვრების გამართლება მხოლოდ შენ იყავი. მაგრამ მას გართმევ. გაყენებ საშინელ, განუზომელ ბოროტებას. იქნებ ამან ცხოვრება დაგინგრიოს, მაგრამ... სხვანაირად არ შემეძლო...

## უსასრულობაში როცა შევხვდებით..."

**მესამე წერილი** დაგნის მეუღლისთვის იყო განკუთვნილი:

"პატივცემულო ბატონო სტანისლავ ფშიბიშევსკი

ძვირფასო სტას! რა უნდა გითხრა!!! ძალზე ცოტა. მე გავაკეთე ის, რაც შენ უნდა გაგეკეთებინა, მან ყველაფერი იცოდა... მერე დედობამ სძლია... ძალზე უყვარს ზენონი. ამგვარად, უნდა გადამედო ყველაფერი და ვკლავ იმ მომენტში, როცა ყველაზე ნაკლებად მოელის, როცა შენ უყვარდი და უყვარხარ. იცოდე, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში მხოლოდ შენ უყვარდი. მე შენ პატივს გცემ, გაღმერთებ და მიყვარხარ, მაგრამ ვიცი, რომ დამწყევლი და ეს იქნება ჩემი უბედურება. სტას, მე მას ვკლავ და ასე უმჯობესია მისთვის.

ოო, ნეტა შეგეძლოს, არ დამწყევლო!

შენი ვლადისლავი, ტფილისი, 21 მაისი (3 ივნისი) 1901 წელი".

სტანისლავ ფშიბიშევსკიმ თავის მეუღლეს მიუძღვნა წერილი "როცა მზე ჩადის".

"მისი ტრაგედია სილამაზე, სიამაყე და გულწრფელობა აღმოჩნდა. ის იყო ულამაზესი ყვავილი, რომელიც იშვიათად იფურჩქნება, მაგრამ განწირულია გასათელად", - წერდა ცნობილი პოლონელი მწერალი.




# პროტესტი - პლაკატი

### ერთი წიგნის გამო

ნიუ იორკის ვიზუალური ხელოვნების სკოლა - ეს ის საგანმანათლებლო დაწესებულებაა, სადაც სწავლა-განათლების მიღებაზე ბევრი ოცნებობს. და არა მარტო სწავლაზე. სკოლის საგამოფენო დარბაზში გახსნილი გამოფენები ხშირად თავისი მნიშვნელობით მეტროპოლიტანის გამოფენებსაც არ ჩამოუვარდება ხოლმე. ახლაც ვიზუალური ხელოვნების ინსტიტუში ისეთი ნოვატორული იდეებით დახუნძლული პლაკატებია გამოფენილი, რომ გრაფიკოსი მხატვრები უცხოეთიდანაც კი ჩადიან მის დასათვალიერებლად.

ექსპონატები ამერიკელი გრაფიკოსების ერთ-ერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა მილტონ გლეიზერმა შეკრიბა ასევე ცნობილ ილუსტრატორთან მირკო ილიჩთან ერთად. გამოფენასთან ერთად მათ გამოსცეს წიგნიც, რომელშიც 400-ზე მეტ პროვოკაციულ და ემოციურად დამუხტულ გრაფიკულ ნახატებს მოუყარეს თავი. წიგნს მეტად საინტერესო სათაური აქვს: "დისპუტის დიზაინი: სოციო-პოლიტიკურად დამუხტული პლაკატები". ეს გამოცემა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მოძრავი სურათების ბატონობის ეპოქაში (როცა უკვე ინტერნეტშიც თითქმის ყველა პრესტიჟული საიტი flash-შია დამზადებული), პლაკატები კვლავაც ინარჩუნებენ თავიანთ ძალას, თუნდაც პოლიტიკურს და საპროტესტოს.

მაგალითად? მაგალითად კოპერ გრინის პაროდიული პლაკატი, რომელიც Apple Compiuter-ის iPod-ისთვის დამზადებული რეკლამითაა შთაგონებული. გრინის ვერსიაში iPod-ის ნაცვლად გვაქვს iRaq და Apple-ის ლოგოც ვაშლიდან ბომბად არის გადაკეთებული. ვარდისფერ ფონზე დასმული შავი სილუეტიც iTunes-ის ჰანგებზე კი არ ცეკვავს, არამედ აბი გრაიბის ციხის პატიმარია, რომელიც ელექტრო-შოკის მსხვერპლი უნდა გახდეს. წარწერაზე ვკითხულობთ: "ათი ათასი ვოლტი ჯიბეში - მიუხედავად იმისა, დამნაშავე ხარ თუ არა".

საინტერესოა, ცნობილი ფირმის Rifle-ის ჯინსის პლაკატი, რომელზეც შარვლის ერთი ტოტი გაკვანძულია ისე, თითქოს პატრონს ფეხი ამპუტირებული ჰქონდეს. წარწერაზე კი ვკითხულობთ: War Wear (ომის სამოსი).

მაგალითები კიდევ ბევრია. შემგროვებლებმა მოიძიეს პლაკატები საკმაოდ ჭრელი საპროტესტო თემატიკით - რასიზმი, პოლიტიკა, კორპორაციული ძალაუფლება, ჰაერის დაბინძურება, რელიგია, მედია, ცხოველების უფლებები, კონსუმერიზმი, კომუნიზმი. ცხადია, იქვეა ომი, რომელიც სამ გეოგრაფიულ რეგიონად იყოფა: იუგოსლავია, ერაყი და ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი.

ეს ნაიროფეროვნება გამოფენის გარდა, ასეთივე სიმძლავრით იგრძნობა წიგნშიც. 240 გვერდიდან ტექსტს მხოლოდ 12 გვერდი უჭირავს. დანარჩენი მთლიანად პლაკატებია.

ერთ-ერთი შემგროვებელი - წარმოშობით ბოსნიელი ნიუ იორკელი მირკო ილიჩი საკუთარ თავს "ინდივიდუალისტ ანარქისტს" უწოდებს და დასცინის "ყველანაირი ტიპის ძალაუფლებას, რადგან აბსოლუტურად ყველა ძალაუფლება კორუფციულია". ილიჩი წიგნში საკუთარ ნაწარმოებსაც წარმოგვიდგენს. მწევარ ძაღლს კომუფლიაჟი აცვია და, გამძვინვარებული, იქვე დაგდებული ძვლის გაღრღნას ლამობს; ძვალი - ერაყია.

ერაყის თემიდან გამომდინარე, წიგნში ბევრჯერ ახსენებენ პრეზიდენტ ბუშის სახელსაც. სლოვენიელმა გრაფიკოსებმა მუზა რძის ცნობილი ამერიკული რეკლამიდან (Got Milk?) აიღეს და პლაკატზე ბუში დახატეს, რომელსაც ტუჩს ზემოთ, საულვაშე რძის ნაცვლად ნავთობით აქვს მოთხვრილი, წარწერაზე კი ვკითხულობთ: Got Oil? (გაქვს ნავთობი?).

ეს ახალი წიგნი და ნიუ იორკში მიმდინარე გამოფენა ერთ ტენდენციაზეც მეტყველებს. გრაფიკოსი მხატვრებისთვის იდეების მთავარ წყაროს რეკლამა წარმოადგენს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თანდათან რეკლამა სასწაულებრივად გლობალური და გავლენიანი ფენომენი ხდება.

კიდევ ერთი ტენდენცია: ზოგი პლაკატისტისთვის რეალობა არ იცვლება. მათთვის საპროტესტო თემები ძველია. მაგალითად, ასეა დენ რაიზინგერისთვის. 1969 წელს მან დახატა პლაკატი საბჭოთა კავშირიდან ებრაელთა იმიგრაციის შესახებ, რომელზეც ასო G ნამგალითა და უროთი გამოსახა და ასე დაწერა ფრაზა: Let My People Go! (გაათავისუფლე ჩემი ხალხი). ოცი წლის შემდეგ კი რაიზინგერი იძულებული გახდა, საპროტესტო პლაკატი უკვე აღმოსავლეთ ევროპაში ფეხმოკიდებული ანტისემიტიზმის გამო დაეხატა.

და გაბედულების ბოლო პლაკატი-მაგალითი: სერბულმა პარფიუმერულმა კომპანია "თი ლაინ ქოსმეთიქსმა" გადაწყვიტა, საკუთარი სახელი და ლოგო ომის წინააღმდეგ მიმართული პლაკატისთვის გამოეყენებინა. ასე შეიქმნა მეტად საინტერესო გრაფიკული ნახატი. გოგონას ყელზე ჩამოკიდებული პომადები სინამდვილეში ტყვიებია, წარწერაზე კი ვკითხულობთ: Make Up, Not War - "დაიხატეთ, არ იომოთ".





დავით კოვზირიძის სვეტი

# უკან - პანტიანში

ეს რა გვიქნეს, ქართველებო! რა დღეში ჩაგვაგდო მუხანათმა ზედა მეზობელმა. არა, ვიცოდი, რომ ბაზების გაყვანას ასე ადვილად ვერ მოინელებდა, მაგრამ პირველივე საპასუხო დარტყმა თუ მსგავსი სისასტიკის იქნებოდა, ვერ წარმოვიდგენდი. ახლა რა ვიღონოთ? ქართულ არხებზე ვუყუროთ ფეხბურთს?

"ნტვ ფუტბოლის" სახით დიდი მეგობარი და თანამოაზრე დავკარგე. რუსული ტელევიზია ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში და არც ისაა სადავო, რომ ეს არხი იდეალურია ნაღდი სოკერ-გურმანის მეგზურის როლში. ის აშუქებს ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვან საფეხბურთო მოვლენას მთელი პლანეტის მასშტაბით, მომხდარს აანალიზებს, იხსენებს ისტორიას, მსჯელობს სხვადასხვა საინტერესო თემაზე და ამ ყოველივეს უმაღლეს დონეზე, დახვეწილი გემოვნებით და ინტელექტით აკეთებს. მაყურებელი იღებს ამომწურავ და, რაც მთავარია, სწორ ინფორმაციას, იღრმავებს საფეხბურთო განათლებას და ძალაუნებურად უყალიბდება გემოვნება.

ახლა კი დავრჩით ქართული ტელემაუწყებლობის ამარა. ყოველ შემთხვევაში, როგორც შესაბამისმა სტრუქტურებმა გვაუწყეს, სექტემბრამდე მაინც. თუ მართლა ასეა, ჯანდაბას, ზაფხულში ისეთი არაფერი ხდება ნახევარფაბრიკატი კონფედერაციათა თასის გათამაშების გარდა.

ეროვნული პროდუქციის წინააღმდეგი ნამდვილად არ ვარ, პირიქით, ჩემი ოცნებაა, რომ საქართველოში ყველაფერი ქართული იყოს, ოღონდ ხარისხიანი - კინო, კეტჩუპი, სათამაშო, ქარხანა, წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა, ტუალეტის ქაღალდი, სალექი რეზინი, მუსიკა, ტანსაცმელი, საფეხბურთო რეპორტაჟები. ეს უკანასკნელი კი გვაქვს ქართული, მაგრამ კარგი - ნურას უკაცრავად.

ამ მხრივ, წლებია უკვე, არაფერი იცვლება. ზოგიერთი არხიდან პერმანენტულად გვატყუებენ, უადგილო სტატისტიკით გვაბრუებენ, ამახინჯებენ ფაქტებს, უდარდელი სახით არასწორ სახელს არქმევენ მოვლენებს და ადამიანებს. შედეგად ბავშვს ან სპორტში ჩაუხედავ კაცს ჰგონია, რომ, ვთქვათ, ჯამიე კარაგჰერი (ჯეიმი კარაგერი) "ლივერპულის" ფორვარდია და ასე შემდეგ. აღარ დავწვრილმანდები. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ერთმანეთს შეხვდნენ ამ არხის მოყვარული ქართველი ბიჭი და მისი რუსი თანატოლი, რომელიც "ნტვ ფუტბოლიდან" იღებს ინფორმაციას - ხო გაასწორებს მიწასთან სოკერზე კამათისას?

სხვაგან გადართავ და გინდა ბრაზილია-არგენტინა მიდიოდეს, გინდა იგივე "ბარსელონა"-"რეალი", უეჭველად მოგერევა ძილი, რადგან არც სტადიონის ხმაური ისმის და არც კომენტატორის ხმა - სიჩუმეში გიწევს ყურება სანახაობისა, რომელსაც ყველაზე ნაკლებად უხდება მდუმარება. და თუ ხელი წაგცდა და ხმას ბოლომდე აუწიე კომენტარის მოსასმენად, აი, ამას გაიგებ: "ბურთითაა რონალდინიო. არა, ლარსონი. უი, რობერტო კარლოსი ყოფილა. მისი დარტყმა არაზუსტი გამოდგა. ანუ ბურთი კარს აცდა. ანუ გადაკვეთა პირითი ხაზი. რაც იმას ნიშნავს, რომ მას ვალდესი შეიყვანს თამაშში. ნეტა რითი შეიყვანს, ფეხით თუ ხელით? იქნებ მცველს მისცეს ამის საშუალება. ერთი სიტყვით, ვნახოთ, როგორ მოიქცევიან მადრიდელები. ამ დონის გუნდს ეს არ უნდა გაუჭირდეს." ანუ - რამდენიმეწუთიანი მონოლოგი და "ანალიზი" ეთმობა არაფერს. მიზეზი მარტივია - კომენტატორი ფეხბურთში ვერ ერკვევა და დროის გაყვანას არაფერზე ლაპარაკით ცდილობს.

ზოგან კომენტატორთა რაოდენობა იმდენად დიდია, რომ აშკარად იგრძნობა კონკურენცია და ამის გამო ზედმეტი პროფესორობა. ამ ხალხს ჰგონია, რომ ფეხბურთზე აბსოლუტურად ყველაფერი იცის და თავს გვახვევს საკუთარ ფილოსოფიას, ხშირ შემთხვევაში - მცდარს. თან არნახული მონოტონურობით. ამ საქმეს კი მონოტონურობა ისევე არ უხდება, როგორც ტყუილი და სიჩუმე.

ამ დღეებში ვინც კი შემხვდა, ერთსა და იმავეს იმეორებს - თუ "ფუტბოლს" არ აღადგენენ, საკაბელო ტელევიზიას საერთოდ მოვხსნი. ქართულ არხებზე ფეხბურთის ყურებას კი ისევ პანტიანში მირჩევნია სირბილიო. გამოსავალი ორია: ან რუსები უნდა დავკეროთ, ან ქართველებმა აიმაღლონ პროფესიონალიზმი. 21-ე საუკუნეა, სირცხვილია ფეხბურთის საყურებლად მთაში სიარული.

■ ■ ■

რასაც დიეგო არმანდო ფეხით აკეთებდა, ეს ბიჭი ხელით აკეთებს - მარცხენა ხელით. ისიც არგენტინელია. ისიც გმირია. როგორც სამშობლოში, ისე თავის სამუშაო ტერიტორიაზე, ტეხასში. სახელად ემანუელი ჰქვია, გვარად ჯინობილია, შემოკლებით მანუს ეძახიან. შარშანწინ ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი გახდა, შარშან - ოლიმპიური ჩემპიონი. პირველი იყო, თანამემამულეებთან ერთან "დრიმ თიმი" რომ დააჩოქა. 2000-ში ბრგე არიელს, დირკ ნოვიცკის რომ არ დაემტვრია, იუგებთან ფინალს სრულად ითამაშებდა და ჯერ კიდევ მაშინ დაიკიდებდა ოლიმპიურ ოქროს. რამდენიმე დღის წინ შვილი შეეძინა.

ასეთია ამ ჯიგარის მშრალი პორტრეტი და ეს ინფორმაცია კალათბურთზე შეყვარებულ ყოველ მეორე გულშემატკივარს აქვს. მე სხვა რამის თქმა მსურს. ბოლო წლებში არგერნტინა ეკონომიკურმა კრიზისმა წალეკა, რასაც უამრავი მსხვილი ჩინოვნიკი შეეწირა. მიუხედავად ამისა, იქ კვლავ იბადებიან ბიჭები და გოგოები, რომლებიც იზრდებიან და მთელ მსოფლიოს ალაპარაკებენ. და მე თუ მკითხავთ, ამ ქვეყანას სწორედ ეს ადამიანები მფარველობენ. ისინი სამშობლოს სიამაყის უფლებას აძლევენ და სანაცვლოდ არაფერს, საერთოდ არაფერს ითხოვენ. საქმე გვაქვს ურთიერთსიყვარულთან, რომელიც ვითომ საქართველოშიც არსებობს, მაგრამ სინამდვილეში ცალმხრივიც კი არაა.

ჯინობილი მხოლოდ იმიტომ არაა გადასარევი სპორტსმენი, რომ ნიჭიერია და ამ ნიჭის აყვავებას დიდი ფული დაახარჯეს. მისი და მისნაირების სიდიადე იმაშია, რომ იდეალად სამშობლო აქვთ არჩეული და ყოველ წამს მშობელი ერისთვის ვალის დაბრუნებაზე ფიქრობენ. სწორედ ესაა ადამიანისა და ქვეყნის სიყვარულის საიდუმლო - ჯერ ერი ზრდის მოქალაქეს და მერე მოქალაქე - ერს.

ჩვენ კი ვაგებთ და ვაგებთ. ვპატარავდებით და ვპატარავდებით. არც ქვეყანა გვივარგა და არც მბჟუტავი ვარსკვლავები. ასე იქნება მანამ, სანამ გაზულუქებული ქართველი სპორტსმენები იწუწუნებენ, აეროპორტიდან ბაზამდე მისასვლელი ტაქსის ფული არ გამოგვიყვესო და მიუხედავად ამისა, მათ ხელის გულზე ვატარებთ.

*მომავალ სამშაბათამდე*

ფეხბურთი

# მაიკლ ოუენი: „თუ გამიშვებენ, წასვლა მომიწევს"

მაიკლ ოუენზე ოცნებობენ "ნიუკასლი", არსენალი" და "მანჩესტერ იუნაიტედი", მაგრამ თავად თავდამსხმელს "სამეფო კლუბში" სურს დარჩენა. ამასთან, ოუენი აღიარებს, რომ თუ კლუბის ხელმძღვანელობა მას კარისკენ მიუთითებს, ველარაფერს გააწყობს და დამორჩილება მოუწევს. როგორც ყველა, ოუენიც მოვლენათა განვითარებას ელის და იმედოვნებს, რომ მომავალ სეზონს თავის ამჟამინდელ კლუბში დაიწყებს.

**- ინგლისის პრემიერლიგის კლუბები კვლავაც გითვალთვალებენ...**

- მე ინგლისში დიდხანს, თითქმის მთელი ჩემი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში ვთამაშობდი და ამას კარგად ვაკეთებდი. ამიტომ, გასაგებია, რომ იქ კვლავ ვახსოვარ. არ ვიცი, ჩემს გარშემო ამჟამად რა ვითარებაა, თუმცა, შემიძლია ვთქვა, რომ მადრიდში ბედნიერი ვარ. ერთადერთი ინფორმაცია, რამაც ჩემამდე მოაღწია, არის ის, რომ მადრიდის "რეალი" ჩემით კმაყოფილია. პირადად მე კმაყოფილი ვარ ჩატარებული სეზონით და ამიტომ არ ვფიქრობ, რომ "რეალის" დატოვება მომიწევს. მინდა, "სამეფო კლუბთან" ერთად რაიმე წარმატებას მივაღწიო. საწყენი იქნება, მაგრამ თუ მეტყვიან, რომ ჩემით რომელიმე კლუბი დაინტერესდა და მე უნდა წავიდე, იძულებული ვიქნები, ასე მოვიქცე. მაგრამ მე მომწონს ეს გუნდი და მისი გულშემატკივრები. რაც დრო გადის, მადრიდში ყოფნით სულ უფრო მეტ სიამოვნებას ვიღებ.

**- უკვე თუ გახდა შენთვის ნათელი, რომ მადრიდის "რეალში" ცუდად აღიქვამენ სეზონს, რომელშიც ტიტული არ არის მოპოვებული?**

- დიახ, ეს მე კარგად მესმის. უტიტულო ერთი სეზონი, შემდეგ მეორე... ეს "რეალისთვის" მიუღებელია. მესმის, რომ ეს ცუდი შედეგია და მომავალ სეზონში აუცილებლად უნდა მოვიგოთ ჩემპიონატი ან ჩემპიონთა ლიგა.

**- როგორ აფასებ დასრულებულ სეზონს?**

- სეზონის მსვლელობაში გვქონდა ჩავარდნები, მაგრამ გვქონდა გაბრწყინებებიც. ჩვენ არაერთი დასამახსოვრებელი მატჩი ჩავატარეთ, ბევრჯერ გავიმარჯვეთ და ჩემპიონატის ფინიში მაღალ დონეზე ჩავატარეთ, მაგრამ "ბარსელონამ" შეცდომა არ დაუშვა და გაიმარჯვა. ჩემპიონთა ლიგაში ყველაფერი სხვაგვარად განვითარდა. ვფიქრობ, "იუვენტუსთან" პირველ შეხვედრაში უფრო დიდი ანგარიშით გამარჯვებას ვიმსახურებდით, რადგან მაშინ ძალიან კარგად ვითამაშეთ. განმეორებით მატჩში 80 წუთის განმავლობაში თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით, მაგრამ გაშვებულმა გოლმა ყველაფერი თავდაყირია დააყენა. თან, ტრავმირებული ფეხბურთელები გვყავდა, რამდენიმეც უქეიფოდ იყო... განმეორებით შეხვედრაში არ გაგვიმართლა.

**- "ბარსას" ჩემპიონობაზე რას იტყვით?**

- ცუდს ვერაფერს. ჩვენ ფინიშზე თითქმის ყველა თამაში მოვიგეთ, მაგრამ ამის მიუხედავადაც, ჩამორჩენა ვეღარ შევამცირეთ. სეზონის დასკვნითი ნაწილი ბრწყინვალედ ჩავატარეთ, მაგრამ "ბარსელონას" ფეხი არ დასცდენია.

**- როგორ ფიქრობ, მომავალ სეზონში გამარჯვებების მოპოვების გარდა, "რეალმა" ლამაზი თამაშითაც უნდა დაგვამახსოვროს თავი?**

- თუ იგებ, ესე იგი, კარგადაც თამაშობ. სიმართლეა, რომ უკეთ უნდა ვითამაშოთ და ეს მთელი სეზონის განმავლობაში არ გამოგვივიდა, მაგრამ კონკრეტულად "ბარსას" წინააღმდეგ ბრწყინვალედ ვითამაშეთ. მინდა, რომ ასეთი თამაშები რეგულარულად ჩავატაროთ და ვფიქრობ, გულშემატკივრებსაც იგივე სურთ.

**- სეზონის ბოლოს გუნდი მხოლოდ კონტრშეტევებზე თამაშობდა. როგორ ფიქრობ, ისეთი გუნდისთვის, როგორიც "რეალია", გამართლებულია თუ არა ასეთი ტაქტიკა?**

- კარგია, როცა ბურთს "იჭერ" და სწორია, რომ მადრიდის "რეალი" მოედანზე მიჩვეულია დომინირებას. მაგრამ გუნდები, რომლებიც თამაშს აკონტროლებენ, ყოველთვის ვერ იმარჯვებენ. გაიხსენეთ გასული ევროპის ჩემპიონატის სიურპრიზი - საბერძნეთის ნაკრები ან ჩემპიონთა ლიგის ბოლო გამარჯვებული, "ლივერპული". ფეხბურთი მუდმივად გვთავაზობს სიურპრიზებს. როგორც ჩანს, სპორტის ეს სახეობა ევოლუციას განიცდის და აუცილებელიცაა, გარკვეული ტაქტიკა შესაბამის სიტუაციაში გამოიყენო. თუმცა, ისიც ცხადია, რომ ბურთს უნდა ფლობდე, რადგან თუ მეტოქე უბურთოდ დაგტოვებს, გოლს ვერ გაიტან.

**- დაიმსახურა თუ არა ლუშემბურგომ, რომ მომდევნო სეზონში უხელმძღვანელოს "რეალს"?**

- დიახ, მან კარგად იმუშავა. ამასთან, მწვრთნელის პოსტზე სტაბილურობა გუნდს მხოლოდ სარგებელს მოუტანს. ვფიქრობ, ლუშემბურგოს მომავალ სეზონშიც შეუძლია ამ პოსტზე წარმატებით მუშაობა.

**- დევიდ ბექჰემი მიიჩნევს, რომ გუნდს რეზერვი არ ეყო...**

- პრეზიდენტი და სპორტული დირექცია წყვეტენ, თუ რომელმა ფეხბურთელებმა უნდა დატოვონ გუნდი და რომლები უნდა მოვიდნენ. ასე ხდება ყველა კლუბში. კარგი მოთამაშეები ყოველთვის აძლიერებენ გუნდს.



ოუენი იმედოვნებს, რომ მომავალ სეზონშიც "რეალში" ითამაშებს.

კალათბურთი

# ისევ ჯინობილი

**სან-ანტონიო - დეტროიტი 97:76 (სერიის ანგარიში 2:0)**

NBA-ის ჩემპიონატის ფინალური სერიის მეორე მატჩში სან-ანტონიომ კვლავ გაანადგურა ასოციაციის შარშანდელი ჩემპიონი "დეტროიტ პისტონზი". ამჯერად - 97:76. მატჩის საუკეთესო კალათბურთელი კვლავ არგენტინელი მანუ ჯინობილი იყო, რომელმაც გუნდს 27 ქულა შესძინა.

ვისაც არ ახსოვს, შევახსენებთ, რომ "დეტროიტი" შარშანდელი ჩემპიონია და კლუბს არ დავიწყებია გამარჯვებების გემო. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ჩემპიონმა პლეი-ოფში რთული სერია გადალახა, სადაც ჩემპიონატის ყველაზე "მშიერი" გუნდები ასპარეზობდნენ. მაგრამ ღირდა კი ესოდენ დიდი ძალისხმევა იმისთვის, რომ ფინალურ სერიაში გუნდი ასე დამცირებულიყო? ალბათ, არა.

ჯერჯერობით მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობს - "სან-ანტონიო". ამ გუნდის შემადგენლობაში თავმოყრილი არიან უაღრესად მაღალი კლასის კალათბურთელები, რომლებიც მსოფლიოს ნებისმიერ გუნდს გააძლიერებდნენ. თუმცა, ამ დონის მოთამაშეთა შორისაც გამოირჩევა არგენტინელი მანუ ჯინობილი, რომელსაც შეუძლია ყველა მატჩში საკუთარი შოუ მოაწყოს. შეგახსენებთ, რომ პირველ შეხვედრაშიც სწორედ ჯინობილის მიუძღვის ლომის წილი იმაში, რომ "სან-ანტონიომ" მეტოქე დაამარცხა (მეოთხე მეოთხედში არგენტინელის მიერ მოგროვებულმა 15 ქულამ საბოლოოდ ნოკაუტში ჩააგდო შარშანდელი ჩემპიონი).

ამის მიუხედავად, მაშინ ჯინობილიმ მოიბოდიშა იმის გამო, რომ ნახევარი მატჩი ჩააგდო და ხეირიანი და საინტერესო არაფერი შეუქმნია. ამჯერად კი "სან-ანტონიოს" ლიდერმა მატჩის დებიუტშივე დაიწყო საქმე - სწრაფი და შედეგიანი თამაში. ეს ყველაფერი 27 ქულაში აისახა. ამასთან, 11 ქულა ჯინობილიმ საჯარიმო ტყორცნებიდან მიითვალა და შეუცდომლად სჯიდა მეტოქეს დაცვაში უხეირო თამაშისთვის.

"ანგარიშის მიუხედავად, მე არ ვიტყოდი, რომ გამარჯვება იოლად მოვიპოვეთ, - მატჩის შემდეგ განაცხადა არგენტინელმა, - უბრალოდ, "სან-ანტონიო" კვლავ ძლიერი აღმოჩნდა. შეიძლება ჩვენ უფრო პროფესიულად მივუდექით ფინალური სერიის მატჩებს. თუმცა, გარწმუნებთ, ფინალის ბედი ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა. დარწმუნებული ვარ, მესამე მატჩი ხისტი იქნება და ჩვენი მეტოქე არ დაგვნებდება".

შეხვედრის მეორე ვარსკლავი ტიმ დანკანი გახდა. საერთოდ, მიიჩნევდნენ, რომ სწორედ ტიმ დანკანი უნდა ყოფილიყო "სან-ანტონიოს" კოზირი, მაგრამ მან დიდსულოვნად დაუთმო ადგილი ჯინობილის. ამასთან, დანკანი იდეალურად ასრულებდა თავის სამუშაოს. ამჯერად მის აქტივში 18 ქულა და 11 მოხსნაა. საინტერესოა, რომ 8 მოხსნა დანკანმა მეტოქის ფარქვეშ განახორციელა.

რაც შეეხება თამაშის სცენარს, დიდი შესვენებისთვის ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი იყო, როცა "სან-ანტონიო" - 58:43 დაწინაურდა. საინტერესოა, რომ შეტევაში მასპინძლები პრაქტიკულად არ ცდებოდნენ, დაცვისთვის საზიანოდაც კი მოქმედებდნენ, მაგრამ გუნდი საკუთარ ძალებში ისე იყო დარწმუნებული, რომ დაცვას ჯეროვან ყურადღებას არც კი აქცევდა. კაცმა რომ თქვას, დაცვას რა აზრი აქვს, თუ შეტევისას ბურთი მუდმივად იმ მიმართულებით მიდის, სადაც საჭიროა. მაგალითად, მასპინძლებმა 24 მცდელობიდან 11 სამქულიანი ტყორცნა ჩააგდეს.

ამასთან, "დეტროიტმა" ვერც ერთი სამქულიანის ზუსტი ტყორცნა ვერ მოახერხა. ექვსი მცდელობა საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ სტუმრებს გარედან ტყორცნებზე ხელი აეღოთ. "ვფიქრობ, უმთავრესი, რაშიც მეტოქეს ვაჯობეთ, ეს ზუსტი ტყორცნების რაოდენობა იყო. სიზუსტის ასეთი მაჩვენებლით "დეტროიტს" სასიკეთო არაფერი მოელის. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მატჩის წინ მეტოქემ თავს გასეირნების უფლება მისცა," - მატჩის შემდეგ განაცხადა გამარჯვებულთა მწვრთნელმა გრეგ პოპოვიჩმა. მას ასეთი სარკაზმის უფლება ჰქონდა, რადგან მესამე მეოთხედის განმავლობაში მან მეტოქისგან არაერთი საქებარი სიტყვა მიიღო.

საქმე ის არის, რომ მატჩის ბოლოს "პისტონზის" კალათბურთელები გაღიზიანდნენ და ტექნიკური შენიშვნების მიღება დაიწყეს. მეოთხე მეოთხედში ნერვებმა უმტყუნა "დეტროიტის" მწვრთნელს ლარი ბრაუნს, რომელმაც კამათი დაიწყო არბიტრებთან და თავის კოლეგა პოპოვიჩთან.

მომდევნო მატჩი დეტროიტში გაიმართება. სწორედ იქ გახდება ცნობილი, თუ რამდენ ხანს გასტანს ფინალური სერია. თუ პირველი ორი შეხვედრით ვიმსჯელებთ, ნათელია, რომ "დეტროიტს" ძალიან გაუჭირდება სერიაში გარდატეხის შეტანა. თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს NBA-ა. მართალია, "სან-ანტონიომ" ორჯერ გაანადგურა მეტოქე, მაგრამ ორი მატჩის შემდეგ გამარჯვებულის წინასწარმეტყველება უაღრესად რთული საქმეა.



მანუ ჯინობილიმ "სან-ანტონიოს" მეორე გამარჯვება მოაპოვებინა.

## ინფოთეკა

### "ბარსას" "ჩელსის" ფეხბურთელის ცდუნება უნდა

"ბარსელონას" ნახევარმცველმა ხავიმ ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტის ვადა 2004 წლამდე გაზარდა. ადრე ზოგიერთი საინფორმაციო წყაროები იტყობინებოდნენ, რომ, შესაძლოა, ხავი ლონდონის "ჩელსიში" გადავიდეს.

სამაგიეროდ, კატალონიური კლუბი "არისტოკრატების" მცველის იულიამ გალასის შეძენის შესაძლებლობას განიხილავს. ბრიტანული პრესის ცნობით, "ბარსა" მზადაა, ფეხბურთელში 12,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს. ასევე იტყობინებიან, რომ ესპანელები ფრანგ ფეხბურთელს ძირითად შემადგენლობაში, თანაც, მის საყვარელ პოზიციაზე თამაშს ჰპირდებიან. გასულ სეზონზე ფეხბურთელი ყოველთვის უკმაყოფილო იყო იმით, რომ ლონდონელების მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო მას მარცხენა მცველის პოზიციაზე ათამაშებდა.

### ჰოვარდი კლუბის შენაძენმა გააღიზიანა

"მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე გააღიზიანა იმ ფაქტმა, რომ მისმა კლუბმა "ფულჰემის" მეკარე ედვინ ვან დერ სარი შეიძინა. Tribalfootball-ის ცნობით, ამერიკელმა ფეხბურთელმა განაცხადა, რომ გუნდში მეორე ნომრად თამაშს არ აპირებს.

"ამ კლუბთან კონტარქტი იმისთვის კი არ გავაფორმე, რომ მეორე ნომერი გავმხდარიყავი. მათ რომ ეთქვათ: "შენ ის ფეხბურთელი არ ხარ, რომლის იმედიც მომავალ სეზონზე გვექნება, შენ, უბრალოდ, კარგი სათადარიგო მეკარე ხარო", კონტრაქტს არ გავაფორმებდი. ვფიქრობ, დავიხვეწე და ნამდვილად ვიმსახურებ, რომ შანსი მომცენ", - განაცხადა განაწყენებულმა ფეხბურთელმა.

### "რეალი" ანრისთვის იბრძვის

მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობა ლონდონის "არსენალის" ფეხბურთელის შეძენისთვის იბრძვის. ამის შესახებ განაცხადა სხვა ესპანური კლუბის "ბარსელონას" ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა სანდრო როსელმა, რომელმაც პრეზიდენტ ხოან ლაპორტასთან უთანხმოების გამო ახლახან დატოვა თანამდებობა. როსელის თქმით, თუ ანრი ლონდონელთა გუნდს დატოვებს, ის აუცილებლად "სამეფო კლუბში" გადავა. სხვათა შორის, ადრე ფრანგი თავდამსხმელის შეძენა "ბარსელონასაც" უნდოდა.

"არსენალს" ძალიან გაუჭირდება ანრის შეძენა, თუმცა, თუ ეს ფეხბურთელი თავის ამჟამინდელ გუნდს დატოვებს, იგი "რეალში" გადავა", - განაცხადა როსელმა.

### შმიცერი "ბორდოში" გადავიდა

ლონდონის "ლივერპულის" ყოფილი ნახევარმცველი ვლადიმირ შმიცერი ფრანგულ კლუბ "ბორდოში" გადავიდა. ფეხბურთელის კონტრაქტი ორ წელს ითვალისწინებს. ჩეხი მცველი ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გუნდიდან თავისუფალი აგენტის სახით გადავიდა, რადგან ინგლისურ კლუბთან მის კონტრაქტს უკვე გაუვიდა ვადა.

სხვათა შორის, "ლივერპული", "ევერტონის" მსგავსად, მადრიდის "რეალის" ფეხბურთელის ივან ეგერას შეძენისთვის იბრძვის.

### ვანჩოპე ესპანეთიდან გარბის

ესპანური კლუბის "მალაგას" თავდამსხმელმა პაოლო ვანჩოპემ მისი შეძენის თხოვნით მიმართა ინგლისურ კლუბებს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ფეხბურთელს მისი მისამართით ხშირად ესმის რასისტული გამონათქვამები, რაც, ბუნებრივია, შეურაცხყოფას აყენებს მას. ამჟამინდელ კლუბთან დადებული მისი კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ მთავრდება, თუმცა, ფორვარდი უკვე მოელაპარაკა "მალაგას" ხელმძღვანელობას იმის თაობაზე, რომ ამ ზაფხულს იგი თავისუფალი აგენტის სახით დატოვებს გუნდს.

"შეურაცხყოფის მოსმენა პრაქტიკულად თითქმის ყველა ესპანურ სტადიონზე მიწევს. საწყენია, რომ მსაჯები ასეთ მატჩებს არ წყვეტენ. ყველაზე მეტად ის მტკენს გულს, რომ რასისტული გამონათქვამები ჩემს მიმართ, ძირითადად, "მალაგას" საშინაო სტადიონზე მესმის. ამის ატანა აღარ შემიძლია. ნებისმიერი ინგლისური კლუბის წინადადებაზე ვიფიქრებ, ოღონდ ეს ესპანური ჯოჯოხეთი დამთავრდეს", - განაცხადა ვანჩოლემ.

## რაგბი

# საქართველო პირველია

პაატა თოთაძე

პორტუგალიასთან წაგების მერე ალბათ არავის სჯეროდა, რომ სეზონს საქართველოს ნაკრები პირველ ადგილზე დაასრულებდა. ასე კი მოხდა. და ეს მას შემდეგ, რაც ქართველებმა ზუსტად შეასრულეს დავალება - ჩეხებს იმდენით მოუგეს, რამდენიც საჭირო იყო პირველი ადგილის დასაკავებლად.

გუშინ კი ვწერდით, ქართველებმა ერთა თასი აიღესო, მაგრამ ასე არაა. 2003 წლიდან წესები შეიცვალა. თუ ადრე ერთა თასი ყოველ წელიწადს თამაშდებოდა, ახლა ის ორ წელიწადში ერთხელ თამაშდება. სეზონის პირველი მატჩი ქართველებმა რუსეთში მოიგეს 27:15. რომ ვთქვათ, იმ მატჩში ქართველები დიდებულად გამოიყურებოდნენო, არ ვიქნებით მართალი, თუმცა, გუნდი არც მაინცდამაინც ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ასე თუ ისე, პორტუგალიაში ძნელ, მაგრამ მაინც მოგებას ველოდით. იმ მატჩმა გამოამჟღავნა ქართველთა არაერთი ხარვეზი. ეს უპირველესად დაცვის თამაშზე ითქმის. რამდენჯერაც წამოიღეს პორტუგალიელებმა ბურთი, ლამის იმდენჯერ უწიეს ჩვენს ჩათვლის მოედანს. ორ ეპიზოდში მეტოქის დოყლაპიობამ გადაგვარჩინა, თუმცა, საბოლოოდ მატჩი მაინც წავაგეთ. ალალად ვთქვათ: ის თამაში ჩვენი მოსაგები არ იყო და ბოლო წუთზე პორტუგალიელებს ლელო რომ არ გაეტანათ, ჩვენი გამარჯვება შემთხვევითობად უფრო ჩაითვლებოდა.

ამ მარცხმა მოიყვანა ნაკრებში პაატა ნარიმანაშვილი. აშკარა იყო, რომ გუნდს დაცვაში მრავალი პრობლემა ჰქონდა, რომლის მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ აღმოფხვრის გარეშე რუმინეთთან წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. არადა, პორტუგალიასთან მარცხის შემდეგ რუმინეთთან წაგება უკვე ძალიან გაგვიუარესებდა სატურნირო მდგომარეობას. ნარიმანაშვილს უკრაინასთან მატჩში უნდა ჩაებარებინა გამოცდა. ძნელია ამას გამოცდა უწოდო - ჯგუფის აშკარა



"ბორჯღალოსნებმა" ლიდერის პოზიცია დაიბრუნეს.

აუტსაიდერს ნებისმიერი ქართული კლუბი მოუგებდა. ამ მატჩამდე ითქვა, თუ ნარინამაშვილის მოღვაწეობა მოგვეწონა, გააგრძელებს ნაკრებში მუშაობასო. მოეწონათ (უკრაინას 65:0 მოვუგეთ), გააგრძელებინეს ნაკრების მწვრთნელობა და შედეგიც გამოჩნდა. რუმინეთთან მატჩში თვალშისაცემი იყო ჩვენი დაცვის კარგი თამაში. მართალია, შეტევაში უარესად გვქონდა საქმე, მაგრამ ისეთ გუნდთან ჭიდილში, როგორიც რუმინეთია, არც უნდა გვქონოდა იმის იმედი, რომ შეტევაში გავილაღებდით. სეზონის ბოლო მატჩი ჩეხებთან გვქონდა. რუმინეთის მიერ უკრაინის დიდი ანგარიშით დამარცხებამ გამოიწვია ის, რომ ქართველებს ჩეხები 61 ქულის სხვაობით უნდა დაემარცხებინათ. ამოცანა შესრულდა - ჩეხები 65 ქულის სხვაობით დავამარცხეთ და პირველი წრის შედეგებით პირველი ადგილი დავიკავეთ.

ეს ზოგადად შედეგები, რაც შეეხება თამაშის ხარისხს... შეტევაში ჩეხებთან გავილაღეთ, თორემ პორტუგალიელებთან და რუმინელებთან ამ საქმეში ბევრი არაფერი გამოგვივიდა. მიუხედავად ამისა, პროგრესი არის. ხელით უფრო კარგად ვბურთაობთ, ვცდილობთ, ხელდახელ თამაშით მივაღწიოთ მიზანს, რაც ნამდვილად მისასალმებელი და კარგია. შეტევაში კარგი თამაში ვახსენეთ და ამაზე უკეთ წლეულს არ გვითამაშია. ჩეხებიც გვაძლევდნენ საშუალებას, მაგრამ მაინც ჩანს ჩვენი წინსვლა. უკანა ხაზიც უკეთ გამოიყურებოდა. თვალშისაცემი პროგრესი შეინიშნება ირაკლი გიორგაძის თამაშში. ბუნებრივია, არის ხარვეზებიც, მაგრამ ეს ხარვეზები ადვილად

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 5 | 4 | 0 | 1 | 201-56 | (+145) | 13 |
| რუმინეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 195-54 | (+141) | 13 |
| პორტუგალია | 5 | 4 | 0 | 1 | 101-63 | (+38) | 13 |
| ჩეხეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 90-144 | (-54) | 9 |
| რუსეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 120-89 | (+31) | 7 |
| უკრაინა | 5 | 0 | 0 | 5 | 11-312 | (-301) | 5 |

არ აღმოიფხვრება. მიზეზი მრავალია. ჯერ ერთი, ჩვენი მწვრთნელების დონე არაა უმაღლესი. ამის გამოსწორებას რაგბის კავშირი ავსტრალიელი ან ზელანდიელი სპეციალისტის მოწვევით აპირებს, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ ნაკრები დიდ გუნდებთან თამაშს მხოლოდ ოთხ წელწადში ერთხელ, მსოფლიო თასზე თუ ახერხებს? თამაშებია საჭირო, თამაშები და, რაც მთავარია, დიდ გუნდებთან, თორემ რუმინეთთან და პორტუგალიასთან კლასს ვერ აიმაღლებ. ესეც დიდ პრობლემებთანაა დაკავშირებული, მეორე დონეზე ასვლაა საჭირო. თავის მხრივ, ესეც სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. დაწვრილებით ახლო მომავალში მოგახსენებთ, როცა ვრცელ პუბლიკაციას შემოგთავაზებთ რაგბის კავშირის საქმიანობასა და ქართული რაგბის მომავალზე. ახლა კი აქ შევჩერდეთ და ვთქვათ, რომ სეზონის დასაწყისიდან დღემდე ნაკრებმა სათამაშო ხარისხი გააუმჯობესა. ეს გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ მეორე წრეშიც წარმატებით ვიასპარეზებთ და მსოფლიო თასზეც გავალთ.

## ფორმულა 1

# სტატუს კვო

გიგა გურასაშვილი

*"კანადის დიდ პრიზზე" "რენოსა" და "მაკლარენ-მერსედესს" შორის წარუმატებლობის ერთგვარი სტატუს კვოს მოწმენი გავხდით. ფრანგულმა საჯინიბომ, რომელიც, ცხადია, გამარჯვებაზე ფიქრობდა, მონრეალი უქულოდ დატოვა. "მაკლარენ-მერსედესის" ფინელმა მრბოლმა კიმი რაიკონენმა კი პირველმა დაასრულა რბოლა და სეზონის მესამე გამარჯვება მოიპოვა. გამოფხიზლდნენ სკუდერიელებიც. როგორც იქნა, შუმახერმა და ბარიკელომ სამეულში შეაღწიეს - გერმანელმა მეორე, ხოლო ბრაზილიელმა მესამე ადგილით.*



"მაკლარენის" ბოსი რონ დენისი რაიკონენით აღტაცებას ვერ ფარავს.

კვირას ჟილ ვილნევის სახელობის ავტოდრომზე სამეფო რბოლების მერვე ეტაპი გაიმართა. სასტარტო ხაზზე თითქმის ლიდერის პოზიციაზე მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი იდგა, რაც გერმანელს ბრწყინვალე საშუალებას აძლევდა, "კანადის დიდი პრიზი" სეზონის პირველი გამარჯვებით დაესრულებინა. გერმანელზე რამდენიმე სანტიმეტრით წინ მხოლოდ ბრიტანელი ჯენსონ ბატონი იყო, რომელსაც ასევე დიდი საქმე ჰქონდა გასაკეთებელი - "BAR-ჰონდასთვის" მოეტანა პირველი ქულები. ქულები ბარელებს აქამდეც ჰქონდათ მოპოვებული, მაგრამ ერთ-ერთ ეტაპზე დასაშვებზე მძიმე ბოლიდის გამო სიმწრით დაგროვილი ქულები ჩამოაწერეს და ნულზე დატოვეს.

რბოლა საინტერესოდ წარიმართა. 30-გრადუსიანი სიცხე მრბოლთათვის და ბოლიდებისთვისაც სერიოზული გამოცდა გამოდგა. სტარტზე გასული 20 ბოლიდიდან ფინიშზე მხოლოდ თერთმეტი მივიდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, სასტარტო ნიშნულს ელვისებურად მოწყდნენ რენოელები. ლიდერობა ხელთ იგდო ჯანკარლო ფიზიკელამ. მიხაელ შუმახერი კი მეექვსე პოზიციაზე ჩამოქვეითდა. მართალია, რენოელები წინ მიიწევდნენ, მაგრამ გუნდში გარკვეული დაძაბულობა იგრძნობოდა. საქმე ისაა, რომ ჩემპიონატის ლიდერმა ფერნანდო ალონსომ, რომელიც პარტნიორზე სწრაფად მიქროდა, რადიოკავშირის მეშვეობით საჯინიბოს რამდენჯერმე სთხოვა, ფიზიკელას მისთვის ადგილი დაეთმო. ფრანგული საჯინიბო კატეგორიული აღმოჩნდა: "ფერნანდო, თავად უნდა გაასწრო! ჩვენ ვერ დაგეხმარებით".

მოგვიანებით ფიზიკელამ მართლაც გაატარა პირველობისთვის მებრძოლი ესპანელი, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ფიზიკელას ბოლიდს ჰიდრავლიკასთან დაკავშირებით პრიბლემები შეექმნა და იძულებული გახდა, რბოლა შეეწყვიტა. იტალიელი თანაგუნდელის გამო ესპანელი მართლაც დაწინაურდა, მაგრამ ლიდერობა დიდხანს არც მას ეწერა. მალე ალონსომ ტრაექტორია ვერ გათვალა და დამცავ ჯებირს შეეხო - მანქანა დაზიანდა. ჩემპიონატის ლიდერმაც ბოქსებისკენ გადაუხვია.

"ცუდი დღე მქონდა, - რბოლის შემდეგ აცხადებდა ალონსო, - კედელს შევეხე და მანქანა დავაზიანე. ჩემთვის ეს დიდი იმედგაცრუებაა".

საჯინიბოს ბოსმა ფლავიო ბრიატორემ თავში ხელი წაიშინა. ეს იმას ნიშნავდა, რომ "რენო" "კანადის დიდი პრიზს" უსახელოდ გამოეთხოვა.

"ასეთია ფორმულა 1, სადაც არსებობს წარუმატებელი დღეებიც. ცუდი რაღაც ყველას შეიძლება შეემთხვას. ეს ყველაფერი სპორტის ამ სახეობის განუყოფელი ნაწილია", - რბოლის შემდეგ აცხადებდა ბრიატორე.

ფრანგული საჯინიბოს გასაჭირით ისარგებლეს "ვერცხლისფერმა ისრებმა" - "მაკლარენ-მერსედესმა".

მიუხედავად იმისა, რომ, რომ შუმახერმა საწყის მონაკვეთში პოზიციები დაკრგა, გერმანელისთვის იღბალს საბოლოოდ ზურგი არ შეუქცევია. მიხაელის კონკურენტებმა ერთმანეთის მიყოლებით დატოვეს ტრასა.

ერთი სიტყვით, "კანადის დიდი პრიზი" საჯინიბოთათვის ერთგვარ საშინელებად იქცა.

მართალია, რენოელებმა რბოლა უქულოდ დაასრულეს, მაგრამ ჩემპიონატში ლიდერობა მაინც არ დაუკარგავთ. ფერნანდო ალონსო კვლავაც ლიდერია, ხოლო საჯინიბო კონსტრუქტორთა დავაში დგას მოწინავე საფეხურზე. თუმცა, დამშვიდების საბაბი ფრანგებს მაინც არა აქვთ. მაკლარენელ რაიკონენსა და ჩემპიონატის ლიდერ ალონსოს შორის სხვაობა 22 ქულაა. პილოტთა დავაში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი 24 ქულით მეხუთე ადგილზეა.

"კარგი კვალიფიკაციის შემდეგ უფრო მეტს ველოდით. გვინდოდა, რბოლის დასაწყისიდანვე წინ ვყოფილიყავით და უპირატესობა გაგვეზარდა, მაგრამ...

თუმცა, იმითაც კმაყოფილები უნდა ვიყოთ, რასაც მივაღწიეთ. რეალისტებად უნდა დავრჩეთ. სხვა სიტუაციაში, ალბათ, მეხუთე შედეგითაც კმაყოფილები ვიქნებოდით", - განაცხადა შუმახერმა.

ეს, რაც შეეხება პირად პირველობას. კონსტრუქტორთა ჩათვლაში მდგომარეობა უფრო დაძაბულია. ფრანგები (76 ქულა) "ვერცხლისფერ ისრებს" (63 ქულა) 13 ქულით უსწრებენ. წინ კი "ინდიანაპოლისის" ტრასაა - "ამერიკის დიდი პრიზი".

## ინფოთეკა

### "რომა" ტრაპატონისთან თანამშრომლობას გეგმავს

"რომა" ცნობილ მწვრთნელს ჯოვანი ტრაპატონისთან მოლაპარაკების დაწყებას გეგმავს. როგორც ცნობილია, სპეციალისტის ბოლო კლუბი პორტუგალიური "ბენფიკა" იყო. წამოსვლის მიზეზი სამშობლოში, იტალიაში დაბრუნებება და ოჯახთან ყოფნა გახდა. ახლახან ტრაპატონიმ განაცხადა, რომ ის მზადაა, ნებისმიერ იტალიურ კლუბთან ითანამშრომლოს.

### "ვალენსიამ" "ლევანტეს" ყოფილ მეკარესთან გააფორმა კონტრაქტი

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ესპანური კლუბის "ლევანტეს" ყოფილმა მეკარემ ხუან ლუის მორამ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა "ვალენსიასთან". "როიტერსის" ცნობით, მორა "ვალენსიაში" თავისუფალი აგენტის სახით გადავიდა.

### "მანჩესტერ იუნაიტედი" რეკორდისთვის ემზადება

"მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობა მომავალი პრემიერ-ლიგის დაწყებამდე 42 ათასზე მეტი სეზონური აბონემენტის გაყიდვას აპირებს. თუ ეს მოხდება, მანკუნიანელები ახალ რეკორდს დაამყარებენ. წინა რეკორდი გასული სეზონის დასაწყისამდე დაფიქსირდა. იმ დროს მათ 40 072 აბონემენტის გაყიდვა მოახერხეს.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

## TV-სპორტი

**სამშაბათი. 14 ივნისი**

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ამხანაგური შეხვედრა. "ბარსელონა" - "იოკოჰამა მარინოსი" (იაპონია)
14:00 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. სირია - კანადა
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 "საფეხბურთო კლუბი". რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა
17:00 უკრაინის ჩემპიონატი. "დინამო" - "ზაკარპატიე"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:25 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. ჩინეთი - უკრაინა. პირდაპირი ტრანსლაცია ჰოლანდიიდან
21:25 "წვრილმანები". უკრაინა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში
22:25 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. ჩილე - ესპანეთი. პირდაპირი ტრანსლაცია ჰოლანდიიდან
00:25 მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. ეგვიპტე - არგენტინა

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:15, 15:50, 19:00 პრესცენტრი
10:20, 23:15 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 "რკინის ფაქტორი". "ვოევოდას რკინის ხელები"
11:15 "სარკის წინ"
11:45 წყალში ხტომა. რუსეთის ჩემპიონატი მოსკოვში
12:45 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
13:30 მძლეოსნობა. დიდი პრიზი საფრანგეთში
16:05 საავტომობილო სპორტი. "გამარჯვების თასი". წრიული რბოლების რუსეთის ჩემპიონატი და თასი მოსკოვში. მეორე ეტაპი. პირველი ნაწილი
17:25 "ნადირობის სეზონი"
17:55 ცხენოსნობა. "Royal Ascot". პირდაპირი ტრანსლაცია ინგლისიდან
19:15 "ფენომენი"
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:00 პროფესიული კრივი. მაიკ ტაისონი - კევინ მაკბრაიდი. შესვენებისას (21:30) - პრესცენტრი
23:20 სახვალიო ტელეპროგრამა
23:30 ფლორბოლი. მსოფლიო ჩემპიონატი სინგაპურში. ქალები. შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები
01:15 "ფენომენი"
02:00 02:00-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "DETROIT PISTONS" - "SAN ANTONIO SPURS". მე-3 მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 მულტისპორტი - აი, მესმის!
11:30 ფეხბურთი
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო მატჩები
15:00 საბრძოლო ხელოვნება. შოუ პარიზის სპორტის სასახლე "ბერსიში"
17:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი ჰოლანდიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 მძლეოსნობა. IAAF-ის დიდი პრიზი საბერძნეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
01:00 ახალი ამბები
01:15 ფეხბურთი. მსოფლიო თასი გერმანიაში. საკვალიფიკაციო მატჩები
03:15 ახალი ამბები

# ზოგადად სიმსივნეების შესახებ

მიუხედავად იმისა, რომ გულსისხლძარღვთა დაავადებები პირველ ადგილზეა სიკვდილის გამომწვევ მიზეზთა შორის, ხოლო სიმსივნური დაავადებები - მეორეზე, მე არ მეგულება ადამიანი, რომელმაც სიმსივნური დაავადების ქონა "არჩიოს" გულის დაავადების ქონას. სიმსივნის დიაგნოზი დაავადებულს ფატალური სასრულობის გრძნობას უჩენს (თითქოსდა ადამიანი ამის გარეშე უკვდავი იყოს და მის სიცოცხლეს უამრავი სხვა საფრთხე არ ემუქრებოდეს: პარაზიტები, მიკრობები, ვირუსები.., დაბინძურებული გარემო, უბედური შემთხვევები ხმელეთზე, ჰაერში, წყალში, არაჯანსაღი ცხოვრების წესი...) და ადამიანის ფსიქიკის ერთგვარ პარალიზებას იწვევს. ამის მიზეზი წარსულში სიმსივნური დაავადებების მკურნალობის შეუძლებლობა იყო. საბედნიეროდ, ამ ბოლო წლებში ამ თვალსაზრისით ბევრი რამ შეიცვალა, მედიცინამ საგრძნობ წარმატებას მიაღწია სიმსივნური დაავადებების მკურნალობაში და ბევრი სიმსივნური დაავადება, რომელიც წინათ სასიკვდილო განაჩენს უდრიდა, დღეს უკვე მკურნალობას ექვემდებარება.

სიმსივნე არის დაავადება, რომლის დროსაც ხდება უჯრედის დაუსრულებელი გაყოფა, გამრავლება და, ამასთანავე, ხშირად ამ უჯრედების გადასვლა (მეტასტაზირება) ორგანიზმის სხვადასხვა, შესაძლოა, პირველადი სიმსივნისაგან საკმაოდ დაშორებულ ადგილებში.

უჯრედის გაყოფა-გამრავლება ანუ იგივე პროცესი, რომელიც ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის ზრდისა და ფუნქციონირების საფუძველია, თავის მანკიერ მდგომარეობაში სიმსივნის ზრდის მიზეზი ხდება. როგორც ცნობილია, უჯრედის გამრავლების პროგრამა მის დნმ-ში არის ჩადებული და ამ უჯრედის სიკვდილიც ასევე წინასწარ არის დაპროგრამებული, ხოლო სხვადასხვა - გარეგანი ან შინაგანი (გენეტიკური) - ფაქტორის მოქმედებით გამოწვეული დაზიანება დნმ-ისა სიმსივნური ზრდის მიზეზად იქცევა. მოკლედ რომ ვთქვათ, სიმსივნე არის უჯრედების პათოლოგიური, უსასრულო გამრავლება, რომელიც დნმ-ის გარეგანი ან შინაგანი ფაქტორებით დაზიანების შედეგია. ამ თვალსაზრისით, სიმსივნური უჯრედი პრაქტიკულად "უკვდავია".

სიმსივნეები ორ ჯგუფად იყოფა: კეთილთვისებიან და ავთვისებიანად. კეთილთვისებიან სიმსივნეებს მეტასტაზირების უნარი არა აქვს და, ამდენად, თავისთავად ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხეს არ წარმოადგენს (მხოლოდ მათი მდებარეობა, დიდი ზომა და ორგანიზმის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ნაწილებზე ზეწოლა შეიძლება უქმნიდეს ორგანიზმს საშიშროებას). რაც შეეხება ავთვისებიან სიმსივნეებს, მათ მეტასტაზირების უნარი აქვს და თუ არ უმკურნალეთ, უსასრულოდ გაიზრდება, აუცილებლად გავრცელდება და სიკვდილის მიზეზი გახდება.

დღევანდელი წერილის თემა სწორედ ავთვისებიანი სიმსივნეებია.

ეს დაავადება უკვე ჰიპოკრატეს დროს იყო ცნობილი და ამ დროიდანვე მომდინარეობს დაავადების სახელწოდება "კიბო" (ბერძნულად: karkinoma); ძველი რომაელი ექიმი გალენიც ამ დაავადებას კიბოს (ლათინურად: cancer) უწოდებდა. ორსავე შემთხვევაში დაავადების სახელდება სიმსივნის ფორმის გარეგნული მიმსგავსების საფუძველზე მოხდა.

აშშ-ში სიმსივნური დაავადები, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ძალიან ხშირია, სიკვდილიანობის მიზეზებს შორის მეორე ადგილზეა გულის დაავადებათა შემდეგ და საერთო სიკვდილიანობის 22,8 პროცენტს შეადგენს. სიმსივნეთა სიხშირის მომატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდაცაა (შედარებისთვის: აფრიკის კონტინენტზე, სადაც სიცოცხლის ხანგრძლივობა საკმაოდ დაბალია, სიმსივნე სიკვდილიანობის მიზეზების მხოლოდ 4 პროცენტს შეადგენს, ხოლო ინფექციური დაავადებები იქ სიკვდილიანობის მიზეზთა შორის პირველ ადგილზეა).

ქვემოთ მოყვანილია ცხრილი სხვადასხვა სიმსივნის განვითარების ალბათობისა ადამიანის სიცოცხლის განმავლობაში - სქესის მიხედვით - განვითარებული ქვეყნების, კერძოდ, აშშ-ს მაგალითზე:

**ცხრილი 1: სიმსივნური დაავადებების განვითარების ალბათობა ადამიანის სიცოცხლის განმავლობაში**

სიმსივნური დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, წინასწარ ვარაუდობენ, რომ 2005 წელს აშშ-ში ამ დაავადებით დაიღუპება 295 000 მამაკაცი და 275 000 ქალი (ამერიკის მოსახლეობა 300 მილიონია) და პროცენტულად სქესის მიხედვით ეს სიმსივნეები ასე განაწილდება:

*ცხრილი 1*

| მამაკაცები | |
|---|---|
| სიმსივნე საერთოდ | 1 : 2 |
| პროსტატის | 1 : 6 |
| ფილტვის | 1 : 13 |
| მსხვილი და სწორი ნაწლავის | 1 : 17 |
| შარდის ბუშტის | 1 : 28 |
| ლიმფომა | 1 : 46 |
| მელანომა | 1 : 53 |
| თირკმლის | 1 : 67 |
| ლეიკემია | 1 : 68 |
| პირის ღრუს | 1 : 73 |
| კუჭის | 1 : 81 |

| ქალები | |
|---|---|
| სიმსივნე საერთოდ | 1 : 3 |
| მკერდის | 1 : 7 |
| ფილტვის | 1 : 18 |
| მსხვილი და სწორი ნაწლავის | 1 : 18 |
| საშვილოსნოს სხეულის | 1 : 38 |
| ლიმფომა | 1 : 56 |
| საკვერცხის | 1 : 68 |
| მელანომა | 1 : 78 |
| ლეიკემია | 1 : 68 |
| პანკრეასის | 1 : 81 |
| შარდის ბუშტის | 1 : 88 |
| საშვილოსნოს ყელის | 1 : 130 |

**ცხრილი 2: სხვადასხვა სიმსივნით გამოწვეული მოსალოდნელი სიკვდილიანობის შედარებითი სტატისტიკა აშშ-ს მოსახლეობაში 2005 წელს**

*ცხრილი 2*

| მამაკაცები | ქალები |
|---|---|
| ფილტვის 31% | ფილტვის 27% |
| პროსტატის 10% | მკერდის 15% |
| მსხვილი და სწორი ნაწლავის 10% | მსხვილი და სწორი ნაწლავის 10% |
| პანკრეასის 5% | საკვერცხის 6% |
| ლეიკემია 4% | პანკრეასის 6% |
| საყლაპავის 4% | ლეიკემია 4% |
| ღვიძლის 3% | საშვილოსნოს 3% |
| | ლიმფომა 3% |
| ლიმფომა 3% | მიელომა 2% |
| შარდის ბუშტის 3% | ტვინის და ნერვული სიტემის 2% |
| | სხვა 22% |
| თირკმლის 3% | |
| სხვა 24% | |

როგორც ამ ცხრილებიდანაც აშკარად ჩანს, სიკვდილიანობის მიხედვით პირველ ადგილზეა ფილტვის სიმსივნე ორივე სქესისათვის და ეს, როგორც წესი, თამბაქოს წევის შედეგია.

სიმსივნურ დაავადებათა სიხშირე მთელ მსოფლიოში იზრდება, რაც, ერთი მხრივ, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდით აიხსნება (ადამიანი უფრო დიდხანს ცოცხლობს და მით ორგანიზმს სიმსივნეების განვითარებისთვის "მეტი დრო" აქვს; ამასთანავე, ეს პათოლოგია ხანდაზმული ასაკისთვის უფრო მეტად არის დამახასიათებელი), ხოლო, მეორე მხრივ, ეს სხვა ფაქტორებთანაცაა დაკავშირებული, როგორიცაა: თამბაქოს წევა, "არასწორი" კვება და ა.შ. ასე, მაგალითად, იაპონიაში ადრე ნაწლავის სიმსივნეები პრაქტიკულად არ იყო ცნობილი, მაგრამ უკანასკნელ წლებში მათი რიცხვი გაიზარდა, რის მიზეზადაც იაპონიაში დასავლური ტიპის დიეტის გავრცელებას ასახელებენ. გამოკვლევებით დგინდება, აგრეთვე, ცხიმიანი საკვების "ხელშემწყობი" როლი მკერდის სიმსივნის განვითარებაში...

ამდენად, დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელი ცხოვრების წესით სიმსივნისგან თავის დაცვას, სიმსივნის პრევენციას. ეს ნამდვილად იდეალური საშუალებაა და სიმსივნეთა სიხშირის შემცირებას უწყობს ხელს, მაგრამ, სამწუხაროდ, შესასრულებლად არც თუ ისე ადვილია, რადგანაც ჯანმრთელ, ახალგაზრდა ადამიანს თავისი თავი უკვდავი და დაუძლეველი ჰგონია და თავს სათანადოდ არ უფრთხილდება. სიმსივნის პრევენცია შეიძლება მოხდეს ცნობილი კარცინოგენების (ანუ სიმსივნის გამომწვევი ნივთიერებების, როგორიცაა, მაგალითად, თამბაქო, მანქანის გამონაბოლქვი, შხამ-ქიმიკატები, დასხივება - რადიოაქტიური სხივებით თუ მზეზე გაშავება, და ა.შ. ) მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებით, ცხოვრების წესის შეცვლით (მეტი ფიზიკური აქტივობა, წონის დაკლება, ალკოჰოლის რაოდენობის შემცირება, სწორი კვება - ხილისა და ბოსტნეულის რაოდენობის გაზრდა, ცხიმის შემცირება); არანაკლებ მნიშვნელოვანია დაავადების დროული გამოვლენა და ადრეული დიაგნოზის დასმა, რაც წარმატებული მკურნალობის აუცილებელი წინაპირობაა.

სწორედ იმისათვის, რომ მოხდეს სიმსივნის დროულად გამოვლენა და დიაგნოზის ადრეულად დასმა, აშშ ონკოლოგიური საზოგადოების (American Cancer Society) რეკომენდაციით, აუცილებელია სხვადასხვა სახის სიმსივნის გამოვლენისათვის ეპიდემიოლოგიურად დამახასიათებელ ასაკში გაკეთდეს შესაბამისი ანალიზები ამ სიმსივნეების გამოსავლენად:

**■ მკერდის სიმსივნის გამოსავლენად**

■ მკერდის თვითგასინჯვა 20 წლის ასაკიდან ყოველ თვე;

■ ექიმის მიერ მკერდის გასინჯვა სამ წელიწადში ერთხელ 20-დან 40 წლის ასაკამდე, და ყოველწლიურად 40 წლის შემდეგ;

■ მამოგრაფია ყოველწლიურად 40 წლის ასაკიდან;

■ ქალებმა, რომელთაც მკერდის სიმსივნის განვითარების უფრო დიდი რისკი აქვთ (მემკვიდრეობის გამო), ექიმთან უნდა გაარკვიონ უფრო ხშირი და უფრო ზუსტი დიაგნოსტიკური საშუალებებით გამოკვლევის საჭიროება.

**■ პროსტატის სიმსივნის გამოსავლენად**

■ პროსტატის დიგიტალური გასინჯვა და სისხლში პროსტატის სპეციფიკური ანტიგენის განსაზღვრა 50 წლის ასაკიდან ყოველწლიურად;

■ მამაკაცებისთვის, რომელთაც პროსტატის სიმსივნის განვითარების უფრო მაღალი რისკი აქვთ (მემკვიდრეობის გამო), სასურველია ამ ტესტების დაწყება უფრო ადრეულ ასაკში.

**■ საშვილოსნოს ყელის სიმსივნის გამოსავლენად**

■ 21 წლის ასაკიდან ყველა ქალმა ყოველწლიურად უნდა იკეთოს ექიმ პაპანიკოლაუს მიერ მოწოდებული ანალიზი - ე. წ. პაპ-ტესტი ანუ პაპ-ნაცხი;

■ 30 წლის შემდეგ ქალებს, ვისაც ბოლო 3 წლის განმავლობაში ზედიზედ ნორმალური პაპ-ტესტი ჰქონდა, შეუძლიათ 2-3 წელიწადში ერთხელ იკეთონ ეს ტესტი; სიმსივნის განვითარების უფრო მაღალი რისკ-ფაქტორის მქონე ქალებმა (შიდსით დაავადებულნი, მედიკამენტებით გამოწვეული სუსტი იმუნური სისტემის მქონენი, სტეროიდების რეგულარულად მომხმარებელნი) ეს ტესტი ისევ ყოველწლიურად უნდა იკეთონ;

■ 70 წლის შემდეგ ქალებს, ვისაც ბოლო 3 წლის განმავლობაში ზედიზედ ნორმალური პაპ-ტესტი ჰქონდა და ბოლო ათი წლის განმავლობაში არც ერთხელ არ ჰქონიათ სისმსივნეზე დადებითი პაპ-ტესტი, შეუძლიათ შეწყვიტონ ტესტის კეთება; წარსულში საშვილოსნოს სიმსივნის დიაგნოზის მქონე ან სიმსივნის განვითარების უფრო მაღალი რისკ-ფაქტორის მქონე 70 წლის ქალებმა (შიდსით დაავადებულნი, მედიკამენტებით გამოწვეული სუსტი იმუნური სისტემის მქონენი, სტეროიდების რეგულარულად მომხმარებელნი) ეს ტესტი ისევ უნდა იკეთონ;

■ ტოტალური ჰისტერექტომიის (საშვილოსნოსა და საშვილოსნოს ყელის ამოკვეთის) შემდგომ, თუ ეს ოპერაცია კიბოს ან პრეკანცერული (ანუ კიბოსწინარე) მდგომარეობის გამო არ იქნა გაკეთებული, ქალებს შეუძლიათ აღარ გაიკეთონ ეს ტესტი; ხოლო თუ ჰისტერექტომია გაკეთდა ისე, რომ საშვილოსნოს ყელი არ იქნა ამოკვეთილი, ტესტები უნდა გაკეთდეს ჩვეულებრივ, როგორც მოწოდებულია ყველასათვის.

**■ ენდომეტრიუმის (საშვილოსნოს) სიმსივნის გამოსავლენად**

■ ყველა ქალს უნდა ახსოვდეს, რომ ნებისმიერი უჩვეულო სიმპტომის (გამონადენი, სისხლდენა) შემჩნევისთანავე დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს ექიმს;

■ ქალებმა, რომელთაც არაპოლიპური ნაწლავური სიმსივნის მემკვიდრეობითი რისკ-ფაქტორი აქვთ, 35 წლის ასაკიდან ყოველწლიურად უნდა გაიკეთონ ენდომეტრიუმის ბიოფსია.

**■ მსხვილი და სწორი ნაწლავის სიმსივნის გამოსავლენად**

50 წლის ასაკიდან ქალებმაც და მამაკაცებმაც უნდა აირჩიონ და რეგულარულად იკეთონ ანალიზების ქვემოთ მოყვანილი 5 ვარიანტიდან ერთ-ერთი:

1. ანალიზი განავალში ფარული სისხლდენის აღმოსაჩენად წელიწადში ერთხელ;

2. სიგმოიდოსკოპია 5 წელიწადში ერთხელ;

3. ანალიზი განავალში ფარული სისხლდენის აღმოსაჩენად წელიწადში ერთხელ და სიგმოიდოსკოპია 5 წელიწადში ერთხელ;

4. კუჭ-ნაწლავის ბარიუმით გამოკლევა 5 წელიწადში ერთხელ;

5. კოლონოსკოპია 10 წელიწადში ერთხელ

**(ზემოაღნიშნული ტესტებიდან ნებისმიერზე დადებითი პასუხის შემთხვევაში აუცილებელია კოლონოსკოპიის გაკეთება);**

- ადამიანებმა, რომელთაც დაავადების რისკი ჩვეულებრივთან შედარებით უფრო მაღალი აქვთ (ნაწლავის პოლიპები, ქრონიკული კოლიტი, მემკვიდრეობაში ნაწლავის სიმსივნის არსებობა), გამოკვლევები უნდა დაიწყონ უფრო ადრე და უნდა იკეთონ უფრო ხშირად.

**ცხრილი 3: სიმსივნეების გამოსავლენი გამოკვლევები ასაკის მიხედვით**

*ცხრილი 3*

| | |
|---|---|
| კოლონოსკოპია | 50 წლის შემდეგ, ყოველ 10 წელიწადში ერთხელ |
| სიგმოიდოსკოპია | 50 წლის შემდეგ, ყოველ 3-5 წელიწადში ერთხელ |
| განავალში ფარული სისხლი | 50 წლის შემდეგ, ყოველ წელს |
| პროსტატის დიგიტალური გასინჯვა | 40 წლის შემდეგ, ყოველ წელს |
| სისხლში პროსტატის სპეციფიკური ანტიგენის განსაზღვრა | 50 წლის შემდეგ, ყოველ წელს |
| საშვილოსნოს ნაცხი | 21 წლის შემდეგ, ყოველ წელს |
| მკერდის თვითგასინჯვა | 20 წლის შემდეგ, ყოველ თვეს |
| მკერდის გასინჯვა ექიმის მიერ | 20-40 წლის ასაკში 3 წელიწადში ერთხელ; 40 წლის შემდეგ, ყოველ წელს |
| მამოგრაფია | 40 წლის შემდეგ, ყოველ წელს |
| კანის დათვალიერება | 20-39 წლის ასაკში, ყოველ წელს |

ისევე, როგორც ყველა სხვა დაავადების შემთხვევაში, რაც უფრო ადრე დაისმება სიმსივნის დიაგნოზი, მით უფრო წარმატებული იქნება მისი მკურნალობა.

სიმსივნის მკურნალობა სამი ძირითადი სახისაა:

1. ქირურგიული
2. მედიკამენტური
3. დასხივება

არც ერთი მათგანი არ არის უნივერსალური და, როგორც წესი, მათი სხვადასხვა კომბინაცია გამოიყენება სიმსივნის სამკურნალოდ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სიმსივნე სხვადასხვაა და, შესაბამისად, ქიმიოთერაპიული პრეპარატებიც განსხვავებულია სხვადასხვა სახის სიმსივნისათვის; არ არსებობს რაიმე უნივერსალური პრეპარატი, რომელიც ყველა სიმსივნეს მკურნალობდეს. მკურნალობა არა მარტო სიმსივნის სახეობაზე, არამედ სხვა ფაქტორებზეცაა დამოკიდებული. ამდენად, ერთი და იმავე სიმსივნის შემთხვევაშიაც სხვადასხვა ადამიანისთვის ეს მკურნალობა შეიძლება განსხვავებული იყოს. ამ ბოლო დროს გროვდება მონაცემები იმის სასარგებლოდ, რომ ინდივიდუალური, კერძო ავადმყოფისთვის განკუთვნილი მკურნალობა უფრო ეფექტურია.

სიმსივნის მკურნალობაში საგრძნობი პროგრესი იქნა მიღწეული ბოლო წლებში. მინდა მოვიყვანო შემდეგი ცხრილი, სადაც ნაჩვენებია, თუ ავადმყოფების რა პროცენტი იყო ცოცხალი სიმსივნის დიაგნოზის დასმიდან 5 წლის შემდეგ სხვადასხვა დროს:

**ცხრილი 4: გადარჩენილი პაციენტების პროცენტული მაჩვენებლები სიმსივნის დიაგნოზის დასმიდან 5 წლის შემდეგ**

*ცხრილი 4*

| | 1974-76 წლებში | 1983-85 წლებში | 1995-2000 წლებში |
|---|---|---|---|
| ყველა სიმსივნე | 50% | 53% | 64% |
| მკერდის (ქალები) | 75% | 78% | 88% |
| მსხვილი ნაწლავის | 50% | 58% | 63% |
| ლეიკემია | 34% | 41% | 46% |
| ფილტვის | 13% | 14% | 15% |
| კანის მელანომა | 80% | 85% | 91% |
| ლიმფომა | 47% | 54% | 59% |
| საკვერცხის | 37% | 41% | 44% |
| პანკრეასის | 3% | 3% | 4% |
| პროსტატის | 67% | 75% | 99% |
| სწორი ნაწლავის | 49% | 55% | 64% |
| შარდის ბუშტის | 73% | 78% | 82% |

ახლა ისევ მინდა შევეხო ჩემი აზრით ძალიან მნიშვნელოვან საკითხს: უნდა ვუთხრათ თუ არა ავადმყოფს, რომ მას სიმსივნე აქვს. ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა ვუთხრათ. ნუ ფიქრობთ, რომ თქვენ უკეთ იცით, სხვა ადამიანს რა ურჩევნია (ხშირად თვითონ ამ ადამიანმა არ იცის წინასწარ, რა ვითარებაში რა ენდომება). მე მახსოვს, ონკოლოგიურ საავადმყოფოში პრაქტიკის გავლისას, ავადმყოფებისთვის რომ გეკითხათ, არც ერთს კიბო არ ჰქონდა (მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანი თვითონ პროფესიით ექიმი იყო), ყველას მიაჩნდა, რომ მისი სიმსივნე კეთილთვისებიანი იყო და მკურნალობას კარგად ექვემდებარებოდა; ამდენად, ადამიანს ყოველთვის აქვს ტენდენცია, იმედით უყუროს მომავალს. სიმსივნის დიაგნოზის გაგებისასაც, თუკი მკურნალობა არსებობს, მის წარმატებულობასაც იმედით შეხედავს და დაემორჩილება. ძნელი წარმოსადგენია, რომ ავადმყოფი ურთულეს, უმძიმეს და საქართველოს პირობებში უძვირეს მკურნალობაზე დათანხმდეს, თუ არ იცის, რა ელის მკურნალობის ჩაუტარებლობის შემთხვევაში. დიაგნოზის არ თქმით ჩვენ ავადმყოფს ფაქტობრივ მკურნალობაზე ვათქმევინებთ უარს, ვართმევთ ავადმყოფს უფლებას იმისა, რომ თვითონ გადაწყვიტოს, თუ რა მატერიალური რესურსების გამოყენებას აპირებს ამ დაავადებასთან საბრძოლველად, ასევე ვართმევთ მას უფლებას თვითონ გადაწყვიტოს, როგორი ცხოვრებით სურს იცხოვროს დარჩენილი წლების განმავლობაში. ჩემი პირადი გამოცდილება (არა მარტო სამედიცინო, არამედ საყოფაცხოვრებო) მკარნახობს, რომ საბოლოოდ მაინც ჯობია ავადმყოფს სიმართლე ვუთხრათ.

აქ მინდა მოვიყვანო ციტატა ჩემი ერთ-ერთი წინა წერილიდან, რომელიც ავადმყოფის უფლებებს ეხებოდა:

"ადამიანის პიროვნული ხელშეუხებლობა და ავტონომია ამერიკული დემოკრატიის ქვაკუთხედს წარმოადგენს და ეს კანონმდებლობაშიც აისახება. არავის არა აქვს უფლება, რა ჰუმანური მოსაზრებებითაც არ უნდა იყოს ეს ნაკარნახევი, დაუმალოს პიროვნებას სიმართლე და მით წაართვას მას უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება თავის ჯანმრთელობაზე, თავის ბედზე, ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. შესაბამისად, ექიმი ვალდებულია ავადმყოფს ყოველთვის სიმართლე უთხრას და ეს არც უმძიმეს, ტერმინალურ დაავადებებს გამორიცხავს.

ეს საკითხი ალბათ ჩვენში ძნელად იპოვის მხარდაჭერას, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთი მიდგომა უგამონაკლისოა. მშობელი/მეურვე/უახლოესი ნათესავი მხოლოდ ჩვილი ბავშვისა ან შეურაცხადი ან უგონო მდგომარეობაში მყოფი პაციენტის შესახებ იღებს გადაწყვეტილებას (თუკი ეს არ ეწინააღმდეგება პაციენტის მიერ ადრე წერილობით გამოთქმულ გადაწყვეტილებებს თავისი ჯანმრთელობის შესახებ ან პაციენტის რელიგიური რწმენით განპირობებულ პრინციპებს).

ამრიგად, სიმსივნური დაავადებების შემთხვევაშიაც ექიმი ავადმყოფს სრულ ინფორმაციას მიაწვდის შესაძლებელი მკურნალობისა და დაავადების მიმდინარეობის პროგნოზის შესახებ, რის საფუძველზეც ავადმყოფი მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

ტერმინალური სახის სიმსივნის შემთხვევაში ავადმყოფმა შეიძლება უარი თქვას მკურნალობაზე და ამჯობინოს დარჩენილი დრო მისთვის უფრო მნიშვნელოვან საქმიანობას თუ ურთიერთობას მოახმაროს. ამ შემთხვევაში ექიმი მხოლოდ სიმპტომების შემამსუბუქებელ მკურნალობას დაუნიშნავს ავადმყოფს. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში ადამიანები არჩევენ, შეებრძოლონ დაავადებას და ჩაიტარონ მკურნალობის კურსი.

რაც შეეხება იმას, თუ ვისი ხვედრია უკეთესი - იმისა, ვინც იცის, რომ სასიკვდილო დაავადება აქვს, თუ მისი, ვინც ეს არ იცის - ეს კითხვა მარტივი არაა და მასზე მარტივ პასუხს ვერ ვიპოვით. არავინ იცის, სხვისთვის რა არის სწორი და არასწორი, თუმცა ყველამ უნდა იცოდეს, რა არის კანონიერი და არაკანონიერი. კანონთა კოდექსი კი ყოველ საზოგადოებას თავისი აქვს."

ამერიკის ონკოლოგიური საზოგადოება (American Cancer Society) ურჩევს ავადმყოფს, რომ მან ექიმს შემდეგი კითხვებით მიმართოს (ბუნებრივია, ეს გულისხმობს იმას, რომ ავადმყოფმა თავისი დიაგნოზი იცის), რათა პასუხების საფუძველზე თავისი ავადმყოფობისა და მკურნალობის შესახებ გათვითცნობიერებული გადაწყვეტილება მიიღოს:

- რა ტიპის სიმსივნე მაქვს?
- როგორია ჩემი პროგნოზი?
- რა მკურნალობას მირჩევთ და რატომ?
- რა არის მკურნალობის მიზანი - განკურნება თუ სიმპტომების შემსუბუქება-მოხსნა?
- რა არის ამ მკურნალობის გვერდითი მოვლენები?
- არსებობს თუ არა სხვა სახის მკურნალობა?
- რა არის მკურნალობის დადებითი და უარყოფითი მხარეები?
- რამდენ ხანს გაგრძელდება მკურნალობა?
- რა მოხდება, თუ მკურნალობის დროს დოზას გამოვტოვებ?
- რამდენად შეიცვლება ჩემი ცხოვრება?
- რა წამლები დამჭირდება და რატომ?
- როგორ დაადგენთ ჩემი მკურნალობა ეფექტური იყო თუ არა?
- რა სიმპტომები უნდა გაცნობოთ გადაუდებლად?
- რა ალბათობაა იმისა, რომ სიმსივნე დაბრუნდეს მას შემდეგ, რაც შემოთავაზებულ მკურნალობას ჩავიტარებ?
- როდის შეიძლება მკურნალობის დაწყება?
- გამიჩნდება თუ არა შვილი მკურნალობის შემდეგ (თუ მკურნალობის შედეგად მოხდება საკვერცხეების ან სათესლე ჯირკვლების დაზიანება, მაშინ წინასწარ, მკურნალობის დაწყებამდე შესაძლებელია კვერცხუჯრედის ან სპერმის გაყინვა და სამომავლოდ ხელოვნური განაყოფიერებისთვის შენახვა) ?
- არის თუ არა რაიმე საკვები, რომელიც უნდა აუცილებლად მივიღო ან რომელსაც თავი უნდა ავარიდო?
- რა დაჯდება ჩემი მკურნალობა?

ძალიან ბევრი და საინტერესო მასალაა ამერიკის ონკოლოგიური საზოგადოების (American Cancer Society) ვებ-გვერდზე www.cancer.org და აშშ ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის (NIH) ვებ-გვერდზე www.nci.nih.gov

ეს მასალა უფასოა და ადვილად გასაგები ენით არის დაწერილი. გირჩევთ, აუცილებლად გაეცნოთ ამ მასალებს, ვიდრე მკურნალობას დაიწყებთ. თუ ინგლისური არ იცით, ვინმეს სთხოვეთ, გითარგმნოთ ეს მასალა. ეს არ გულისხმობს იმას, რომ თქვენი მკურნალი ექიმის გარეშე მიიღოთ გადაწყვეტილება, არამედ ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ, რომ შემოთავაზებულ მკურნალობაზე გათვითცნობიერებული თანხმობა მისცეთ (ან გარკვეულ მკურნალობაზე უარი თქვათ) და მით თქვენს ექიმთან შეგნებულად და აქტიურად ითანამშრომლოთ, რაც წარმატებული მკურნალობისთვის მეტად მნიშვნელოვანია.



სახელი ______ მისამართი ______
გვარი ______
ასაკი ______ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ______
სიმაღლე ______

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
განქორწინებული
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა______ თარიღი______

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
# სუსტი რგოლი

## მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, მონებამახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

გთხოვთ შეავსოთ გარკვევით ბლანკი უფასოა

[illegible]

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:
[illegible] "რუსთავი 2" / [illegible] "სუსტი რგოლი" / [illegible] 0177 [illegible]

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გამოსახული, მკაფიოდ სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ორი წლის განმავლობაში.

## სკანვორდი



1. ჩანთოსანი დათვი; 2. გამომწვარი თიხის ნაკეთობანი; 3. თსუ-ს ყოფილი რექტორი; 4. სილიკატური გამდნარი მასა დედამიწის ღრმა ზონებში; 5. ი. ჰაშეკის პოპულარული რომანის გმირი; 6. მემკვიდრეობითი დაავადება დამახასიათებელი სისხლდენადობით; 7. ესპანური ღვინო; 8. პარიზის ერთ-ერთი აეროპორტი; 9. ქართველი მწერალი; 10. პერსონაჟი ნ. დუმბაძის მოთხრობიდან "კუკარაჩა"; 11. ფუტკრის რძისგან დამზადებული სამკურნალო პრეპარატი; 12. კბილის ფესვის ბუდე; 13. ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 14. ბიბლიური პერსონაჟი; 15. პოლონური ხალხური ცეკვა; 16. პიროვნების შესახებ შექმნილი შეხედულება; 17. ფილმი ა. ჩელენტანოსა და ე. კუინის მონაწილეობით; 18. ალიაქოთი, აურზაური; 19. შარვლის ფასონი; 20. ღრუ კუნთოვანი ორგანო; 21. პერსევსის დედა; 22. გიგანტური გადაშენებული ქვეწარმავალი; 23. მკვდარი ცხოველის სხეული; 24. ქიმიური ელემენტი; 25. მე-19 საუკუნის გერმანელი პოეტი და პუბლიცისტი; 26. მალარიის გამავრცელებელი კოღო; 27. მსხვილი მიწათმფლობელი შუა აზიაში ძველად; 28. მეცნიერების ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე; 29. ქალაქი შვეიცარიაში; 30. მეცნიერების დარგი; 31. სპარსეთის მონარქების ტიტული; 32. ქრონიკული ავთვისებიანი სიმსივნე; 33. მსოფლიოში ყველაზე ღრმა ტბა; 34. მე-19 საუკუნის გერმანელი მათემატიკოსი, ფიზიკოსი და ფიზიოლოგი; 35. ნარკოტიკული საშუალება; 36. სპორტის სახეობა; 37. ვრცელი მიდამოს ხედი; 38. იტალიის უგრძესი მდინარე.

## TV პროგრამა, 14 ივნისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ლუი **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** სუსტი რგოლი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.40** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "სიყვარული და ტყვიები" (გ) **15.25** სერიალი "ენტერპრაიზი" **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** ლუი **18.30** პატრული **19.00** ყველაზე ჭკვიანი **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ღამის შოუ **23.00** სერიალი "უცნობი" **00.00** მხ. ფილმი "ვინ არის კლეიტის ტოუტი" (18) (კრისტიან სლეიტერი) **02.00** პატრული

### [1-ლი არხი]

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "ტენტენის თავგადასავლი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** დოკ. ფილმი "მ. ჭიაურელი" **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერ. "ჩოგბურთის აკადემია" **19.00** "ჰოლმარკი" - "კლეოპატრა" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "სინათლის მკვლევარები" **23.00** პროფესიონალი -იქტიოლოგი **23.30** მხ. ფილმი "ხევსურული ბალადა" (გ) **01.10** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "თავზეხელაღებული" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** კრიმ. სერიალი "სთშ" **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** დოკ. ფილმი "მებრძოლთა დღე" **18.20** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება: "სარეცხი", "მონეტა", "ნეტავ აღარ იწვიმოს" **00.00** მხ. ფილმი "მოთამაშე" (გ) (სტეფანია როკა)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.50** "ბაბილინა" **20.05** მულტსერიალი "მარსუპილამი" **20.30** დოკ. სერიალი "ცეკვის ენა" **20.55** დოკ. ფილმი "გოლიათის ნაკვალევზე" **21.45** კინოსეანსი "მომხიბვლელი თოვლის ქალი"

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "დრონგო" **12.20, 17.10, 02.25** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.35** ტვ-მარკეტი **13.15** ვაკაჭი-ნიუსი **13.45** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.25** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "დრონგო" **22.40** პირველები **23.45** მხ. ფილმი "უკანასკნელი ცეკვა" (გ) (პ. სუეიზი) **02.15** ვაკაჭი-ნიუსი **02.40** მხ. ფილმი "ენჯელის გული" (18) **05.00** "ნბა". ფინალური სერიის მატჩი.

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00, 19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** "პროექცია" **10.30** კომედია "ლუნი ტიუნზი ისევ საქმეშია" **12.15** მხ. ფილმი "საჰაერო დარტყმა" **14.30, 17.30, 20.30** ახალი ამბები **14.50** მხ. ფილმი "უბრალო ისტორია" **18.10** მულტფილმი **18.30** "ნოვოსტი" **19.15** "წკიპურტები" **21.05** მხ. ფილმი "სასწრაფო ჩაყვინთვა" **22.50** "მოგზაური" **23.30** "სტარტი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.20** მხ. ფილმი "იდეალური დანაშაული" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### 202

**11.00** დებატები (განმ.) **12.00** სახალხო არჩევნები **13.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **22.00** დღის თემა **23.00** დებატები 202-ზე **00.15** სახალხო არჩევნები

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 3.00, 5.00** Новости. **09.20** Худ. фильм **"ХРОНИКИ РИДДИКА".** **11.30** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". **12.10** Людмила Зайцева в мелодраме **"ГОВОРИТ МОСКВА"** **14.00** "Идолы". Карел Готт. **14.30** "Угадай мелодию". **15.20** Что? Где? Когда? **16.20** Детективный сериал **"НА УГЛУ У ПАТРИАРШИХ".** **17.30** "Пять вечеров". **18.00** Вечерние новости. **18.10** "Пять вечеров". Окончание. **18.50** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ".** **19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ".** **21.00** Время. **21.30** Сериал **"ВРЕМЯ ЖЕСТОКИХ".** **22.40** Спецрасследование. "Конец света". **23.30** Ночное "Время". **23.40** Искатели. "Завещание Петра I". **00.30** "Сканер". "Люди-невидимки". **01.00** Триллер **"ДЬЯВОЛ В ГОЛУБОМ ПЛАТЬЕ".** **02.40** Худ. фильм **"КЛУБ РАЗБИТЫХ СЕРДЕЦ".** **04.10** Питер Гэллахер в триллере **"ДИВНЫЙ НОВЫЙ МИР".** В городе будущего нет ни преступности, ни войн, ни старости, ни страданий. Каждый его член генетически создан так, чтобы идеально вписываться в новое общество. Институт брака осужден и отвергнут в принципе. Для снятия напряжения все принимаютспециальный препарат "Сома". Граждане разделены на 4 класса: Альфа, Бета, Дельта и Гамма. Все просчитано разумным и просвещенным правительством. Но два высокопоставленных чиновника класса Альфа Бернард Маркс и Ленина Кроун, вопреки голосу разума немогут заглушить в себе сильное и запрещенное чувство...

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **08.55** Сериал **"НЕ ССОРЬТЕСЬ, ДЕВОЧКИ".** **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.20** "Чрезвычайное происшествие. Обзор за неделю". **10.55** "Кулинарный поединок". **11.55** "Квартирный вопрос". **13.30** Сериал **"БЛАГОСЛОВИТЕ ЖЕНЩИНУ".** **15.35** "Игры разума". **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ-2: УГОН".** **18.35, 21.50, 23.50** "Чрезвычайное происшествие". **19.40, 00.15** Сериал **"ИГРА НА ВЫБЫВАНИЕ".** **20.45** Сериал **"ПОЛНЫЙ ВПЕРЕД!".** **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ".** **01.20** Джеймс Коберн в вестерне **"ЗА ПРИГОРШНЮ ДИНАМИТА".** Мексика времен военной хунты и легендарного вождя повстанцев Панчо Вилья... Судьба сводит здесь местного бандита Хуана Мирандо с ирландским террористом - "метатетем огня" Джоном Меллори. Первый - бывший неграмотный крестьянин, который поневоле,ради спасения семьи, стал грабителем и убийцей. Второй - бывший убежденный революционер, разуверившийся в идеалах и доверяющий "только динамиту". Цель Хуана - ограбить банк и разбогатеть, для этого ему нужен такой специалист по взрывам, как Джон.Джон же использует Хуана, чтобы освободить политических узников режима. Но, в конце концов, оба оказываются втянутыми в круговерть кровавых событий - переворотов, предательства, массовых расстрелов... **04.10** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-4".** **05.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ- 2".**

ჯაზ-ფესტივალი

# THE DAVID SANBORN GROUP

*ამერიკელი საქსოფონისტი დევიდ სენბორნი, რომელსაც 4 ივლისს კომპანია "ნესკაფე" წარმოადგენს, წლევანდელი ფესტივალის პირველი ვარსკვლავი იქნება. "კოკა-კოლას ჯაზ-ფესტივალზე" სენბორნი თბილისელების წინაშე წარდგება ჯგუფით, რომელშიც თავი მოუყარა გამოცდილ ინსტრუმენტალისტებს: ტერი-ლინ ქერინგთონს, კრისტიან მაკბრაიდს, დონ ელაიასსა და გილ გოლდშთეინს.*

## დევიდ სენბორნი (საქსოფონი)

დევიდ სენბორნი ბოლო 20 წლის განმავლობაში ყველაზე გავლენიან საქსოფონისტად ითვლება პოპ-ინდუსტრიასა და რიტმ-ენდ-ბლუზში. მართალია, მის დისკებზე ძირითადად საცეკვაო მუსიკა და რითმ-ენდ-ბლუზი ჟღერს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის, რომ სენბორნს მაღალკვალიფიციურ ჯაზ-მუსიკოსად მიიჩნევდნენ. შესრულების ვნებიანი მანერა, მელოდიის ემოციური ინტერპრეტაცია და თითქოს მკვნესარე მაღალი ბგერები - ეს ის ნიშნებია, რაც მუსიკოსის ამოცნობას პირველი ბგერებისთანავე შესაძლებელს ხდის.

სენბორნი 1945 წლის 30 ივლისს დაიბადა. 3 წლის ასაკში პოლიომიელიტით დაავადდა. ექიმებმა მშობლებს ურჩიეს, როგორც სამკურნალო თერაპიის კურსის ნაწილი, ჩასაბერ ინსტრუმენტზე დაკვრა ესწავლებინათ. დევიდმა ალტ-საქსოფონზე დაიწყო დაკვრა, რადგან ხშირად უსმენდა რადიოს და ყველაზე მეტ სიახლოვეს სწორედ ამ ინსტრუმენტთან გრძნობდა.

1957-1962 წლებში დევიდ სენბორნი ბედს ცდის ისეთ მუსიკოსებთან, როგორებიც არიან ალბერტ კინგი, ლითლ მილტონი, გილ ევანსი, "17-18 წლის ასაკში მივხვდი, რომ არაფერი მანიჭებდა ისეთ სიამოვნებას, როგორც ინსტრუმენტზე დაკვრა. სხვა არჩევანი არ მქონდა, გარდა იმისა, რომ მუსიკოსი გავმხდარიყავი", - ამბობს დევიდი, რომელმაც შვილის, ჯონათანის დაბადების შემდეგ, ყველა ალბომი მას მიუძღვნა.

საცხოვრებლად სან ფრანცისკოში გადასვლის (1967 წელი) შემდეგ დევიდი შეუერთდა "პოლ ბათერფილდ ბენდს". 1972-1974 წლებში მუშაობდა: სტივი უანდერთან და დევიდ ბოუისთან, "როლინგ სთოუნზთან", "ბრექერ ბრაზერსთან" და ჯილ ევანსთან.

1975-ში მუსიკოსმა პირველი სოლო-ალბომი გამოსცა. ამავე პერიოდში იგი არჩევანის წინაშე დადგა - ან მუდმივად გვერდითი ფიგურა უნდა ყოფილიყო, ან დამოუკიდებელი კარიერისათვის ეზრუნა.

ალბომი "ჰაიდეუეი" (გამოვიდა 1980 წელს) მნიშვნელოვანი ჩანაწერი იყო მუსიკოსისთვის. 1981 წელს გამოსულმა "ვოიერმა" სენბორნს პირველი "გრემი" მოუტანა; "დაბლ ვიჟნმა" (რომელიც ბობი ჯეიმზთან ერთად ჩაწერა) - კიდევ ერთი "გრემი". სენბორნის ალბომი "ფერლზ" გახდა საუნდტრექი ფილმისთვის The Mirror Has Two Faces ("სარკეს ორი მხარე აქვს"), რომელშიც ბარბრა სტრეიზანდი და ჯეფ ბრიჯისი მონაწილეობენ. 1997-1998 წლებში სენბორნი საგასტროლოდ გაჰყვა ერიკ კლეპტონს, სტივი გადს, მარკუს მილერსა და ჯო სემფლს.

მესამე "გრემის" მიზეზი გახდა ალბომი Inside. დევიდ სენბორნი დღესაც აგრძელებს აქტიურ სტუდიურ და საკონცერტო მუშაობას. 2004-2005 წლებში სენბორნის დისკოგრაფიას შეემატა ალბომები: Time again და Closer.

## ტერი-ლინ ქერინგთონი (დასარტყამი ინსტრუმენტები)

1980-90-იანი წლების ერთ-ერთმა პოპულარულმა დამხმარე მუსიკალურმა ძალამ, ტერი-ლინ ქერინგთონმა დასარტყამ ინსტრუმენტებზე მკაფიო შესრულების მანერით არაერთხელ გამოიჩინა თავი. ჯერ კიდევ ბავშვობისას ერთგვარ მუსიკალურ საოცრებად მიიჩნეოდა და ისეთ ვეტერან ჯაზმენებზე მოუხდენია შთაბეჭდილება, როგორებიც არიან: დიზი გილესპი, ოსკარ პიტერსონი, ჯო უილიამსი. 7 წლის ასაკში ბაბუის ინსტრუმენტი ერგო და სამი წლის განმავლობაში კერძო გაკვეთილებს იღებდა. პირველად სცენაზე ქლარქ თერისთან ერთად "ვიჩითას ჯაზზ ფესტივალზე" გამოჩნდა. ბერკლის მუსიკალურ კოლეჯში სწავლისას უკრავდა მაიკ სტერნთან, ბრენფორდ მარსალისთან, გრეგ ოსბისთან ერთად. 80-იანი წლების დასაწყისში, ჯექ დეჟონეთის რჩევით, ტერი ნიუ იორკში გადავიდა და აქტიურად ჩაება საკონცერტო ცხოვრებაში. მუშაობდა სტენ გეტსთან, ჯეიმზ მუდისთან, კასანდრა უილსონთან და დევიდ სენბორნთან ერთად.

1989 წელს მუსიკოსი ლოს ანჯელესში გადავიდა. ტერი განსაკუთრებით ჩანდა ფანკის კონცერტებზე, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია ჰერბი ჰენქოქს. 1998 წელს მუსიკოსი ჟღერს ჰერბი ჰენკოკის პროექტში "გერშვინზ უორლდ" და მოგზაურობს ჰენკოკის როგორც აკუსტიკურ, ისე ელექტრონულ ბენდთან ერთად.

ქერინგთონის სადებიუტო ნამუშევარი "გრემიზე" იქნა წარდგენილი. ბოლო სოლო ნამუშევარმა - "ჯაზ იზ ე სფირით" კი ფართო საზოგადოების ყურადღება მიიქცია და დღემდე წარმატებულია ევროპისა და იაპონიის მუსიკალურ ბაზარზე.



დევიდ სენბორნი.

## კრისტიან მაკბრაიდი (ბასი)

1990-იანი წლების ახალგაზრდა მუსიკოსი კრისტიან მაკბრაიდი რეი ბრაუნსა და პოლ ჩემბერსს აგონებს მსმენელს. იგი გახსნილი, ძლიერი ბგერით გამოირჩევა.

8 წლის ასაკში კრისტიანმა ელექტრონულ ბასზე დაიწყო დაკვრა. ჯერ კიდევ სკოლაში რამდენიმე რიტმ-ენდ-ბლუზ კონცერტი გამართა. ჯაზისადმი განსაკუთრებული ინტერესის გამო აკუსტიკურ ბასზე დაკვრა დაიწყო.

მაკბრაიდი ჯულიარდში სწავლის შემდეგ მუშაობდა ბობი უოტსონის ბენდთან, ბენი გოლსონთან, როი ჰარგროუვთან და ფრედი ჰაბარდთან. მოგზაურობდა ბენი გრინის ტრიოსთან ერთად, რეი ბრაუნთან დაუკრა დუეტში 1994 წლის მონტერეის ჯაზ-ფესტივალზე.

1998 წელს მაკბრაიდმა გამოსცა ჩანაწერი - Family Affair. 2002 წელს კი განხორცილდა მუსიკოსის ყველაზე ამბიციური პროექტი "სციფი".

## დონ ელაიასი (პერქაშენი)

დონ ელაიასი განანის კოლეჯში მედიცინას სწავლობდა, მოგვიანებით კი ბოსტონში გადავიდა, რათა ბიოქიმიას დაუფლებოდა. ამ დროს მუსიკოსმა გაიცნო ტონი უილიამსი და ჩიკ კორეა და მათთან ერთად ბასზე ლათინო ჯაზი შეასრულა. როგორც პროფესიონალი მუსიკოსი, პირველად 1957 წელს დიზი გილესპის ბიგ-ბენდმა დაიქირავა.

ელაიასი ნიუ-იორკის ქუჩებში ეუფლებოდა ოსტატობას სხვა პერკუსიონისტებთან, რომელნიც აფრო-კუბური მუსიკის შესრულებას დასარტყამ ინსტრუმენტებზე სწავლობდნენ. მოგვიანებით იგი ნინა სიმონეს ჯგუფის მუსიკალური დირექტორი გახდა. ჯგუფში ასევე უკრავდა ჯენე ფერლა (ბასი), რომელთან ერთადაც მუსიკოსი ჯგუფს "სთოუნ ალიანსის" ხელმძღვანელობდა. მაილზ დევისთან თანამშრომლობა 70-იან წლებში დაიწყო. სტუდიაში მუშაობის შემდეგ იგი ერთი წლით მაილზს გასტროლებზე გაჰყვა.

ხანგრძლივი და მრავალფეროვანი კარიერის განმავლობაში დონი მუშაობდა ჯგუფთან "ბლად, სუეთ ენდ თირზ" და მონგო სანტამარიასთან. ასევე უკრავდა პერკუსიაზე ჯონი მიჩელთან და სტინგთან ერთად.

ამჟამად დონ ელაიასი კვლავაც მუშაობს ჯგუფთან "სთოუნ ალიანსი". გამოცემული აქვს ოთხი ალბომი. ჰყავს ჯგუფი ჯენე ფერლასა (ელექტრო ბასი) და მიჩ სთეინის (ელექტრო გიტარა) შემადგენლობით.

## გილ გოლდშთეინი (ქიბორდი)

აკუსტიკურ ფორტეპიანოსა და, ზოგადად, კლავიშებიან ინსტრუმენტებზე ბრწყინალე შემსრულებელმა პირველად აკორდეონზე დაიწყო დაკვრა. 80-იანი წლების ბოლოს ამ ინსტრუმენტით წარდგა მიშელ პეტრუჩიანის პროექტში, ასევე საკუთარ სტუდიურ ჩანაწერებშიც. უფრო ადრე მუსიკოსმა დიდი გამოცდილება შეიძინა პეტ მარტინოსთან, ჯიმი ჰოლთან, ბილი კობემთან, გილ ევანსის ორკესტრთან (1983 წელი) და უეინ შორთერთან თანამშრომლობის დროს. 1991 წელს გოლდშთეინმა დახმარება გაუწია ჯილ ევანსს, მაშინ როდესაც იგი მაილზ დევისის მონტროს საფესტივალო კონცერტის არანჟირებების აღდგენაზე მუშაობდა. ჯილ გოლდშთეინის მუსიკაში იგრძნობა სხვა კულტურათა, განსაკუთრებით კი ლათინო-ამერიკული კულტურის გავლენა.

სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად
London School of Commerce (LSC) ... STM (ლონდონი) ...
University of sunderland ... UEL ... University of Wales Newport ...
... 2005 წლის 3 აგვისტო.
MBA
MSc
£3950
BA (Hons) ... £ 5950
... £ 1000 ...
ტელ: 253 045, 230 284 მობ. 877 42 35 69
E-mail: LSCgeorgia@hotmail.com
www.LSCLondon.co.uk

Maki
Fujitsu-Siemens-ის
პრემიერ-პარტნიორი
გთავაზობთ
ნოუთბუქებს - 888$ - დან
2 წლიანი გარანტიით
AMD Athlon 64
დღე-ს ჩათვლით!!!
კომპიუტერებს - 298$ - დან
15 თვიანი გარანტიით
ტელ.: 921836, 921826 ირაკლი აბაშიძის 24

საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრი „მზიური“
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ: 29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

ბილეთები ნებისმიერი მიმართულებით
არკია

თელ-ავივი - თბილისი - IZ 417 05.30-10.15
თბილისი - თელ-ავივი - IZ 418 11.45-13.45
275 აშშ დოლარი (ერთი გზა)
349 აშშ დოლარი (ორი გზა)
24 ივნისიდან 30 სექტემბრამდე
arkia
კარგარეთელის ქ. N7, ტელ.: 91-04-99, 91-06-16, ფაქსი: 91-04-99, e-mail: mail@arkia.ge
მეტი კომფორტი, მეტი სისწრაფე, ნაკლები ფასი
ბილეთები აკ "საქართველოს ავიახაზების" თელ-ავივის რეისზე.

მოკლედ

## კულტურის მინისტრები კულტურათა თვითმყოფადობის დაცვაზე შეთანხმდნენ

კვირას საღამოს მადრიდში, პრადოს მუზეუმში, დასრულდა 72 ქვეყნის კულტურის მინისტრების შეხვედრა. "კულტურული სამიტი" ორი დღე გრძელდებოდა და მოწვეული იყო ესპანეთის, საფრანგეთისა და ბრაზილიის ინიციატივით. როგორც ესპანეთის კულტურის მინისტრმა კამერონ კალვომ განაცხადა, სამიტის მიზანს იუნესკოს გენერალურ კონფერენციამდე პოზიციების შეჯერება წარმოადგენდა. იუნესკოს გენერალური კონფერენცია პარიზში, წელს, ოქტომბერში გაიმართება. დაგეგმილია მიიღონ კონვენცია, რომელიც ფინანსურ მხარდაჭერას გაუწევს პატარა ქვეყნებს, კულტურული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.

სამიტზე გამოითქვა აზრი, რომ არ შეძლება კულტურას, როგორც მხოლოდ "ეკონომიკურ პროდუქტს" ისე მოეპყრა.

მოსაზრებას არ დაეთანხმა ამერიკული დელეგაცია, რომელიც სამიტზე დამკვირვებლის სტატუსით იყო მიწვეული. მათი თქმით, მხოლოდ ის კულტურული პროექტები უნდა გადარჩნენ, რომლებიც შემოსავლიანია. სახელმწიფო არ უნდა აფინანსებდეს კულტურის არცერთ სფეროს.

კულტურის კომერციულ მიმართულებას არ ეთანხმება მსოფლიოს 130 ქვეყანა. ორდღიან "კულტურულ სამიტზე" საქართველოს კულტურის მინისტრი მიწვეული არ ყოფილა. *"ჯი-ეიჩ-ენი"*

## რუსეთს კულტურული მემკვიდრეობის დაბრუნება მოსთხოვეს

რუსეთის კულტურისა და კომუნიკაციების მინისტრის, ალექსანდრე სოკოლოვის განცხადებით, რუსეთს 8 ქვეყანა - ავსტრია, ბელგია, უნგრეთი, გერმანია, საბერძნეთი, ლუქსენბურგი, ნიდერლანდები, უკრაინა მეორე მსოფლიო ომის დროს მიტაცებული კულტურული მემკვიდრეობის დაბრუნებას ოფიციალურად სთხოვს. "რუსეთი დაუბრუნებს ამ ქვეყნებს იმას, რაც დადასტურებულია, რომ მიტაცებულია წითელი არმიის მიერ. მაგრამ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ კულტურული მემკვიდრეობის გაცვლა მხოლოდ პარიტეტულ საფუძველზე მოხდება," - აღნიშნა სოკოლოვმა. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი თავადაც აპირებს აღნიშნულ რვა ქვეყანას მოსთხოვოს რუსული წარმოშობის ექსპონატები, რომელთა რაოდენობა არცთუ ისე დიდია.

რუსულ მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებიც ინახება. აპირებს თუ არა საქართველო რუსეთს ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაბრუნება შეახსენოს, ამაზე მინისტრის მოადგილემ ნიკა ვაჩეიშვილმა გვიპასუხა: "ჩემი ინფორმაციით, რუსეთში არ არსებობს მიტაცებული ქართული კოლექციები. სანამ რუსულ მუზეუმებში დაცული თითოეული ქართული ექსპონატის ბიოგრაფიას არ შევისწავლით, მანამ ვერაფრის დაბრუნებას მოვითხოვთ". *"ჯი-ეიჩ-ენი"*

## მგალობელთა გუნდი უკრაინიდან

დღეს კიევო-პეჩოროს ლავრის მგალობელთა გუნდი თბილისში ჩამოდის.

ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის, "საჩუქრის," ფარგლებში ცნობილი ლავრის მგალობელთა ათკაციანი გუნდი სამი დღის განმავლობაში საღამოებს გამართავს. ხვალ სასულიერო გუნდი საპატრიარქოში სპეციალურად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უმწინდესისა და უნეტარესის, ილია მეორისთვის უკრაინულ საგალობლებს შეასრულებს. 16 ივნისს გუნდი სამეფო უბნის თეატრში წარდგება მაყურებლის წინაშე, ხოლო 17 ივნისს სიონის საკათედრო ტაძარში ღვთისმსახურებაში მონაწილეობას მიიღებს. *"ჯი-ეიჩ-ენი"*

## "რუსთავი" იაპონიაში მიიწვიეს

27 ივნისს, იაპონიის ქალაქ ოსაკაში, "გაეროს" 60 წლის იუბილე გაიმართება, სადაც ქართული ცეკვისა და სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი "რუსთავი" მიიწვიეს. ანსამბლის ხელმძღვანელის ფრიდონ სულაბერიძის განცხადებით, მსოფლიოს ფოკლორულ ანსამბლთა შორის ქართული დასის მიწვევა კიდევ ერთი აღიარება და წარმატებაა. საკონცერტო რეპერტუარში ქართულ ცეკვებთან ერთად ფოლკლორული სიმღერებიც (ხელმღვანელი ანზორ ერქომაიშვილი) იქნება წარმოდგენილი. *"ჯი-ეიჩ-ენი"*

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სამძიმარს უცხადებს ბატონ შოთა დოლონაძეს დედის

**გუგული დოლონაძის**

გარდაცვალების გამო

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სამძიმარს უცხადებს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ბატონ კონსტანტინე ქავთარაძეს ბებიის

**ოლღა ქავთარაძის**

გარდაცვალების გამო

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

სწრაფად ხარისხიანად!
EUROCLEAN-SERVICE
შ.პ.ს. "EUROCLEAN-SERVICE" გთავაზობთ ბინებში, ოფისებში, კინოთეატრებში, კაზინოებში, საბილიარდოებში, ბენზინ-გასამართ სადგურებში, რესტორნებსა და სხვა დაწესებულებებში შემდეგი სახის მომსახურებას:
- ნოხების, ხალიჩების, ქურქა და მარმარილოს იატაკის რეცხვა-გაწმენდა.
- რბილი ავეჯის, საძინებლი გარნიტურის, მატრასებისა და ლოგინების სიღრმული წმენდა დასუფთავება.
- ფანჯრების, ვიტრინების და მინის კონსტრუქციების რეცხვა-გაწმენდა.
- ხის კედლების წმენდა გაპრიალება.
- მანქანის სალონის წმენდა.
- აუზებისა და ჯაკუზების წმენდა.
- კაფელის, მეტლახის და ლინოლიუმის წმენდა და გაპრიალება.
- ავეჯის რესტავრაცია.
მის. ლესელიძის ქუჩა - ყავლაშვილის შესახვევი №1 ტელ: 93 13 03,
მის. გურამიშვილის №64 (ავეჯის სავაჭრო ცენტრი) 893 13 29 98, 893 50 93 50
E-maile: Euroclean_service@posta.ge